# HELLO! GEORGIA

#002 • სექტემბერი 2016 • 4.00₾

EXCLUSIVE
INTERVIEW AND PHOTOSHOOT

ვარსკვლავური არდადეგები



თაფლობისთვის
საუკეთესო მიმართულებები

+200
საქორწილო იდეა

ISSUN 2449-2590

# ქეთა თოფურია

იტალიურ ზაფხულსა და სამომავლო გეგმებზე

მიშელ ობამა
თეთრი სახლის დიასახლისი

ბრაზილიური შიკი
სილამაზე, მოგზაურობა და სამზარეულო





**ლიდერი ესპანეთში** დიზაინის, მშენებლობის, დეკორაციის მიმართულებით – **ახლა უკვე კავკასიაში**

grupolasrosasinternacional.com +995 577 122 208






Grupo Las Rosas
INTERNACIONAL

# რედაქტორის წერილი

*უპირველესად, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას, რომ სულ რაღაც ერთ თვეში შეიყვარეთ ჩვენი ჟურნალი. დიდი მადლობა ჩვენს მკითხველს დადებითი შეფასების, თბილი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისთვის. **HELLO!**-ს რედაქციისთვის თქვენ ყველაზე მნიშვნელოვანნი ხართ.*

რადგან პირველივე თვიდან **ხალხის ასეთი სიყვარულის მოპოვება მოვახერხეთ**, ცხადია ამ ყველაფერმა ენთუზიაზმი გაგვიათმაგა და გპირდებით, რომ ყოველი მომდევნო ნომერი წინაზე ბევრად საინტერესო, დატვირთული და ექსკლუზიური იქნება. ქართველი მკითხველი ნამდვილად იმსახურებს მსოფლიო სტანდარტების პრემიუმკლასის გამოცემას და ძალიან მიხარია, რომ ეს ნიშა ამ ეტაპზე მხოლოდ **HELLO!**-ს უჭირავს.

**სექტემბრის ნომრისთვის** განსაკუთრებული კონცეფცია შევარჩიეთ – იმის გამო, რომ მსოფლიო ჯერ კიდევ ოლიმპიურ ციებ-ცხელებაშია ჩართული, ჩვენც ბრაზილიურ ტალღაზე გადავერთეთ – რეპორტაჟებს ბრაზილიურ სამზარეულოზე, საფირმო მელირებასა და ბრაზილიელ ლამაზმანებზე სწორედ ამ ნომერში გაეცნობით.

მოდისა და თავის მოვლის ნაწილი კი **მთლიანად საქორწილო თემას ეძღვნება**. მზადება მნიშვნელოვანი დღისთვის: თავის მოვლა, კაბის შერჩევა, თაიგულები და ტიარები, საქორწილო დეკორი და საუკეთესო ლოკაციები მთელი საქართველოს მასშტაბით. განურჩევლად იმისა, თავად ხართ პატარძალი თუ უბრალოდ მეგობრის ქორწილისთვის ემზადებით, **HELLO!** იქნება თქვენი საუკეთესო მეგობარი და გზამკვლევი ქორწილთან დაკავშირებულ საკითხებში.



აქსესუარები ÉTHÉRÉ ACCESSOIRE; სათვალე FENDI
კაბა GADO GADO; ლოკაცია TBILISI YACHT CLUB LA COTE

რაც შეეხება ნომრის მთავარ გმირებს: მოდელი **თაკო ნაცვლიშვილი**, რომელმაც გასულ წელს მსოფლიო პოდიუმები დაიპყრო, ჩვენი წინამდებარე ნომრის სტუმარია; **ქეთა თოფურიამ** **HELLO!**-ს იტალიაში უმასპინძლა; ასევე შეხვდებით წარმატებულ ჩოგბურთელ **ნიკოლოზ ბასილაშვილსა** და მის ოჯახს. **ნანი ბრეგვაძე**, **ეკა მამალაძე** და **ნატალია ქუთათელაძე** – პოპულარული ოჯახის 3 თაობას ჩვენი გუნდი წყნეთის აგარაკზე ესტუმრა.

**გპირდებით**, რომ **HELLO!**-ს მეორე ნომერი ბევრად საინტერესო იქნება და ყოველთვის ასე გაგრძელდება. გიტოვებთ სასიამოვნო საკითხავს და გემშვიდობებით ოქტომბრამდე, მანამდე კი ველით თქვენს გამოხმაურებასა და შეფასებებს.

*ნინო იოსელიანი*
*მთავარი რედაქტორი*




OLAPLEX®
STRONGER HAIR IN
3 EASY STEPS
PROFESSIONAL USE ONLY • OLAPLEX.COM
OLAPLEX.
BOND PERFECTOR.
Nº2
APPLY AFTER RINSING
HIGHLIGHTS OR COLOUR FROM HA
100ml/3.3 fl oz
PROFESSIONAL USE ONLY • OLAPLEX.COM
OLAPLEX.
BOND MULTIPLIER.
Nº1
MIX WITH ALL COLOUR,
BALAYAGE, AND LIGHTENER
100ml/3.3 fl oz
PROFESSIONAL USE ONLY • OLAPLEX.COM
OLAPLEX.
HAIR PERFECTOR
Nº3
USE ONCE A WEEK BETWEEN CHEMICAL
SERVICES TO STRENGTHEN HAIR
100ml/3.3 fl oz
ოფიციალური წარმომადგენელი
PROF BEAUTY
facebook.com/professionalbeauty.ge
**FRANK PROVOST** (ი. აბაშიძის ქ. 22), **PALAZZO PRIVE** (ფალიაშვილის ქ. 43), **ექსელენსი** (ფალიაშვილის ქ. 44/5,) **ვიზაჟი** (ფალიაშვილის ქ. 98), **ირინა** (იოსებიძის ქ. 61), **მელანჟი** (ფალიაშვილის ქ. 72), **ბონიტა** (პეკინის გამზ. 15), **მილანო** (ყიფშიძის ქ. 13), **სალონი ლა ტრუფე** (თამარაშვილის ქ. 4ა), **საკურამი** (ყიფშიძის ქ. 2), **დესანჟი** (აბაშიძის ქ. 3), **რესპექტი** (თაქთაქიშვილის ქ. 11), ესთეტიკის ცენტრი **დერმა** (ყაზბეგის გამზ. 25ა), **ქალთა ბედნიერება** (კ. გამსახურდიას გამზ. 7), **ანასტასია** (პეკინის გამზ. 37), **ამბრელა** (ხმელინცკის ქ. 153), **მზე** (ფალიაშვილის ქ. 41), **კლასი** (პეკინის გამზ. 22)

HELLO! GEORGIA

# სარჩევი

#002 • სექტემბერი • 2016



93 WEDDING SPECIAL



ქეთა თოფურია 58



68 ნანი ბრეგვაძე



ნიკოლოზ ბასილაშვილი 46

## ვარსკვლავური ისტორიები

**8** **კეროლ ეშერი** – ბრილიანტების დედოფლის ტაილანდური სამოთხე
**20** **თაკო ნაცვლიშვილი** ქართველი მოდელი საერთაშორისო პოდიუმებიდან
**38** **ჯორჯო არმანის** მცურავი სასახლე
**46** **ნიკოლოზ ბასილაშვილი** საქართველოს პირველი ჩოგანი მსოფლიო ასპარეზზე
**54** **ბექჯემები** – საკულტო ოჯახის უმცროსი წევრები
**58** **ქეთა თოფურიას** იტალიური ზაფხული და სამომავლო გეგმები
**68** **ბრეგვაძეების** სამი თაობა ერთ სცენაზე
**86** **ნინა შანიძე** – საერთაშორისო სილამაზის ქართული სახე

## მუდმივი რუბრიკები

**18** **INSIDE STORY** ექსკლუზიური დეტალები ვარსკვლავების ცხოვრებიდან
**34** **PANORAMA** „იდეა დეველოპერი“
**36** **30 დღე** მსოფლიო მოვლენების მიმოხილვა
**44** **CINEMA MATTERS** შუქი! კამერა! მოტორი!
**146** **HALF HOUR** ანი ბებია

დასაწ. 79 გვ.-დან

lifestyle

მოდა • სილამაზე • რჩევები
მოგზაურობა • კულინარია



ფინკა ბანკის ანაბრები — მიზნებისთვის, რომლებიც ქმნის ისტორიას




ვადიანი ანაბარი
₾ 13,5%-მდე

შემნახველი ანაბარი
₾ 9%

საბავშვო ანაბარი
₾ 13%

ზრდადი ანაბარი
₾ 13%-მდე

2 24 49 49; *4949 / www.FINCA.ge

# ბრილიანტის დედოფალი

# კეროლ ეშერი

## ტაილანდურ სამოთხეში გვეპატიჟება

**ბრიტანეთის სამეფო ოჯახის სამკაულების სილამაზე და პიპა მიდლტონის ბეჭდის ბრწყინვალება სწორედ ეშერების დინასტიის დამსახურებაა**





კეროლს ფუკეტი 10 წლის წინ შეუყვარდა. სწორედ ამიტომ აიშენა სახლი, რომელიც ადგილობრივი კულტურის შთაგონებით გაფორმდა.



ყველგან, საითაც გაიხედავთ, გირლანდები და ორქიდეების ფარდებია, რომლებიც მოვარდისფრო-მოიასამნისფრო ტონშია გადაწყვეტილი

აქ მრავლადაა ბამბუკის ავეჯი, ბუდას ქანდაკებები და ლოტუსის ყვავილები. ტაილანდს ეხმიანება ჟურნალ გამაც: „ყველაფერი მოვარდისფრო-იასამნისფერში გადავწყვიტეთ. ეს ყველაზე პოპულარული ფერია“.



ამსტერდამში მცხოვრებ ეშერების სახელს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ბრილიანტები უკავშირდება. 1854 წლიდან მოყოლებული, მათი ძვირფასი ქვა ბრიტანეთისა და ჰოლანდიის სამეფო ოჯახების სამკაულებს ამშვენებს.







კეროლ ეშერი იმ კაცის შვილიშვილია, რომელმაც ბრიტანეთის სამეფო სამკაულებს 1000 ბრჭყვიალა თვალი შემატა. „ბრილიანტის დინასტიის“ წარმომადგენელი ქალბატონი უშუალო ავტორია იმ თვალისმომჭრელი ბრწყინვალებისა, რომელიც პიპა მიდლტონის ნიშნობის ბეჭედს ამშვენებს. არანაკლებ თვალისმომჭრელია მისი დეკორაციებით შექმნილი სახლებიც – რივიერას ვარდისფერი ვილა, მყუდრო ალპური შალე და ტაილანდური სამოთხე, რომელშიც კეროლს მთელი სამყარო აქვს გაერთიანებული. აქ ყველგან გირლანდები და ორქიდეებია, რომელთა ჩამოცვენილი ფურცლები კიდევ უფრო ალამაზებს გარემოს. ტერასაზე ბუგენვილეა ყვავილობს, აუზზე კი ლოტუსის ყვავილები ტივტივებენ. ღია კარიდან და ფანჯრებიდან ანდამანის ზღვის ულამაზესი ხედი იშლება, რომელიც პალმების „ჩარჩოშია“ ჩასმული...

„ფუკეტს პირველად 10 წლის წინ ვესტუმრე. მაშინ მეგობართან და ვაჟიშვილთან ერთად ვიყავი. მე და ნიკოლასს ერთი ნახვით შეგ- ▶





ჩემი უზარმაზარი საძინებელი ოთახის გარდა, აქ ხუთი დიდი საძინებელია. თითოეულ მათგანს პალმებითა და ბუგენვილეებით გაფორმებული ტერასა ამშვენებს. დიდი მისაღები ოთახი ზღვას გადაჰყურებს. მასთანვეა ორი ოთახი, სადაც საუზმეს მივირთმევთ ხოლმე.







**თვალისმომჭრელია კეროლის დეკორაციებით შექმნილი სახლებიც – რივიერას ვარდისფერი ვილა, მყუდრო ალპური შალე და ტაილანდური სამოთხე, რომელშიც კეროლს მთელი სამყარო აქვს გაერთიანებული. აქ ყველგან გირლანდები და ორქიდეებია, რომელთა ჩამოცვენილი ფურცლები კიდევ უფრო ალამაზებს გარემოს**



ვიყვარდა ეს ადგილი“, – იხსენებს კეროლი, რომელიც ტელეკომუნიკაციების სპეციალისტია, – „გადავწყვიტეთ, სახლი აგვეშენებინა და მიზანი სულ რაღაც ექვს თვეში განვახორციელეთ“. დიასახლისმა დეკორში ადგილობრივი კულტურა ჩააქსოვა და უპირატესობა ბამბუკის ავეჯს, ბუდას ქანდაკებებსა და ნათელ ფერთა გამას მიანიჭა. „ყველაფერი მოვარდისფრო-იისფერ ტონში გადავწყვიტეთ – იმიტომ, რომ ეს ფერები ტაილანდში განსაკუთრებულად პოპულარულია. მინდოდა მქონოდა დადებითი მუხტით სავსე ვილა, რომელიც ჩემს მეგობრებს უმასპინძლებდა. ამავდროულად, მინდოდა ტრადიციული დეკორაციები თანამედროვეობასთან შემერწყა და არტისტული გარემო შემექმნა. ამაში ტაილანდური ავეჯი და ჩინური ანტიკვარიატი დამეხმარა“, – უმხელს HELLO!-ს კეროლი და სტუმრებს გულთბილად უმასპინძლდება. ▶





კეროლი დიდ დროს ატარებს სასადილო ოთახში, რომლის მაგიდებიც ფერადი ყვავილებითაა გაფორმებული. „სახლის უზარმაზარი მისაღები ოთახი ზღვას გადაჰყურებს. გვერდით ოთახებში საუზმეს მივირთმევთ ხოლმე“, - ამბობს კეროლი.





**თქვენი ყვავილები ყოველთვის გამორჩეულად ლამაზია.**

**კ.ე.** როდესაც სტუმრებს ვეპატიჟები, სახლს ფერად-ფერადი ყვავილებით ვავსებ ხოლმე. ტაილანდელ ხალხს უსაზღვრო ფანტაზია აქვს – მათთვის წარმოუდგენელი არაფერია! მენიუს ყოველთვის ტაილანდური კერძებით ვავსებ. გადასარევი მზარეული მყავს. ამავდროულად, ვიწვევ ხოლმე DJ-ის, რომელიც სტუმრებს გართობაში ეხმარება. საღამოს კი ყოველთვის ფეიერვერკით ვასრულებ. ჩემი აუზი ყოველთვის ლოტუსის ყვავილებითაა სავსე. ▶





„კუნძულის მცხოვრებლებს საოცარი
უნარი აქვთ ცხოვრების დინებას ფეხი
აუწყონ და ყველაფერს მოერგონ.
აქ უამრავი კულტურაა თავმოყრილი“



„როცა სტუმრებს ველოდები, სახლს ფერად-ფერადი ყვავილებით ვრთავ ხოლმე. მენიუში ყოველთვის ტაილანდური კერძები მაქვს“, – გაგვიმხილა კეროლმა

**მოგვიყევით თქვენს სახლზე, აქ ცხოვრებაზე...**

**კ.ე.** ჩემი უზარმაზარი საძინებელი ოთახის გარდა, აქ ხუთი დიდი საძინებელია. თითოეულ მათგანს პალმებითა და ბუგენვილეებით გაფორმებული ტერასა ამშვენებს. დიდი მისაღები ოთახი ზღვას გადაჰყურებს. მასთანვეა ორი ოთახი, სადაც საუზმეს მივირთმევთ ხოლმე. შუადღისას უგემრიელეს იაპონურ რესტორანს ვსტუმრობთ, საღამოობით კი ამანპურის სანაპიროზე ბარბექიუთი ვინებივრებთ თავს. სწორედ იქ ვხვდებით ხოლმე ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტს, კეიტ მოსს, კლაუდია შიფერს, ჯეიზისა და ბიონსეს...

**საზოგადოებრივ ცხოვრებაში რამდენად ერთვებით?**

**კ.ე.** ძალიან მაბედნიერებს ის ფაქტი, რომ ქველმოქმედებაში მონაწილეობის მიღება შემიძლია. თუმცა, ამას ყოველთვის ჩუმად ვაკეთებ და მიმაჩნია, რომ სიკეთეს აფიშირება არ სჭირდება. გამიმართლა, რომ სხვების დახმარება ბევრნაირად შემიძლია. ვცდილობ ხოლმე, პრიორიტეტები სწორად გავანაწილო. ყველაზე დიდ პატივს ვცემ იმ პროექტებს, რომლებიც სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდისთვის ტარდება. ამ გზით შესაძლებელი ხდება გლამურული და მდიდრული ღონისძიებები კეთილ საქმეებს მოხმარდეს და საზოგადოებისთვის გაცილებით საინტერესო გახდეს.

**როგორ დაახასიათებდით ამ კუნძულზე მცხოვრებ ხალხს?**

**კ.ე.** ფუკეტელებს მებრძოლი და პოზიტიური ბუნების გამო ვაღმერთებ. გაოგნებული ვიყავი, ისე შეუპოვრად გადალახეს 2004 წლის ტრაგედია, როდესაც ცუნამმა უამრავი ადამიანი შეიწირა და საცხოვრებელი სახლები წალეკა. კუნძულის მცხოვრებლებს საოცარი უნარი აქვთ ცხოვრების დინებას ფეხი აუწყონ და ყველაფერს მოერგონ. აქ უამრავი კულტურაა თავმოყრილი. ადგილობრივები ცდილობენ სტუმრებისგან საუკეთესო გაკვეთილები მიიღონ და ნასწავლი ყოველდღიურობაში პოზიტიური კუთხით გამოიყენონ. H

---

ტექსტი: NANA BOTTAZZI
ფოტო: PEPE BOTELLA
სახლის ფოტო: GIORGIO BARONI

---

ვარცხნილობა და მაკიაჟი:
PABLO ARDIZZONE
ჩაცმულობა: ALBERTA FERRETTI,
ERMANNO SCERVINO, CHLOE
სამკაული: ROBERT COIN



კეროლს სახლში მთელი სამყარო აქვს გაერთიანებული. ღია კარიდან და ფანჯრებიდან ანდამანის ზღვის ულამაზესი ხედი იშლება, რომელიც პალმების „ჩარჩოშია“ ჩასმული. კეროლი და მისი შვილი – ნიკოლასი, აუზში ბანაობენ, სადაც მუდამ ლოტუსის ყვავილები ტივტივებს.



სახლი, რომელშიც ეშერი ცხოვრობს, ჩაფლულია ტროპიკულ ჯუნგლებში და სანაპირომდე ვრცელდება.




IKKS ფრანგული
ბრენდი, რომელიც
ზრუნავს
ბავშვების
ჩაცმულობაზე
1987 წლიდან!
მინდა მეცვას...
IKKS
IKKS JUNIOR
ი. ჭავჭავაძის გამზ. 48
995 (032) 229 13 11
JOIN US ON
facebook





# ჰუგო ტეილორი და მილი მაკინტოში მეორედ გაერთიანდნენ

**მილი მაკინტოშისა** და **ჰუგო ტეილორის** რომანი საოცარი სისწრაფით ვითარდება. მარტში, როდესაც მათი ურთიერთობის შესახებ პირველად გახდა ცნობილი, მილისა და მისი რეპერი მეუღლის განშორებიდან ხუთი კვირაც არ იყო გასული. სიახლე მაინც არავის გაჰკვირვებია – იმიტომ, რომ ტელეშოუ **I'm a Celebrity... Get Me Out of Here!**-ის ყოფილი მონაწილე ჰუგო და დიზაინერი მილი ერთმანეთს 2011 წელსაც ხვდებოდნენ. მაშინ ორივე მათგანი **E4**-ის გაპიტებულ შოუში **Made in Chelsea** მონაწილეობდა. რომანი ხანმოკლე იყო და განშორების შემდეგ მილიმ მომავალი მეუღლე – **სტივენ მანდერსონი** (*რეპერი Professor Green-ი*) გაიცნო, რომელთანაც ოჯახი 2013 წლის სექტემბერში შექმნა. ამის მიუხედავად, ინტერვიუებში ჰუგოზე მაინც თბილად საუბრობდა და აღნიშნავდა: ***„ძალიან მიყვარდა და ეს გრძნობა არასოდეს გაქრება. იძულებული ვარ ხოლმე, საკუთარ თავს შევახსენო, რატომ გადავწყვიტეთ განშორება. სიცოცხლის ბოლომდე, მისი დანახვისას ყოველთვის ვიგრძნობ „პეპლებს" მუცელში. არ მგონია, მასთან დაკავშირებულმა შეგრძნებებმა ოდესმე გამიაროს***". ამასობაში 30 წლის ჰუგო დროს არ კარგავდა და საცურაო კოსტიუმების დიზაინერს – **ნატალი ჯოელს** ხვდებოდა. როგორც ჩანს, ვერც ტეილორმა შეძლო 27 წლის მილის დავიწყება, რაზეც მათი განახლებული რომანი მეტყველებს.

წყვილი უკვე ერთად დაესწრო **Monaco Grand Prix**-სა და ბრიტანული პოლოს დღეს, რომელიც დუბაიში გაიმართა. გარდა ამისა, ისინი საბერძნეთსაც ესტუმრნენ და დასვენების დღეები იახტაზე გაატარეს. მილი ყველგან აღნიშნავს, რომ ძალიან, ძალიან ბედნიერია და ამ ეტაპზე მეტის თქმას არ აპირებს. ჰუგოსა და მისი რჩეულის სამომავლო გეგმები საიდუმლოდ რჩება.

**ქართული წარმოშობის ბრიტანელმა ტელევარსკვლავმა ჰუგომ და რეალური შოუებიდან ცნობილმა მილიმ, რომლებიც ერთმანეთს 2011 წელს ხვდებოდნენ, რომანი განაახლეს. ეს მაშინ გახდა ცნობილი, როცა მაისში, ჰუგოს 30 წლის იუბილეზე, წყვილი მონაკოში გამოჩნდა.**



ტექსტი: LAURA BENJAMIN. ფოტო: GETTY IMAGES, ISTOCK

# ანიტა რაჭველიშვილი მზადება ყვავილებში ჩაფლული პატარა ქორწილისთვის





კაბა: AKA NANITA

„ძალიან ვენდობი აკას გემოვნებას და ზუსტად ვიცოდი, რომ იდეალური კაბა გამოვიდოდა. პირველ მოზომვაზევე დავრწმუნდი, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. ამიტომ, ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარ“

ტექსტი: ელენე მარგველაშვილი. ფოტო: ბაჩო თაბატაძე

ანიტა რაჭველიშვილის ცხოვრებაში 28 აგვისტოს კიდევ უფრო ბრჭყვიალა და ბედნიერი ეტაპი დაიწყო. გარდა იმისა, რომ მეცოსოპრანო აქტიურად ჩაერთო სოციალურ კამპანიაში, რომელიც ეკოლოგიაზე, თბილისის სიმწვანესა და სისუფთავეზე ზრუნავს, მან პირადი ცხოვრებაც არ დაივიწყა და ოთო მაისურაძესთან ერთად ახალ, ოჯახურ ცხოვრებას შეუდგა.

იმისათვის, რომ საქორწინო სამზადისში ჩვენი მკითხველიც ჩართულიყო, HELLO! ანიტას მაშინ ესტუმრა, როდესაც პატარძალი, აკა ნანიტაშვილის თანხლებით, პირველად იზომავდა თითქმის უკვე დასრულებულ საქორწილო კაბას: ***„კაბის შეკერვა აკასთან გადავწყვიტე, იმიტომ, რომ მისი ტანსაცმელი ძალიან მიყვარს და ეს ჩემს გარდერობსაც ეტყობა. ძალიან ვენდობი მის გემოვნებას და ზუსტად ვიცოდი, რომ იდეალური კაბა გამოვიდოდა. პირველ მოზომვაზევე დავრწმუნდი, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. ამიტომ ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარ***“.

ანიტას ბედნიერება ისედაც ლამაზ დღეს კიდევ უფრო ემოციურსა და მშვენიერს ხდიდა. როგორც HELLO!-ს გაანდო, ქორწილისთვის ძალიან მშვიდად ემზადებოდა, იმიტომ, რომ ყველა დეტალზე მისი მეგობრები ზრუნავდნენ: ***„ჩემმა საუკეთესო მეგობარმა – ეკა ბერაძემ უამრავი ადამიანი ჩართო ქორწილის სამზადისში. ყველა გვერდში დაგვიდგა და სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში დაგვეხმარა***“.

საქორწინო ცერემონია, რომლის მთავარი ორგანიზატორი **GEORGIAN EVENTS**-ი იყო, ვიწრო წრეში ჩატარდა. ანიტამ და ოთომ ხელი ღია ცის ქვეშ მოაწერეს. ალბათ არ გაგიკვირდებათ, როცა გეტყვით, რომ არმაზის ვილაზე გამართული დღესასწაული მუსიკალურად „თავისით“ გაფორმდა და თითქმის ყველა სტუმარმა ანიტას საკუთარი წილი მუსიკალური ნომერი უსახსოვრა.

ყვავილებში ჩაფლული პატარა ქორწილის დიდ მიმოხილვას HELLO! მომდევნო ნომერში ექსკლუზიურად შემოგთავაზებთ. მანამდე კი, ანიტა და ოთო პარიზში მიემგზავრებიან: ***„პირველი სექტემბრიდან პარიზში რეპეტიციები მეწყება. კარგია, თაფლობისთვის გატარება სიყვარულის ქალაქში რომ მოგვიწევს***“.



კაბა
**PORTNOY BESO**



„ჩოგბურთში ვვარჯიშობდი. მამა და დედა დარწმუნებულები იყვნენ, რომ სპორტს გავყვებოდი. გავიზარდე, შეხედულებები შემეცვალა. მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე. არ იყო ის, რასაც მთელი ცხოვრება გავაკეთებდი. დედას ძლივს გამოვუტყდი, მამას ვერ ვეუბნებოდი. მეგონა ოცნებებს დავუნგრევდი“

# თაკო ნასყვლიშვილი

## VERSACE-ს, ARMANI-სა და DIOR-ის დაუვიწყარ ჩვენებებზე, VICTORIA'S SECRET-ის მოსალოდნელ კასტინგზე და ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე HELLO!-ს ესაუბრა

# მომავალი წელი აშშ-ს, და კიდევ ერთ, ყველა მოდელისთვის საოცნებო მიზანს უკავშირდება

იყო და არა იყო რა... ვიცი, რომ ინტერვიუ ამ სიტყვებით არასოდეს იწყება, მაგრამ თაკო ნაცვლიშვილის წარმატების ამბავი ძალიან ჰგავს ზღაპარს. ზღაპარს პრინცესების ნაცვლად ტოპმოდელებით, მეჯლისის მაგივრად ჩვენებების შემდეგ გამართული წვეულებებით და ამ წვეულებებზე ჰოლივუდის ვარსკვლავებით.

დღეს, **Armani**-ს დეფილეს **Versace**-ს შოუსთვის მზადება ცვლის. ყველა მოდელისთვის საოცნებო – **Dior**-ის პოდიუმზე გამოსვლა მისთვის ოცნება აღარ არის, იმიტომ, რომ პირველივე კასტინგი წარმატებით გაიარა. არ ეგონა წარმატებას ასე მალე თუ მიაღწევდა.

## კორტიდან პოდიუმზე

**თ.ნ.** „ჩოგბურთში ვვარჯიშობდი. მამა და დედა დარწმუნებულები იყვნენ, რომ სპორტს გავყვებოდი. აშშ-ში სკოლას ეძებდნენ, რომ სწავლა გამეგრძელებინა, თან ჩოგბურთი მეთამაშა. ისე მოხდა, რომ დედამ სამოდელო სააგენტო გახსნა. ეჭვიანობის მომენტიც კი მქონდა, მთლიანად მოდელებზე გადაერთო. ექვსი წელი ვვარჯიშობდი ჩოგბურთში. ამასობაში გავიზარდე, შეხედულებები შემეცვალა, მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი საქმე. არ იყო ის, რასაც მთელი ცხოვრება გავაკეთებდი. დედას ძლივს გამოვუტყდი. მამას ვერ ვეუბნებოდი – მეგონა ოცნებებს დავუნგრევდი“.

ზოგმა ძალიან პატარა ასაკიდან იცის რას უკავშირდება მისი ოცნების საქმიანობა, ზოგი მთელი ცხოვრების მანძილზე ეძებს საყვარელ საქმეს, შემდეგ პოულობს, ან იქნებ ვერც პოულობს, მაგრამ ალბათ იშვიათად ირჩევენ პროფესიას, რომელიც ბავშვობაში განსაკუთრებულად არ მოსწონდათ.

**თ.ნ.** „არ მომწონდა დედაჩემი მოდელი რომ იყო, არც მისი მოდელი ნაცნობები მომწონდნენ. თითქოს რაღაც სიყალბეს ვხედავდი – ზედმეტად პრანჭიები მეჩვენებოდნენ. ვფიქრობდი, თუ მოდელი გავხდებოდი, მეც ასეთი უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ შევცდი, ამ ყველაფერზე სულ სხვანაირი წარმოდგენა მქონდა და რეალურად სულ სხვა რამ აღმოჩნდა“.

დღეს ზუსტად იცის მოდელის პროფესიის სასიამოვნო და ყველაზე რთული მხარეები.

**თ.ნ.** „ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ბევრი მოგზაურობა მიწევს. მოგზაურობა არანორმალურად მიზიდავს. ეს ჩემთვის დიდი გამოცდილებაა – ბევრ რამეს ვსწავლობ. რაც შეეხება სიძნელეებს, სამოდელო სფერო ძალიან რთულია. ბევრ რამეზე მიწევს უარის თქმა. მაგალითად – საჭმელზე. ბევრს ვვარჯიშობ. მაშინ, როცა შედეგს ვერ ვხედავ, ამის კეთება ძალიან მიჭირს. ეს ჩემს ხასიათზე მოქმედებს. თუ შედეგს ვხედავ, ბოლომდე, თავდაუზოგავად ვვარჯიშობ. რა თქმა უნდა სირთულეა ის, რომ სააგენტოში კასტინგებზე სიარულისას ხანდახან დამცირების ატანა გიწევს. ყოფილა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სააგენტოში მაგვიანდებოდა, მეტროთი მივ- ▶



კაბა **KETI CHKHIKVADZE**; მოსაცმელი **KETI CHKHIKVADZE**



თაკომ უკვე ზუსტად
იცის მოდელის
პროფესიის
სასიამოვნო და
ყველაზე რთული
მხარეები



კაბა
**TAMUNA INGOROKVA**

**„მახსოვს რთული შესარჩევი ტურებიც. მაგალითად, Versace-ს კასტინგს თვითონ დონატელა ესწრებოდა და იმდენად ვღელავდი, ინგლისურიც კი დამავიწყდა“**

სულვარ, დამხვედრია უამრავი გოგონა. ველოდი ჩემს რიგს. უცებ ვიღაც გამოსულა და უთქვამს: „შეგიძლია წახვიდე“. ეს შენზე მოქმედებს. მით უმეტეს, როცა პატარა ხარ, ქალაქის ქუჩებიც არ იცი, ინტერნეტიც არ გაქვს და გამვლელებს ეკითხები საით წახვიდე. რა თქმა უნდა მახსოვს ყველაზე რთული შესარჩევი ტურებიც. მაგალითად, **Versace**-ს კასტინგი. არანაირი განსაკუთრებული სირთულე არ ყოფილა, მაგრამ თვითონ დონატელა ესწრებოდა და იმდენად ვღელავდი, ინგლისურიც კი დამავიწყდა. მოკლედ სირთულე ბევრია, მაგრამ შედეგი ისეთია, რომ ყველა ამ მომენტს აბალანსებს“.

დღეს ზეპირად იცის პარიზის, ნიუ-იორკისა და ლონდონის ქუჩები. კიდევ ერთი „საზეპირო“, რომელსაც თავი კარგად გაართვა და სირთულე, რომელიც უკან დარჩა, სკოლის დამამთავრებელი გამოცდებია.

თ.ნ. „კარიერისა და სწავლის შეთავსება გამომდის. მაგრამ ეს რთულია. ხშირად ისე ხდებოდა, რომ გადაღებაზე, შესვენებისას, ისტორიის ან რომელიღაც სხვა საგნის სახელმძღვანელოს ვკითხულობდი. გამოცდები ჩავაბარე, მაგრამ ვაპირებ ეს ერთი წელი მთლიანად კარიერას დავუთმო – იმიტომ რომ, ბევრი საინტერესო შემოთავაზება მაქვს. ვფიქრობ ეს ერთი წელი ხელს არ შემიშლის. თუ სწავლა გინდა ამას ყოველთვის შეძლებ, ასეთი შანსი კი მეორედ შესაძლოა აღარ მქონდეს“.

## ამერიკული ოცნება

მომავალი ერთი წელი ამერიკას, და კიდევ ერთ, ყველა მოდელისთვის საოცნებო მიზანს უკავშირდება.

თ.ნ. „ამერიკაში ნიუ-იორკის მოდის კვირეულისთვის ჩავალ. შემდეგ, ერთ წელი იქ დავრჩები. თვრამეტი წლის ვხდები და წელს ან მომავალ წელს **Victoria's Secret**-ის კასტინგზე გავალ. ამისთვის ერთწლიანი მოსამზადებელი კურსი უნდა გავიარო, რომელშიც შედის ფიზიკური ვარჯიში, მეტყველების გაკვეთილები, ვიდეოპოზირება, პოდიუმზე სიარული, და ასე შემდეგ. გასწავლიან როგორ უნდა მოაწონო თავი იმ ადამიანებს, ვინც მოდელებს არჩევენ“.

სანამ სხვა კონტინენტიდან მისი ახალი წარმატების შესახებ გავიგებთ, თბილისში მნიშვნელოვანი სიახლე ელის.

თ.ნ. „ვერ ვიჯერებ, რომ ძმა მეყოლა. ჩვენ შორის სხვაობა ჩვიდმეტი წელია. მან ჩემი ცხოვრება შეცვალა.

რაც შეეხება ჩემს დას, ის ცხრა წლისაა. ექიმობა უნდოდა, მაგრამ ახლა, როცა მე მხედავს, მოდელობა მოუნდა. როდესაც ფოტოს უღებენ, ცდილობს ჩემნაირი მანერით გამოიხედოს. ძალიან საყვარელია. იმდენად ლამაზი და მიზანდასახულია, დარწმუნებული ვარ რასაც მოინდომებს, მიაღწევს“.

იმ შემთხვევაში, თუ თაკოს დაც მოდელის პროფესიას აირჩევს, ფაქტია ყველაზე კომპეტენტური მრჩეველი ეყოლება. რჩევების, ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიცემა, სრულიად უცხო ადამიანებისთვისაც არ ეზარება. სწორედ ამიტომ, მისი **Facebook**-ისა და **Instagram**-ის გამომწერებს, რომელთა რიცხვიც ძალიან დიდია, თაკოს ბლოგის წაკითხვაც შეუძლიათ. ▶



კაბა **PORTNOY BESO**; ფეხსაცმელი **YVES SAINT LAURENT**

**თაკომ დღეს ზეპირად იცის პარიზის, ნიუ-იორკისა და ლონდონის ქუჩები. კიდევ ერთი „საზეპირო“, რომელსაც თავი კარგად გაართვა და სირთულე, რომელიც უკან დარჩა, სკოლის დამამთავრებელი გამოცდებია.**

**თ.ნ.** „ბლოგზე ვწერ საკუთარ თავზე, კულინარიაზე. რადგან მოდელი ვარ, მკითხველებს რჩევებს ვაძლევ სწორ კვებასა და დიეტასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ადამიანებს, რომლებიც მწერენ, თუ ამ ინტერვიუს წაიკითხავენ, მინდა მათ ვუთხრა: ყველას ვერ ვპასუხობ – ეს იმდენად დიდ დროს მოითხოვს, რომ ფიზიკურად შეუძლებელია. ყოველთვის ძალიან მაინტერესებს რას მწერენ. ვცდილობ რჩევები გავითვალისწინო და უარყოფით კომენტარებსაც დადებითად შევხედო, ჩემთვის სასარგებლოდ გამოვიყენო“.

რა თქმა უნდა ვიცით, რომ შეუძლებელია ყველას ტოპმოდელის გარეგნობა გვქონდეს. უპირველესად ის დაიმახსოვრეთ, რომ სრულიად არასტანდარტული გარეგნობის ქალებმა არაერთხელ მოახერხეს მთელი მსოფლიოს გაოცება საკუთარი სილამაზით. შესაბამისად, იდეალურ პროპორციებს თქვენგან არავინ მოითხოვს. თუმცა თუ მაინც გსურთ რაღაცის დაფარვა ან ხაზგასმა, თაკოს ბლოგზე მაკიაჟთან და თავის მოვლასთან დაკავშირებულ რჩევებსაც ნახავთ.

**თ.ნ.** „ადრე მაკიაჟს არ ვიკეთებდი. დროთა განმავლობაში ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. მაგალითად, მცირე ხრიკები პროფესიონალი ვიზაჟისტებისგან: როგორ შეიძლება ცხვირის დამოკლება, სახის დაგრძელება და ასე შემდეგ. ყველაზე ხშირად ტუშს და კონტურს ვიყენებ. ყოველდღიურად შემიძლია ამ ორი საშუალების გარდა სხვა არაფერი გამოვიყენო“.

აქვე შეგიძლიათ მეტი გაიგოთ თაკოს საყვარელი მოდელის – ჟიზელის შესახებ.

**თ.ნ.** „ჩემთვის ცალკეა ყველა დანარჩენი მოდელი და ცალკეა ჟიზელი. ძალიან მომწონს არა მარტო როგორც მოდელი, არამედ როგორც ადამიანი. ჩემი კერპია. ახალი თაობის მოდელებიდან განსაკუთრებით მომწონს ანა ევერსი – იმიტომ, რომ ბრიჯიტ ბარდოს ჰგავს, და არ ჰგავს სხვა მოდელებს“.

ჟიზელს ჯერჯერობით არა, მაგრამ ძალიან ბევრ ცნობილ მოდელს, ნამდვილ ვარსკვლავს უკვე შეხვდა.

**თ.ნ.** „**Versace**-ს ჩვენებაზე **Yamamoto**-ს დეფილედან მივედი. დრო ცოტა იყო და მაშინ პირველად დავჯექი მოტოციკლზე. მოსამზადებლად მე უფრო ადრე მივედი, ტოპმოდელები რა თქმა უნდა შედარებით გვიან მოდიან. მაკიაჟს ვიკეთებდი და უცბად კარლი კლოსი დავინახე. ვიფიქრე მომეჩვენა-მეთქი. მანამდე მხოლოდ ტელევიზორში და **Instagram**-ზე ვხედავდი. სხვა ალბათ მივიდოდა, მიესალმებოდა, ფოტოს გადაიღებდა. მე ასეთ შემთხვევებში ძალიან თავშეკავებული ვარ ხოლმე. **Dolce&Gabbanas**-ს ჩვენებაზე შევხვდი ჯიჯი ჰადიდს. მაშინ ასეთი პოპულარული არ იყო, ახლა უკვე საქართველოშიც ყველამ იცის. ჩვენი ტანისამოსი ერთმანეთის გვერდით იყო განაწილებული. ამ ღელვამ და გაკვირვებამ ბუნებრივია მოგვიანებით გადამიარა. მივხვდი, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ვიფიქრე რამდენიმე წელიწადში შესაძლოა მეც ასეთივე წარმატებული ვიყო, მაგრამ ჩემში არაფერი შეიცვლება-მეთქი“.

## ამინდზე საუბრით დაწყებული კასტინგები

როდესაც შენ გარშემო მთელი მსოფლიოდან ჩამოსული საუკეთესო გარეგნობის ►

**„ყველამ, ვინც ცდილობს საკუთარ საქმეში წარმატებას მიაღწიოს, უპირველესად ეს საკუთარ თავს უნდა დააჯეროს. ოღონდ ამბიციები შესაძლებლობებს არ უნდა აღემატებოდეს“**





კაბა
**TAMUNA INGOROKVA**
მოსაცმელი
**TAMUNA INGOROKVA**

გოგონები იყრიან თავს, მხოლოდ სილამაზე საკმარისი აღარ არის. საჭიროა რაღაც, რაც ყველასგან გამოგარჩევს და წამყვან დიზაინერებს აფიქრებინებს, რომ მათი სამოსი შენ უნდა წარადგინო და არა რომელიღაც სხვამ.

**თ.ნ.** „როდესაც შერჩევაზე მივდივარ, მეუბნებიან, მორცხვი ხარო. ზოგის აზრით, ეს კარგია, ზოგს მიაჩნია, რომ ეს მინუსია. ალბათ კარგია ის, რომ სერიოზული ვარ. მე მგონი არმანიმ ამიტომ ამირჩია. ასეთი ტიპის გოგონები მოსწონს. მახსოვს თავიდან კასტინგ-დირექტორმა შეგვარჩია. შემდეგ თვითონ არმანისთან უნდა შევსულიყავით. ძალიან თავდაჯერებული ვიყავი. მოვიდა, სახეზე შემეხო და თქვა: **Great face**. არ დამავიწყდება როგორ ბრწყინავდა მისი ცისფერი თვალები. ძალიან რთულია **Dior**-ის ჩვენებაზე მოხვედრა. ჩემზე გამოცდილ მოდელებს ეს ოცნებად აქვთ ქცეული. გოგონებს ძალიან პრეტენზიულად არჩევენ. საბედნიეროდ, მე პირველივე ცდიდან გამიმართლა. საერთოდ, ყოველთვის ვცდილობ სადაც მივალ ვიყო კომუნიკაბელური, დავიწყო საუბარი, თუნდაც – ამინდზე. მინდა კომუნიკაცია დავამყარო და ყველას ისეთი დავანახო საკუთარი თავი, როგორიც სინამდვილეში ვარ“.

ვისაც პირველივე ცდაზე, ან საერთოდ არ უმართლებს, თავისი თავი ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული ჰგონია. ასეთ ადამიანებს თაკოს პასუხი ბოლო შეკითხვაზე აუცილებლად გამოადგებათ.

ესეც რჩევა ყველაზე წარმატებული ქართველი მოდელისგან:

**თ.ნ.** „მეც ჩვეულებრივი გოგო ვიყავი. უბრალოდ მუდამ მქონდა მიზანი და მას მივყვებოდი. მერე თვითონაც შევიცვალე, გარეგნობითაც სხვანაირი გავხდი. იმდენად მინდოდა ამ საქმეში წარმატებისთვის მიმეღწია, რომ თითქოს თვით ცხოვრებამ შემოატრიალა ყველაფერი. ყველამ, ვინც ცდილობს საკუთარ საქმეში წარმატებას მიაღწიოს, უპირველესად ეს საკუთარ თავს უნდა დააჯეროს, ოღონდ ამბიციები შესაძლებლობებს არ უნდა აღემატებოდეს. კონკრეტულად მოდელებს კი ვურჩევ, არ დაიზარონ არცერთ გადაღებაზე წასვლა, არცერთ შემოთავაზებაზე არ თქვან უარი, არ აარჩიონ გადაღება იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდია ჰონორარი. ყველა გადაღება ახალი შანსია. ამიტომ მუდამ ვამბობ „კი“-ს! ნაკლებად კარგი გადაღებითაც არაფერი მაკლდება. პირიქით – ყოველთვის რაღაცას ვსწავლობ. თითოეული გადაღება არის თითო ნაბიჯი ჩემი წარმატებისკენ“.

აქ ჩემი დაწერილი პირველი ზღაპარი მთავრდება. იმედია გაგრძელება კიდევ უფრო საინტერესო იქნება. და რადგან ყველა ზღაპრიდან რაღაცის სწავლა შეიძლება, ბოლო აბზაცში სიტყვა „გადაღება“ იმ სიტყვით შეცვალეთ, რისი კეთებაც ყველაზე მეტად გიყვართ! არცერთ შანსზე არ თქვათ უარი, რომელსაც ცხოვრება გაძლევთ! **H**

---

**ტექსტი**: მაკო მჭედლიშვილი
**ფოტო**: ანა ბოკო
**სტილი**: ანი კოკაია
**მაკიაჟი**: MAC COSMETICS
**ვარცხნილობა**: NATALI GROUP
**ლოკაცია**: AMBASSADORI KACHRETI GOLF RESORT

კომბინეზონი **PORTNOY BESO**; ფეხსაცმელი **YVES SAINT LAURENT**



**„ალბათ კარგია ის, რომ სერიოზული ვარ. მე მგონი არმანიმ ამიტომ ამირჩია. მახსოვს, თავიდან კასტინგ-დირექტორმა შეგვარჩია. შემდეგ თვითონ არმანისთან უნდა შევსულიყავით. ძალიან თავდაჯერებული ვიყავი. მოვიდა, სახეზე შემეხო და თქვა: Great face“**


TIMEXPERT LIFT(IN)
A NEW ERA IN LIFTING SKINCARE
GERMAINE DE CAPUCCINI
TIMEXPERT LIFT
VECTOR LIFT
(IN)
GERMAINE DE CAPUCCINI
TIMEXPERT LIFT NECK
GERMAINE DE CAPUCCINI
TIMEXPERT LIFT
CREMA SUPREMA DEFINICIÓN
SUPREME DEFINITION CREAM
(IN)
GERMAINE DE CAPUCCINI
ოფიციალური წარმომადგენელი „ნატალი ჯგუფი“
www.nataligroup.ge



საქმეზე შეყვარებული, სპონტანური, მხიარული და პოზიტიური – ბარაკ ობამამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განსხვავებული იმიჯი დაამკვიდრა. თეთრ სახლში მისი დადებითი მუხტი კიდევ დიდხანს დარჩება.

# თეთრი სახლის დიასახლისი მიშელ ობამა

**შავკანიანი გოგონა ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ამერიკულ ოჯახში გაიზარდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ეოცნება და ჰარვარდის უნივერსიტეტი დაემთავრებინა; შემდეგ კი გამხდარიყო ქალბატონი, რომელიც გავლენას მთელ მსოფლიოზე მოახდენდა.**

## მიშელ და ბარაკ ობამების სიყვარული ტვიტერის ეპოქაში

• 3 ოქტომბერს ობამები ქორწინების 24-ე იუბილეს აღნიშნავენ. ისე, როგორც წინა წლებში, მათ ბედნიერებას მილიონობით ადამიანი გაიზიარებს. პრეზიდენტი და მისი მეუღლე ამერიკელ ხალხს ტრადიციული ცეკვით გამოემშვიდობებიან და სიმბოლურად დააგემოვნებენ იმ ნაყინსაც, რომელიც ბარაკმა მიშელს პირველ პაემანზე უყიდა.

• ობამების ეპოქის დასრულებამდე ხუთი თვეა დარჩენილი. ცოლ-ქმარი თეთრ სახლში გადასვლის პირველივე დღიდან სიყვარულისა და ოჯახური ჰარმონიის მაგალითია. ისინი ერთმანეთით საოცრად ამაყები არიან. მიშელ ობამას გახმაურებული სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ბარაკმა აღნიშნა: „***ამ ქვეყანას ჰქონდა პატივი, ჰყოლოდა ასეთი სამაგალითო პირველი ლედი. მე შენ მიყვარხარ, მიშელ! გაღმერთებ და შენით ყოველთვის ვიამაყებ***“.

# დიასახლისმა თეთრ სახლში ყველაფერი მოასწრო – იცეკვა, იმღერა, ბავშვებს ზღაპრები წაუკითხა, მებაღის მოვალეობებიც მოირგო და იდეალურ მმართველად იქცა

ბარაკ ობამას **2017** წლის **20** იანვარს საპრეზიდენტო ვადა ამოეწურება და მიშელ ობამა ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ პირველ ლედიდ ჩაიწერება. ის ყველას ემახსოვრება, როგორც თეთრი სახლის პირველი აფროამერიკელი დიასახლისი, რომელმაც რვა წლის განმავლობაში მოახერხა პრეზიდენტის სამაგალითო მეუღლედ ქცეულიყო და მსოფლიოსთვის თავი აქტიური საქმიანობითა და შთამბეჭდავი საჯარო სიტყვებით დაემახსოვრებინა.

იდეალური ცოლი, მზრუნველი და ყურადღებიანი დედა, და ძლიერი ქალი, რომელიც მეუღლეს გვერდიდან არასოდეს მოშორებია – ასეთია მიშელი არა მხოლოდ ამერიკის, არამედ მთელი მსოფლიოს თვალში. მას პასუხისმგებლობისთვის არასოდეს აურიდებია თავი და ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ღონისძიებებში. ყველაზე აღსანიშნავი კი მაინც მისი უშუალობაა, რომელსაც ყველგან ავლენდა სადაც მიდიოდა და ყველას, ვინც მის ირგვლივ იყო, თავს ღირებულ და მნიშვნელოვან ადამიანად აგრძნობინებდა.

ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა მიშელ ობამას საჯარო სიტყვაც, რომლითაც ის დემოკრატთა შეკრებაზე გამოვიდა: „ის, რამაც დღეს ამ სცენამდე მომიყვანა, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაა; ისტორია იმ თაობებისა, რომლებმაც მონობის სირცხვილი და დისკრიმინაციის სიმწარე იწვნიეს, მაგრამ არ დანებდნენ, არ დაკარგეს იმედი და გააკეთეს ის, რაც საჭირო იყო იმისთვის, რომ დღეს მე იმ სახლში გამეღვიძა, რომელიც მონებმა ააშენეს. ვუყურებ ჩემს შვილებს – ლამაზ, ჭკვიან, შავკანიან გოგონებს, რომლებიც თეთრი სახლის ეზოში ძაღლებს ეთამაშებიან და ვიმედოვნებ, რომ ისინი, ისევე როგორც ამერიკის მთელი ახალგაზრდობა, შეესწრებიან კიდევ ერთ ისტორიულ ფაქტს – ამერიკის პირველ ქალ პრეზიდენტს!“ ამ სიტყვამ, რომელიც ჰილარი კლინტონის მხარდამჭერი კამპანიის მთავარ მარგალიტად იქცა, მთელი პლანეტა აალაპარაკა და მსოფლიოს ლიდერთა გულებიც დაიპყრო.

## უკეთესი მსოფლიო

როცა მიშელ ობამა საცხოვრებლად თეთრ სახლში გადავიდა, თქვა: „აქ იმიტომ ვარ, რომ მსოფლიო უკეთესობისკენ შევცვალო და ამერიკელებმა იცხოვრონ ქვეყანაში, რომელზეც ჩვენი ბებიები და ბაბუები მხოლოდ თუ ოცნებებდნენ“. პირველი ლედი უკეთესობისკენ ცვლილების, მონდომების, შეუპოვრობისა და სიძლიერის პირველი მაგალითია თუნდაც იმიტომ, რომ ის ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ამერიკულ ოჯახში გაიზარდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ეოცნება, მოენდომებინა და ჰარვარდის უნივერსიტეტი დაემთავრებინა; ▶



„ვიცით, რომ გოგონები ჩვენს ყველა ნაბიჯს აკვირდებიან. ამიტომ ვალდებულები ვართ მათ საუკეთესო მაგალითი მივცეთ. ანალოგიური მიდგომა გვაქვს ჩვენი საჯარო მოვალეობების მიმართაც, და როგორც პრეზიდენტი და პირველი ლედი, ვცდილობთ სწორად მოვიქცეთ და ფრთხილი ნაბიჯები გადავდგათ“



## საკულტო ქალბატონის საჯარო სიტყვამ მთელი მსოფლიო მოიარა




„ის, რამაც დღეს ამ სცენამდე მომიყვანა, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაა; ისტორია იმ თაობებისა, რომლებმაც მონობის სირცხვილი და დისკრიმინაციის სიმწარე იწვნიეს, მაგრამ არ დანებდნენ, არ დაკარგეს იმედი და გააკეთეს ის, რაც საჭირო იყო იმისთვის, რომ დღეს მე იმ სახლში გამეღვიძა, რომელიც მონებმა ააშენეს“

შემდეგ კი გამხდარიყო ქალბატონი, რომელიც გავლენას მთელ მსოფლიოზე მოახდენდა. ის არის საუკეთესო მაგალითი იმისა, რომ შეუძლებელი არაფერია!

მიშელი დღემდე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გოგონების განათლებას. ამის დასტურია ისიც, რომ მისი ფრაზა **Let Girls Learn!** („მიეცით გოგონებს უფლება, ისწავლონ“) დედამიწის ყველა კუნჭულს მისწვდა და საჭირო გავლენაც მოახდინა. ყველა ეროვნების ადამიანი თანხმდება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პირველმა ლედიმ თავისი პირობა პირნათლად შეასრულა და იმ რვა წლის განმავლობაში, რომელიც თეთრ სახლში გაატარა, მსოფლიო უკეთესობისკენ შეცვალა.

### ოჯახური პორტრეტი

მიშელ ობამა ყოველთვის ხაზს უსვამს იმ თანადგომას, რომელსაც საყვარელი მეუღლისგან გრძნობს. „ის საოცარი პარტნიორი და ჩემი ნამდვილი მეორე ნახევარია“, – ამბობს პირველი ლედი, რომელიც ბარაკზე დღემდე ისეა შეყვარებული, როგორც წლების წინ, პირველი შეხვედრებისას იყო, – „მასთან საუბარიც კი მამშვიდებს და მიჩენს შეგრძნებას, რომ ყველაფრისგან დაცული ვარ. განა ის რად ღირს, რომ ამ წლების განმავლობაში დღეც კი არ ყოფილა, **18:30** საათზე ერთად არ გვევახშმა და დრო ჩვენს გოგონებთან ერთად არ გაგვეტარებინა. ყოველდღე ვსაუბრობდით ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასა და არსებულ სიტუაციაზე, და ძალისხმევას არ ვიშურებდით, რომ სწორი გადაწყვეტილებები მიგვეღო“.

## 2017 წლის 20 იანვარს ბარაკ ობამას საპრეზიდენტო ვადა ამოიწურება და მიშელ ობამა ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ პირველ ლედიდ ჩაიწერება



ობამების ოჯახმა თეთრ სახლში ყველაზე ფერადი კვალი დატოვა. მათი წასვლის შემდეგ ეს ადგილი ვეღარასოდეს იქნება ისეთი საინტერესო და მრავალფეროვანი, როგორიც მიშელისა და ბარაკის დროს იყო. ისტორიულ კედლებს ყოველთვის ემახსოვრება, როგორ ცეკვავდა მიშელი, როგორ ერთვებოდა სპორტში, როგორ უკითხავდა ბავშვებს ზღაპრებს, როგორ ითავსებდა დიასახლისის მოვალეობებს, როგორ უვლიდა ბაღს და როგორ რეპავდა ამა თუ იმ სიმღერას! თეთრ სახლში ყოველთვის სამაგალითოდ დარჩება ის შეგრძნებები, ემოციები და დამოკიდებულებები, რომლებსაც ობამები იზიარებდნენ. სწორედ აქ აღმოაჩინა მიშელმა, რომ ბარაკს ძირს დაყრილი წინდების აღება ავიწყდებოდა, აბაზანის მიღების დროს კი რომანტიკულ სიმღერებს მთელი მონდომებით მღეროდა. პრეზიდენტსა და პირველ ლედის არასოდეს შეუკავებიათ თავი, ერთმანეთის მიმართ სიყვარული საჯაროდ და ემოციურად გამოეხატათ.

ყველას აინტერესებს, რა მოხდება ხუთი თვის შემდეგ: სად იცხოვრებენ ობამები, ჩაერთვებიან თუ არა სახელმწიფო საქმიანობაში, როგორი იქნება მათი ყოველდღიურობა და საზოგადოებრივი ცხოვრება... ბარაკ ობამამ სულ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა ვიდეო, რომელიც ყველა ამ შეკითხვას იუმორით პასუხობს. ჩანაწერში ყოფილი პრეზიდენტი ავეჯის მწარმოებელია, მისი მეუღლე კი სამზარეულოს მომმარაგებლის მოვალეობებს ითავსებს, თავად ამზადებს ყველიან ბუტერბროდებს და ხსნის ყველა ფანჯარას! ეს იმიტომ, რომ თეთრ სახლში ფანჯრების გახსნა აკრძალულია, მიშელს კი სუფთა ჰაერის დანაკლისი აქვს.

### კარგი მაგალითი

ის, რომ ობამებისგან მაგალითს მხოლოდ ამერიკელები კი არა, მსოფლიოს მოქალაქეები იღებენ, თავად ბარაკმა და მიშელმაც კარგად იციან. სწორედ ამიტომ, მუდმივად ცდილობენ დარჩნენ კარგ და სწორ მაგალითებად. პირველი ლედი ცდილობს ამერიკელები დაარწმუნოს, რომ მომავალი ჰილარი კლინტონს მიანდონ. მისი აზრით პრეზიდენტობის სწორედ ამ კანდიდატს შეუძლია, მომავალი თაობისთვის ყველაზე კარგ მაგალითად იქცეს: „ვიცით, რომ გოგონები ჩვენს ყველა ნაბიჯს აკვირდებიან. ამიტომ ვალდებულები ვართ მათ საუკეთესო მაგალითი მივცეთ. ანალოგიური მიდგომა გვაქვს ჩვენი საჯარო მოვალეობების მიმართაც, და როგორც პრეზიდენტი და პირველი ლედი, ვცდილობთ სწორად მოვიქცეთ და ფრთხილი ნაბიჯები გადავდგათ. ვიცით, რომ ჩვენი თითოეული სიტყვა და მოქმედება არა მხოლოდ საკუთარ შვილებზე, არამედ ამ ქვეყნის ყველა ბავშვზე, ყველა ადამიანზე ახდენს გავლენას. სწორედ ამიტომ, ნოემბერში, როდესაც საკუთარ არჩევანს დააფიქსირებთ, კარგად გაიაზრეთ, ვინ ჩამოაყალიბებს ჩვენი შვილების მსოფლმხედველობასა და მომავალს, იმიტომ, რომ მომავალი თაობა ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ მხრივ კი, ჰილარი კლინტონი ერთადერთი ადამიანია, რომელიც მზად არის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იყოს“. H

ტექსტი: MIRIAM FOLEY . ფოტო: GETTY IMAGES

idea
city




# იდეა დეველოპერი

**IDEA DEVELOPER** უპრეცედენტო სტუდენტური პროექტია, რომელიც დეველოპერული კომპანია IDEA CITY-ის, ბიზნეს-საკონსულტაციო კომპანია START-BUSINESS SOLUTIONS-ისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით ხორციელდება. სპეციალურად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის 870 სტუდენტიდან, პროექტისთვის 5 ჯგუფი შეირჩა.

„იდეა დეველოპერის“ მთავარი მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ დეველოპერული ბიზნესი, წამოიწყონ საკუთარი პროექტები და გახდნენ IDEA CITY-ს სრულუფლებიანი პარტნიორები.

პირველი ეტაპის შემდეგ პროექტს ორი გუნდი გამოეთიშა. დარჩენილ სამ გუნდს კი შესაძლებლობა მიეცა მეორე ეტაპის დავალებები შეესრულებინა და პრეზენტაცია ტექნოპარკში მოეწყო. HELLO! მათ ლიდერებს გაესაუბრა.




## ილია გიორგაძე

**IDEA CITY**-ს დამფუძნებელი, დეველოპერი

გვჭირდება ახალი თაობა – ამბიციური, ენერგიული, წიგნზე ორიენტირებული, ბიზნესმიმართულებითი თეორიული ცოდნით, რომლებსაც პირდაპირ „კაპიტნის ჩინით“ ჩავრთავთ ბიზნესში.



## გიორგი გოჩაშვილი

**სტუდენტი – პირველ ადგილზე** გასული გუნდის ლიდერი



„იდეა დეველოპერმა“ მე და ჩემი გუნდის წევრებს ჯანსაღი ამბიციები გაგვიჩინა. გვინდა ვიყოთ პირველები და ბევრი ახალი, საინტერესო ინფორმაცია მივიღოთ. რაც მთავარია, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება მოგვეცა და კონკურენტულ გარემოში მუშაობის უნარიც გამოგვიმუშავდა. მნიშვნელოვანი ის არის, რომ მეგობრები ერთიან, შრომისმოყვარე, ძლიერ გუნდად ჩამოვყალიბდით და დავამტკიცეთ, რომ ერთად ბევრი კარგი და საინტერესო საქმის კეთება შეგვიძლია.




## ჯაბა ბურჯალიანი
**START-BUSINESS SOLUTIONS**-ის მმართველი პარტნიორი



„იდეა დეველოპერი“ პირველი სტუდენტური პროექტია, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეისწავლონ დეველოპერული ბიზნესი და შეიძინონ ამ სფეროსთვის დამახასიათებელი კომპეტენციები. პროექტი წარმატებულ და მეწარმეობით დაინტერესებულ სტუდენტებს ბიზნესში ჩართვას სთავაზობს, რითაც ისინი ორგანიზატორი დეველოპერული კომპანიის სრულუფლებიანი პარტნიორები ხდებიან. ამ მხრივ, პროექტის სარგებელი სრულიად განსხვავებულია და შეიძლება ითქვას – ქვეყანაში უპრეცედენტოც.

## სოფო კობაიძე
**START-BUSINESS SOLUTIONS** – „იდეა დეველოპერის“ მენეჯერი



პროექტი ექსპერიმენტული იყო, ამიტომ ზუსტი მოლოდინი არ გვქონია. გვინდოდა უნარიანი და მოტივირებული სტუდენტები დაინტერესებულიყვნენ. ასეც მოხდა და ძალიან კარგი ჯგუფები დაკომპლექტდა. სწორედ ახალგაზრდებს აქვთ ყველაზე დიდი ამბიცია, მოტივაცია და სურვილი იმისთვის, რომ რაიმე განსაკუთრებული და ახალი შექმნან. კონკურსზე აქცენტი სტუდენტების პიროვნულ თვისებებსა და ხასიათის შტრიხებზე გავამახვილეთ, რაც მაქსიმალურად მიზანსწრაფული და მონდომებული მონაწილეების შერჩევაში დაგვეხმარა.

**„დეველოპმენტის მომავალი მასშტაბური პროექტებია, იდეაც ეს გახლავთ – მოვამზადოთ ჩემპიონები მასშტაბური გამოწვევებისთვის“, – ილია გიორგაძე.**

## დავით ამაშუკელი
**სტუდენტი – მეორე ადგილზე** გასული გუნდის ლიდერი



ამ პროექტმა დეველოპერულ სფეროში მუშაობის უდიდესი გამოცდილება შემძინა. ბიზნესის ფაკულტეტზე ვსწავლობ და ამ სფეროსთან შეხება აქამდე არასოდეს მქონია. ახლა უკვე მაქვს შესაძლებლობა, ვითანამშრომლო პროფესიონალ დეველოპერებთან და გავხდე მათი პარტნიორი; ასევე, სრულად შევისწავლო ეს სფერო და უკეთ დავინახო ჩემი შესაძლებლობები. მინდა მაგისტრატურა ამ განხრით გავიარო და პროფესიონალად ჩამოვყალიბდე.

## გიორგი ტარიელაშვილი
**სტუდენტი – მესამე ადგილზე** გასული გუნდის ლიდერი



ამ ოთხი თვის განმავლობაში უშუალოდ ვნახეთ, როგორ კეთდება დეველოპერული ბიზნესი. მივიღეთ ბევრი ახალი და ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია. შესაძლებლობა მოგვეცა გვემუშავა ისეთ საკითხებზე, რომლებთან შეხება ამ პროექტამდე არასოდეს გვქონია. „იდეა სითიმ“ თითოეულ სტუდენტს ძალიან დიდი გამოცდილება შეგვძინა და მოგვცა ინფორმაცია, რომელსაც ყველგან და ყოველთვის გამოვიყენებთ.

# 30 დღე

## ახალი ამბების დასტა



**სამეფო კარის თამაშები** საკონცერტო ტურნეს იწყებს. HBO-ს ცნობილი სერიალის კომპოზიტორი რამინ ჯავადი, მომღერალთა გუნდითა და ორკესტრის სრული შემადგენლობით, ამერიკის შეერთებული შტატების 28 ქალაქს ეწვევა და სტუმრებს ფანტასტიკურ შოუს შესთავაზებს. ტურნე კანზას-სიტიში დაიწყება და მას, პირდაპირი ტრანსლაციის დახმარებით, მთელი მსოფლიო იხილავს.




**TBILISI OPEN AIR** 40-ზე მეტი არტისტისა და მათი უამრავი გულშემატკივრის თანხლებით ჩატარდა. სამდღიან მუსიკალურ ფესტივალს შემსრულებლები 12 ქვეყნიდან ესტუმრნენ. როგორც ყოველთვის, მსმენელებისთვის ქართველმა მუსიკოსებმაც იმღერეს. მთავარი სტუმრები კი Morcheeba, დემიენ რაისი, Tricky, UNKLE, AIR და სტივ ვაი იყვნენ.

**რუსუდან გლურჯიძის** სადებიუტო ნამუშევრის მსოფლიო პრემიერა კარლოვი-ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა და ერთ-ერთი მთავარი პრიზიც მოიპოვა. „სხვისი სახლი“ „ოსკარის“ ნომინანტობისთვის იბრძოლებს. ფილმი მოგვითხრობს ორ ოჯახზე, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ ახალი ცხოვრების დაწყებას ცდილობს.



**თინა ხიდაშელი** და პაატა ზაქარეიშვილი თანამდებობებიდან გადადგნენ. ახალი მინისტრები გიორგი კვირიკაშვილმა წარადგინა. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე – ლევან იზორია უხელმძღვანელებს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში კი სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი იქნება.



**მაიკლ ფელპსი** კიდევ ერთი ოქროს მედლის მფლობელი გახდა. 31 წლის ამერიკელი მოცურავე რეკორდსმენის სტატუსით 2008 წლიდან სარგებლობს – მას სულ 25 ოლიმპიური მედალი აქვს მოპოვებული, რომელთაგან 21 ოქროსია! რიო-დე-ჟანეიროში გამართული ოლიმპიური თამაშების გახსნაზე ამერიკის შეერთებული შტატების დროშა სწორედ მაიკლ ფელპსს ეკავა.

**ლაშა ტალახაძე** ოქროს მედლის მფლობელი გახდა. რიო-დე-ჟანეიროში გამართულ XXXI ოლიმპიურ თამაშებზე,






საქართველოს სახელით მოასპარეზე ძალოსანმა 473 კილოგრამი ასწია და მსოფლიოს ახალი რეკორდიც დაამყარა. მასთან ერთად, იმავე კატეგორიაში, ბრინჯაოს მედალი ირაკლი თურმანიძემ დაისაკუთრა, რის შედეგადაც ოლიმპიურ კვარცხლბეკზე ორი ქართული დროშა აფრიალდა.



**გიორგი მარგველაშვილი** წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთო. მისი განცხადებით, ის მხარს არ უჭერს არცერთ პოლიტიკურ პარტიას და ორიენტირდება იმაზე, რომ საქართველოს მოქალაქეები საარჩევნო უბნებზე მივიდნენ და საკუთარი აზრი დააფიქსირონ. პრეზიდენტის თქმით, წელს გაცილებით უფრო კარგი გარემოა იმისთვის, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს.

**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** ოქროს მედალოსანი გახდა. თავისუფალი სტილით მოჭიდავემ ფინალში იაპონელი რეი ჰიგუჩი, ანგარიშით 4:3 დაამარცხა. 25 წლის ქართველი სპორტსმენი გასულ წელს მსოფლიო ჩემპიონიც გახდა, 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადაზე კი 55 კილოგრამ



# პრეზიდენტი და პირველი ლედი
## ოლიმპიურ თამაშებს ესწრებოდნენ

**გიორგი მარგველაშვილი და მაკა ჩიჩუა ზაფხულის 31-ე ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიას სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებთან ერთად დაესწრნენ. საქართველოს პრეზიდენტი, ქართულ დელეგაციასთან ერთად, ოლიმპიურ სოფელსაც ესტუმრა, სადაც ქართველ სპორტსმენებს წარმატებები უსურვა და მათთან ერთად ისადილა. „რიოში საქართველოს დროშა აღიმართა, რაც ყველას გვახარებს. აქ ორმოცი ქართველი სპორტსმენია და მათი განწყობა შემართებითაა სავსე. დარწმუნებული ვარ საქართველოს დროშა არაერთხელ აიწევა“, – აღნიშნა ქვეყნის პირველმა პირმა, რომელსაც ქართველმა ოლიმპიელებმა მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა გადაუხადეს.**

**მარგველაშვილმა რიო-დე-ჟანეიროში საქმიანი შეხვედრებიც გამართა. ის მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის – ტომას ბახის სახელით გამართულ მიღებას დაესწრო. ასევე შეხვდა კანადის გენერალურ გუბერნატორ დევიდ ჯონსტონს, რომელიც საქართველოშიც მოიწვია. საქმიანი ვიზიტი შედგა მონაკოს პრინცთანაც, რომელმაც ხაზი გაუსვა მონაკოს მტკიცე პოზიციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის შესახებ.**

**პრეზიდენტი, მეუღლესა და ქართულ დელეგაციასთან ერთად, სამშობლოში 7 აგვისტოს დაბრუნდა და ოლიმპიადის გულშემატკივრობა უკვე საქართველოდან განაგრძო. „გვქონდა ბედნიერება, მონაწილეობა მიგვეღო იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაში, სადაც ყველა ერი თავის რჩეულებს აგზავნის“, – განაცხადა მარგველაშვილმა, რომელმაც თითოეულ მედალოსანს გამარჯვება Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე პირადად მიულოცა.**

წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.



**ჯოან როულინგი** ყველა დროის ყველაზე პოპულარული და გაყიდვადი ბრიტანელი ავტორი გახდა და პირველობა თვით უილიამ შექსპირს ჩამოართვა. მწერლის ახალი პიესა „ჰარი პოტერი და დაწყევლილი ბავშვი“ ყოველ წუთში 879 ფუნტს გამოიმუშავებს. წიგნის გამოსვლიდან ერთ კვირაში კი ახალი ისტორიის მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა.



**ლიონელ მესი** არგენტინის ეროვნულ ნაკრებში ბრუნდება. „ბარსელონას“ თავდამსხმელმა გუნდი „კოპა ამერიკა 2016“-ის ფინალური მარცხის გამო დატოვა. შვიდი კვირის შემდეგ კი განაცხადა, რომ საერთაშორისო კარიერის გაგრძელებას აპირებს: „არგენტინულ ფეხბურთში ისედაც მრავალი პრობლემაა და არ მინდა, კიდევ ერთი შევმატო“, – აღნიშნა მესიმ.

**ვანესა მეი** შეკვეთილს ეწვია და 6 აგვისტოს გრანდიოზული კონცერტი გამართა. ბრიტანელი მევიოლინე ქართველი



მსმენელის წინაშე განსაკუთრებული შოუპროგრამით წარდგა. Black Sea Arena-ს ახალ საკონცერტო დარბაზს, რომელიც შუა საუკუნეების სტილში იყო გაფორმებული, ათასობით გულშემატკივარი ესტუმრა და საყვარელი კომპოზიციები მოისმინა.

**ლევან თუთბერიძემ** და ნიკოლოზ ბეჟანიშვილმა ბურგასის საერთაშორისო კინოფესტივალზე სამი მთავარი პრიზიდან ორი დაისაკუთრეს და 24 მონაწილეს შორის გაიმარჯვეს. თუთბერიძის „მოირა“ საუკეთესო მხატვრულ ფილმად, ბეჟანიშვილის „შავი კვადრატი“ კი – საუკეთესო დოკუმენტურ ნამუშევრად დაასახელეს.




**SCORPIONS** Black Sea Arena-ს სცენაზე დაუვიწყარი კონცერტით წარდგა. ჯგუფის 50 წლისადმი მიძღვნილი მსოფლიო ტურნე (Return to Forever) სწორედ საქართველოში დაიწყო და ლეგენდარულმა გერმანულმა როკბენდმა ყველასთვის საყვარელი ჰიტები შეასრულა. ჯანმრთელობის პრობლემის გამო, ჯეიმს კოტაკი ჯგუფ „მოტორჰედის“ დრამერმა – მიკი დიმ ჩაანაცვლა.







ჩაცმულობა **DOTS**

# ია სუხიტაშვილი: „დიდი ხნის შემდეგ საკუთარი კუთხე მექნება“

დეკემბერში მაყურებელი ახალ ქართულ მხატვრულ ფილმს იხილავს. „**თვე როგორც ერთი დღე**“ რეჟისორ **რეზო ესაძის** მორიგი ფილმი გახლავთ, რომლის მთავარი თემები ადამიანური ურთიერთობები, თანადგომა, ტკივილი, გაუტანლობა, სიკეთე, ბოროტება და სიყვარულია. რეჟისორის ახალ ნამუშევარში დაკავებულნი არიან: **ია სუხიტაშვილი, დათო ბეშიტაიშვილი, ნინო ბურდული, დათო დვალიშვილი, მზია არაბული, მიშა გომიაშვილი**.

„***ბატონი რეზო იმ უნიკალურ რეჟისორთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც ქართულ კინემატოგრაფიაში საკუთარი ხელწერა შექმნეს. შესაბამისად, ამ ფილმში მონაწილეობა ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. ყველაზე დიდი გამოწვევა კი სწორედ იმ ორი როლის შესრულება გახლდათ, რომელიც რეჟისორმა მე დამავალა***“, – გაგვიმხილა იამ.

ფილმში მსახიობი მთავარი გმირის შეყვარებულსა და ამავე პერსონაჟის ხანშიშესულ დედას ასახიერებს. იას სიტყვებით, მუშაობის პროცესი საკმაოდ რთული და ამავდროულად, საინტერესო იყო. მსახიობთა ოსტატობასთან ერთად მაყურებელს ოპერატორისა და მხატვრების შესანიშნავი ნამუშევარიც არ გამოეპარება.

დეკემბრამდე საქართველოს კინოთეატრებში იას მონაწილეობით კიდევ ერთი ფილმი გავა. ივლისში გამართულ კარლოვივარის 51-ე კინოფესტივალზე რუსუდან გლურჯიძის სადებიუტო კინოსურათმა „სხვისი სახლი“ გრანპრი დაიმსახურა. ია ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

უახლოეს მომავალში მსახიობი დებიუტანტი რეჟისორის – მიშა აბაშიძის ფილმში ითამაშებს, სექტემბრიდან კი რუსთაველის თეატრის სცენას დაუბრუნდება და ახალ სპექტაკლზე „**ვეფხისტყაოსანი**“ დაიწყებს მუშაობას.

იას ოჯახში ახალი წევრი ჰყავს – იორშიკ ტერიერი, სახელად „გეტსბი-მიმი“. შემოდგომაზე კი მსახიობი თავის ახალ სახლში გადადის. „***ჩემი დიდი შრომის შედეგია, რომ ამდენი ხნის მერე საკუთარი, ლამაზი კუთხე მექნება***“, – ამბობს ია.

**ტექსტი:** ლუიზა კახიანი. **ფოტო:** ბაჩო თაბათაძე.



Ricardo Sanz

ესპანელი პორტრეტისტი

Etere Agency

+995 577 12 22 08



## მდიდრულ იახტაზე მასპინძლობისას

# ჯორჯო არმანი

## თავის „მცურავ სასახლეში“ მოწყობილ სავანეზე გვესაუბრება

„Main დედაჩემის ბავშვობისდროინდელი ზედმეტსახელია. ყოველთვის მინდოდა საკუთარი თავისთვის შემეხსენებინა, რომ ჩვეულებრივ, საშუალო შესაძლებლობების მქონე ოჯახში დავიბადე“




ცნობილი დიზაინერი ყველაზე კარგად ამ იახტაზე ისვენებს. იმის მაგივრად, რომ კლასიკური თეთრი ფერი გამოეყენებინა, ჯორჯომ Maìn-ის დიზაინი მუქ მწვანეში გადაწყვიტა: „ოკეანე იშვიათადაა ცისფერი - ის, უმეტესად, მომწვანო ან მუქი ლურჯია. ამიტომ, ასეთი ფერის იახტა დიდ ყურადღებას არ მიიქცევდა“.





გარდა ეკიპაჟის რვა კაბინისა, იახტაზე სასტუმრო ოთახებიცაა გამოყოფილი. „მცურავი სასახლის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მინის კედლები და ჟალუზებია, რომლებიც არყის ხისგანაა დამზადებული. რაც შეეხება მდიდრულ სააბაზანო ოთახებს, ისინი რუხი ქვითაა მოპირკეთებული.



**Main-ის აშენებას 30 თვე დასჭირდა. მისი საბოლოო სახე იტალიელი გემთმშენებლებისა და ჯორჯოს ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. არმანიმ ინტერიერიცა და ექსტერიერიც თავისი დიზაინით გააფორმა და საოცნებო გარემო მოიწყო. იახტას სამი სართული აქვს. თითოეულ მათგანზე სასტუმრო ოთახები და დიდი დარბაზებია განლაგებული. ყველაფერი ნაცრისფერ, კრემისფერ და მწვანე ტონებშია გადაწყვეტილი. მთავარი შესასვლელი, რომელშიც არყის ხისგან დამზადებული ავეჯი დგას, დიდ ბარს უერთდება. ჭერი მუქი ნაცრისფერი მეტალისაა და ყველაფერს ირეკლავს. ინოვაციური ტექნოლოგიებით სავსე იახტაზე მაგიდის აწევა-დაწევა და სარკიანი კედლების ტელეეკრანებად გადაქცევა ღილაკზე თითის ერთი დაჭერითაა შესაძლებელი.**

მისი სახელი სიმდიდრის, ფუფუნების, ელეგანტურობის, სრულყოფილებისა და დახვეწილობის სინონიმია. ყოველთვის ყველასგან გამორჩეულ დიზაინერს სახლი ბევრგან აქვს, მაგრამ ყველაზე მეტად თავისი ჯადოსნური იახტა – Main-ი უყვარს.

იახტა თავდაპირველად განსაკუთრებული ღონისძიებებისთვის შეიქმნა, შემდეგ კი მფლობელის საყვარელ სახლად გადაიქცა. ცნობილი იტალიელისთვის დამახასიათებელი სიმარტივე, სისადავე, ელეგანტურობა, კომფორტულობა და პრაქტიკულობა Main-ის დიზაინსაც ეტყობა. ჯორჯო, რომელსაც 11 ივლისს 82 წელი შეუსრულდა, ინტერიერისა და ექსტერიერის გაფორმების უშუალო ავტორია და სიამაყით აღნიშნავს: „ეს იახტა ზუსტად ისეთია, როგორიც ოცნებებში წარმომედგინა“.

არმანი ოცნებობდა სახლზე, რომელიც ტალღებზე იტივტივებდა და არასტანდარტული იერი ექნებოდა. სწორედ ამიტომ, უარი თქვა კლასიკურ თეთრ იახტაზე და ამის ნაცვლად არჩევანი მუქ მწვანეზე შეაჩერა, რამაც Main-ს დასასვენებელი კრუიზის კი არა, სამხედრო მანქანის ელფერი უფრო შესძინა.

30-თვიანი საკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ, რომელიც ვიარეჯოს გემთმშენებელ ქარხანაში – Codecasa-ში მიმდინარეობდა, დიზაინერმა ფარდა ახადა 65-მეტრიან მცურავ სასახლეს, რომელიც მსოფლიოს 100 ყველაზე დიდ იახტათა სიაში დამსახურებულად ჩაეწერა. სამივე სართულის ჭერი მუქ ნაცრისფერ მეტალშია გადაწყვეტილი. ძირს აბრეშუმის ხალიჩებია დაფენილი, არყის ხისგან დამზადებული პატარა მაგიდა კი ბალიშებსა და დივნებს შორისაა მოქცეული. ზოგადად, იახტის ავეჯი და მთავარი კიბე არყის ხის გამოყენებითაა დამზადებული. Main-ს 12 კიბე აქვს – ექვსი შიგნით და ექვსი გარეთ. გარდა ამისა, სპეციალურად დამონტაჟებული ლიფტი ერთმანეთთან პირველ სართულსა და სოლარიუმს აკავშირებს. მთლიანი ფართი პროპორციულადაა დაყოფილი და მისაღებ ოთახებს, ეკიპაჟის კაბინებს, ექვს სასტუმრო ოთახს, სავარჯიშო დარბაზს, კინოს ოთახს, ჯაკუზის, ელექტრონულ ბუხარსა და თვალწარმტაც შიდა ეზოს მოიცავს, რომელშიც სასადილო სივრცეც გათვალისწინებულია. სწორედ ეს ნაწილია ჯორჯოს ფავორიტი. მას ასევე განსაკუთრებულად უყვარს თავისი კაბინეტი, რომელიც ანტიკურ იაპონურ სტილშია გადაწყვეტილი.







**„იახტის ქონა დიდი სიამოვნება და ფუფუნებაა. ძალიან მინდოდა, აქ თავი ისე მეგრძნო, როგორც საკუთარ სახლში“**

„მცურავი სასახლის“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მინის კედლები და ჟალუზებია, რომლებიც, ისევ და ისევ, არყის ხისგანაა დამზადებული. ისინი, რა თქმა უნდა, დისტანციურად კონტროლდება. ზოგადად, Main-ი თანამედროვე ტექნოლოგიების ნამდვილი სავანეა! აქ ყველაფერი ღილაკზე თითის ერთი დაჭერითაა შესაძლებელი – მაგიდის აწევა-დაწევა, სარკიანი კედლების ტელეეკრანებად გადაქცევა, საწოლის აკეცვა იმისთვის, რომ ოთახში მეტი სივრცე გამოჩნდეს და ა.შ.

ალბათ, მიხვდით, რომ ჯორჯო ზღვას აღმერთებს. ის მისი შთაგონების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. განსაკუთრებულად ხმელთაშუა ზღვა იზიდავს, რომელსაც ხშირად სტუმრობს ხოლმე თავის იახტასთან ერთად. იბიცა, ფორმენტერა და სან-ტროპე მისი საყვარელი მიმართულებებია. ▶



**„როცა Main-ში ვარ, ჩემი ყველა პასუხისმგებლობა სადღაც ქრება. შესაბამისად, ვისვენებ, ახალი ენერგიით ვივსები და მილანს ბედნიერი და ენთუზიაზმით სავსე ვუბრუნდები"**

ჯორჯო თავის საყვარელ Main-ზე ფოტოსესიისთვის პოზირებს. ის ძალიან ამაყობს იახტითა და თავისი დიზაინით შექმნილი შეზლონგებით, სავარჯიშო დარბაზითა და ოთახით, რომელიც თვალწარმტაცი ხედებით გამოირჩევა. ერთგულ ეკიპაჟსა და იდეალურ გარემოსთან ერთად, არმანი რჩეულ სტუმრებს დაუვიწყარ არდადეგებს ჰპირდება.

**ჯორჯო, რატომ აქვს ამ იახტას თქვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა?**
**ჯ.ა.** ყოველთვის ვგიჟდებოდი ზღვაზე. Main თავიდან ბოლომდე საკუთარი დიზაინით შევქმენი. ძალიან მინდოდა თავი ისე მეგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. ამას ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი...

**რას გრძნობთ ხოლმე მაშინ, როდესაც დროს იახტაზე ატარებთ?**
**ჯ.ა.** აქ ყოფნა დიდი ფუფუნებაა. დიდ სიამოვნებას მანიჭებს ის, რომ ზღვის რიტმს ვარ აყოლილი და თითქოს მის შინაგან სამყაროს ვუკავშირდები. როცა აქ ვარ, ჩემი ყველა პასუხისმგებლობა სადღაც ქრება. შესაბამისად, ვისვენებ, ახალი ენერგიით ვივსები და მილანს ბედნიერი და ენთუზიაზმით სავსე ვუბრუნდები.

**არასოდეს მინახავს მუქი მწვანე იახტა. რატომ შეარჩიეთ ეს ფერი?**
**ჯ.ა.** ოკეანე იშვიათადაა ცისფერი – ის, უმეტესად, მომწვანო ან მუქი ლურჯია. ამიტომ, ასეთი ფერის იახტა დიდ ყურადღებას არ მიიქცევდა.

**მართალია, რომ იახტას დედათქვენის სახელი ჰქვია?**
**ჯ.ა.** დიახ, Main დედაჩემის ბავშვობისდროინდელი ზედმეტსახელია. ყოველთვის მინდოდა საკუთარი თავისთვის შემეხსენებინა, რომ ჩვეულებრივ, საშუალო შესაძლებლობების მქონე ოჯახში დავიბადე, სადაც ყველაზე დიდი სიმდიდრე სკუტერის ყოლა იყო. იახტას დედაჩემის სახელი იმიტომ დავარქვი, რომ მსურდა კავშირი შემენარჩუნებინა იმ სამყაროსთან, რომელიც ასე მიყვარდა.



არმანი ოცნებობდა სახლზე, რომელიც ტალღებზე იტივტივებდა და არასტანდარტული იერი ექნებოდა. სწორედ ამიტომ, უარი თქვა კლასიკურ თეთრ იახტაზე და ამის ნაცვლად არჩევანი მუქ მწვანეზე შეაჩერა.






**„ხმელთაშუა ზღვა ყველაზე მეტად მიყვარს. ის საშუალებას მაძლევს, ჯერ კიდევ ხელშეუხებელ კუნძულებს ვესტუმრო“**

**რომელია თქვენი საყვარელი მიმართულება?**
**ჯ.ა.** ხმელთაშუა ზღვა ყველაზე მეტად მიყვარს. ის საშუალებას მაძლევს ჯერ კიდევ ხელშეუხებელ კუნძულებს ვესტუმრო. მინდა ბევრგან ვიმოგზაურო – მაგალითად, მოვიარო აფრიკის სანაპირო ზოლი ან აზორის კუნძულები. სამწუხაროდ, არასოდეს მქონია იმდენად ხანგრძლივი არდადეგები, რომ ეს სურვილები განმეხორციელებინა.

**იახტით ზამთარშიც მოგზაურობთ?**
**ჯ.ა.** არა, უფრო ზაფხულში.

**აქ წვეულებების მოწყობა გიყვართ?**
**ჯ.ა.** ზოგადად, არ მიყვარს ხალხმრავალი წვეულებები. ფრთხილად და სათუთად ვარჩევ ხოლმე იმ მეგობრებსა და ახლობლებს, რომლებთან ერთადაც დროის გატარება მინდა. უპირატესობას იმ ადამიანებს ვანიჭებ, ვისთანაც ბევრი საერთო მაქვს. **H**

---

**ტექსტი**: NATY ABASCAL
**ფოტო**: OLEG COVIAN
**პროექტის ასისტენტი**:
TERESA SAEZ DE MONTAGUT





ნიკოლოზ ბასილაშვილი პირველი ჩოგბურთელია, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ოლიმპიადაზე წარადგენს.

„მე არ მიმაჩნია, რომ დაოჯახება სპორტის მხრივ ხელისშემშლელია. ამ დასტაბილურებამ და შვილმა კიდევ უფრო დიდი სტიმული მომცა“

## საქართველოს პირველი ჩოგანი

# ნიკოლოზ ბასილაშვილი

### რას ყვებიან ჩოგბურთელი და მისი მეუღლე სპორტსმენის კარიერის სირთულეებზე, ოჯახზე და რიოს ოლიმპიადაზე

მიხარია, რომ ფოტოებს ცოტა ხნით თვალი მოსწყვიტეთ და კითხვისთვისაც მოიცალეთ. ვიცი, ეს არც ისე მარტივი იქნებოდა. ამბობენ, რომ ჩოგბურთელისა და მოდელის ტანდემი ძალიან ხშირია. გამოცემები დაუსრულებლად აქვეყნებენ სპორტის სამყაროს ყველაზე ლამაზი წყვილების სიებს. საქართველოს პირველი ჩოგნის ნიკოლოზ ბასილაშვილის მეუღლეს – ნეკა დოროყაშვილს მოდელის პროფესია არ აურჩევია, თუმცა ხშირად სწორედ ასე იხსენიებენ. ფოტოების ნახვის შემდეგ ალბათ თვითონაც მიხვდით, ასე რატომ ხდება.

დღეს ნიკა მსოფლიოს ასმეოცე ჩოგანია. ტურნირები წარმოუდგენელი სისწრაფით ცვლის ერთმანეთს. შესაბამისად, დაუსრულებლად იცვლება მათი გეგმები, ლოკაციები და თვითმფრინავის რეისები.

**ნ.დ.** „ძალიან რთულია სპორტისა და ოჯახის შეთავსება. ჩოგბურთელის შემთხვევაში კი, უფრო მეტად იმიტომ, რომ ეს ინდივიდუალური სპორტია – ყველაფერი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული. მე და ნიკამ ოჯახი ადრე შევქმენით. ყველას ძალიან უკვირდა, იმდენად წარმოუდგენელია ჩოგბურთელს ოჯახი ჰყავდეს. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ძალიან ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. ნიკა მუდამ წასულია, მე ყოველთვის ვერ დავყვები ტურნირებზე, იმიტომ, რომ ბავშვი ჯერ პატარაა. თუმცა მიუხედავად სიძნელეებისა, ბედნიერებაა როცა კარიერაც გაქვს და ოჯახიც. ადრე ყველაფერი დაგეგმილი და გაწერილი მქონდა. დღეს შესაძლოა უცებ ნიკამ მითხრას, რომ გეგმები შეეცვალა და ხვალ სხვა კონტინენტზე უნდა ვიყოთ. ადრე ეს წარმოუდგენელი მეგონა. ახლა შემიძლია ჩემოდანი გავამზადო და ავსტრალიაში გავფრინდე“.

ხშირად, წარმატებული სპორტსმენები დაოჯახებას და სერიოზული ურთიერთობების დაწყებას არ ჩქარობენ. თუმცა ამ შემთხვევაში ყველაფერი სულ სხვანაირად მოხდა.

**ნ.ბ.** „მე არ მიმაჩნია, რომ დაოჯახება სპორტის მხრივ ხელისშემშლელია. ამ დასტაბილურებამ და შვილმა კიდევ უფრო დიდი სტიმული მომცა. იმდენად სტრესული სპორტია, რომ როცა შინ მიდიხარ, გჭირდება რაღაც, რაც აბსოლუტურად გამოგიყვანს მდგომარეობიდან. ამაში ჩემი შვილი და ოჯახი ძალიან მეხმარება. ნეკამ უპირველესად თავისი გარეგნობით მომხიბლა. შემდეგ – ხასიათით. საერთოდ, მოწონება ძალიან მალე გაივლის, თუ ადამიანში ►



**„ზოგადად, რასაც ვაღწევ, რთულად ვაღწევ. მიმაჩნია, რომ იმას, რასაც ვაკეთებ, სათანადო შედეგი ჯერ არ გამოუღია. ჩემი საუკეთესო მიღწევა ჯერ არ მიჩვენებია“**

რაღაც საინტერესო არ აღმოაჩინე. ნელიკოსთან ურთიერთობა, საუბარი, ჩემთვის განტვირთვა იყო. მახსოვს ვღიზიანდებოდი, როცა ყველა ჩოგბურთს მიხსენებდა, ყველა მხოლოდ სპორტზე მელაპარაკებოდა. ამ დროს ნეკას სულ სხვა თემებზე გადაჰქონდა საუბარი და ამით ძალიან მეხმარებოდა“.

ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება გაცნობიდან წელიწადნახევარში მიიღეს.

ნ.დ. „თავიდან, ძირითადად Facebook-ით ვკონტაქტობდით. ნიკამ სადღაც მნახა და მერე მეგობრებში დამამატა. ჩვენმა ურთიერთობამ ძალიან სწრაფად მიიღო სერიოზული სახე. თავიდან სპორტში საერთოდ ვერ ვერკვეოდი, მაგრამ მალევე ჩავერთე და დღეს ჩოგბურთი ძალიან მიყვარს. ნანახი მქონდა ფილმი „უიმბლდონი“ – შეყვარებული ჩოგბურთელი წყვილის ისტორიაზე, და ნიკას სულ ვეკითხებოდი, ჩოგბურთელი გოგო რატომ არ შეგიყვარდა-მეთქი. მპასუხობდა – ჩოგბურთელი ქალები ზედმეტად მამაკაცურები არიანო. როცა გავიცანი, ყველაზე მეტად ის მომეწონა, რომ სხვებს არ ჰგავდა. ძალიან საინტერესო ადამიანია“.

## სტუმრად საკუთარ ქორწილში

ნ.ბ. „დიდი ჩოგბურთის სამყაროში, წლის განმავლობაში ყველაზე დიდი შესვენება შეიძლება მაქსიმუმ ხუთი დღე გაგრძელდეს და თანაც, სულაც არ არის გარანტირებული, რომ ეს „არდადეგები“ შენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან დღეს დაემთხვევა“.

ნ.დ. „ქორწილი ძალიან სწრაფად დავგეგმეთ. ორგანიზებას რაც ეხებოდა, ყველაფერი მე მოვაგვარე. იმ პერიოდში ნიკა იტალიაში იყო წასული. თბილისში, ღამე, ქორწილამდე რამდენიმე საათით ადრე ჩამოვიდა. დაახლოებით ასი სტუმარი გვყავდა. ასე ვთქვათ „ახალგაზრდული“ ქორწილი გვქონდა. კარგად გავერთეთ და ნიკა ისევ ტურნირზე წავიდა. ახლა რომ ვფიქრობ, თვითონაც არ ვიცი როგორ მოვახერხე – ყველაფერი ხუთ დღეში დაიგეგმა“.

დღეს ვარჯიშებს, შეხვედრებს, ტურნირებს შორის დარჩენილი თავისუფალი დრო მხოლოდ ოჯახსა და ამ ოჯახის ყველაზე პატარა წევრს – ლუკასს უკავშირდება.

ნ.დ. „ბავშვის სახელზე მთელი ცხრა თვე ვფიქრობდი. მინდოდა ისეთი სახელი შეგვერჩია, რომელიც ორივეს მოგვეწონებოდა. ნიკას ლუკა მოსწონდა, მე – ლუკასი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ძალიან პატარაა, უკვე აქვს ხასიათის გამოკვეთილი ნიუანსები: ყველა უყვარს, ძალიან აქტიურია. ნიკაც ასეთი იყო“.

ნ.ბ. „ჩემი თავისუფალი დრო ყოველთვის სახლს ეთმობა. როცა ლუკასი წამოიზ-







„თბილისში ღამით, ქორწილამდე რამდენიმე საათით ადრე ჩამოვიდა. დაახლოებით ასი სტუმარი გვყავდა, ასე ვთქვათ, „ახალგაზრდული“ ქორწილი გვქონდა. კარგად გავერთეთ და ნიკა ისევ ტურნირზე წავიდა“

# „ყველაზე მეტი საკუთარი შეცდომების გათვალისწინებით ვისწავლე და არა სხვების დარიგებებით“



რდება, ტურნირებზე ყველა ერთად ვივლით. ვგეგმავთ, რაღაც პერიოდით, ყველა ერთად თურქეთში გადავიდეთ საცხოვრებლად. საერთოდ, ჩოგბურთი ისეთი სპორტია, რომ მთელი ოჯახი ჩართულია – ბებიაც კი. ჩემი მუდმივი მდგომარეობა ასეთია – ყველა მენატრება. ძალიან რთულია, მაგრამ ჩემი საქმე ეს არის. როდესაც კარიერას დავასრულებ, ყველაფერი სხვანაირად იქნება, მაგრამ ახლა ყველა რაღაცას თმობს, რომ ხელი შემიწყონ“.

ალბათ ერთ-ერთი მთავარი დათმობა, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება მოგიწიოს, დროებით საკუთარ კარიერაზე უარის თქმაა...

**ნ.დ.** „როდესაც შენი მეუღლე ჩოგბურთელია და კარიერის პიკი ჯერ კიდევ მისაღწევია, რთულია საკუთარი საქმე დაიწყო. ზოგადად, ნიკას ძალიან უნდა მაქსიმალურად რეალიზებული ვიყო. ამის დროც მოვა. მოდელის პროფესია მთავარ საქმიანობად არ ამირჩევია. კონკრეტულ სააგენტოში არასოდეს ვყოფილვარ. უბრალოდ, რამდენიმე კონკურსში, სხვადასხვა გადაღებაში მივიღე მონაწილეობა და გადაწყდა, რომ მოდელი ვარ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკისმცოდნეობის ფაკულტეტი დავამთავრე. მოგვიანებით PR-ის კურსები გავიარე. მივიჩნიე, რომ ეს ის არის, რაც ყოველთვის საჭიროა. ამ ეტაპზე საკუთარ თავს ტანსაცმლის დიზაინის სფეროში ვხედავ“.

რთული დათმობის შემდეგ სასიამოვნოზე თუ გადავალთ, სამზარეულომდე მივალთ. თუ გაგვიმართლა და ეს მოხდა რომელიღაც ორ ტურნირს შორის, იქ ნამდვილი შეფი დაგვხვდება, საკუთარ ასისტენტთან ერთად. ოღონდ ეს ის შემთხვევაა, როცა სუ-შეფი უფროსის ადგილის დაკავებაზე არ ოცნებობს. პირიქით – ძალიან კმაყოფილია, რომ მეუღლე, კორტების გარდა, სამზარეულოშიც არ თმობს პოზიციებს.

**ნ.ბ.** „სამზარეულოში ყოფნა მიყვარს. კულინარია ძალიან მაინტერესებს. როცა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისას ბევრ კერძს სინჯავ, თვითონაც გიჩნდება მომზადების სურვილი. ისე გამოვიდა, რომ ამ შემთხვევაში ნეკა შეფმზარეულის დამხმარეა. კერძი, რომელიც ყველაზე კარგად გამომდის, ალბათ პასტაა – საკუთარი განსხვავებული სოუსებით. დიდ ყურადღებას ვაქცევ სწორ კვებას“.

კულინარია ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი გატაცებაა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს თვითმფრინავში ჯდომა მისი პროფესიის ერთ-ერთი ყველაზე დამღლელი ნაწილია, მთავარი ჰობი ფრენას უკავშირდება.

**ნ.ბ.** „ავიაცია მიყვარს. თვითმფრინავების შესახებ ყველაფერი ვიცი. სიმულატორზე ფრენის ოთხთვიანი კურსებიც კი გავიარე“.

ვიდრე ყველა გეგმა განხორციელდება და კარიერის ყველაზე წარმატებული პერიოდი დადგება; სანამ ფრენა მხოლოდ სიამოვნებასთან იქნება დაკავშირებული და ახალ რეცეპტებზე ფიქრისთვის მეტი დრო გაჩნდება, შინ ყველაზე საჭირო ნივთი ვიდეოთვალია.

**ნ.დ.** „ხანდახან მგონია, რომ აქ არის. მუდამ ვიდეოთვალი გვაქვს ჩართული. ძალიან მეხმარება. თვითონ ამბობს, ჩოგბურთმა ხასიათი გამიფუჭაო. მე კი მგონია, რომ პროფესიიდან გამომდინარე მიჩვეულია პრობლემების მარტივად გადალახვას. არ უყვარს რაღაცების გართულება. ყველაფერს მარტივად აგვარებს“.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფით პრობლემებს



იმის მიუხედავად, რომ ნიკამ კარიერის განმავლობაში ყველაზე მძიმე ტრავმა მიიღო, წელს რეიტინგში ადგილის შენარჩუნება მოახერხა. მკურნალობდა გერმანიაში, არგენტინასა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. საბოლოოდ, ზუსტი დიაგნოზის დადგენა მაინც ვერ მოხერხდა და საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესება დამოუკიდებლად, ვარჯიშების დახმარებით მოახერხა.

**„ჩოგბურთი იმდენად სტრესული სპორტია, რომ როცა შინ მიდიხარ, გჭირდება რაღაც, რაც აბსოლუტურად გამოგიყვანს მდგომარეობიდან. ამაში ჩემი შვილი და ოჯახი ძალიან მეხმარება“**

მარტივად უმკლავდება, როგორც ამბობს კარიერაში წარმატების მისაღწევად რთულ გზას გადის და იოლად არაფერი ეძლევა.

**ნ.დ.** „მიმაჩნია, რომ ყველაზე მეტი საკუთარი შეცდომების გათვალისწინებით ვისწავლე და არა სხვების დარიგებებით. დამოუკიდებელმა ცხოვრებამ, ვარჯიშმა, ძალიან დიდი გამოცდილება მომცა. ზოგადად, რასაც ვაღწევ, რთულად ვაღწევ. ვფიქრობ, რომ იმას, რასაც ვაკეთებ სათანადო შედეგი ჯერ არ გამოუღია. ჩემი საუკეთესო მიღწევა ჯერ არ მიჩვენებია. ამისთვის დიდი შრომაა საჭირო, რისთვისაც მზად ვარ“.

### სტარტი

იმის მიუხედავად, რომ კარიერის განმავლობაში ყველაზე მძიმე ტრავმა მიიღო, წელს რეიტინგში ▶

# „ზოგადად, ნიკას ძალიან უნდა მაქსიმალურად რეალიზებული ვიყო“




ადგილის შენარჩუნება მოახერხა. მკურნალობდა გერმანიაში, არგენტინასა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. საბოლოოდ ზუსტი დიაგნოზის დადგენა მაინც ვერ მოხერხდა და საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესება დამოუკიდებლად, ვარჯიშების დახმარებით შეძლო. ამჟამად ასმეოცე პოზიციას იკავებს, თუმცა მისი ყველაზე მაღალი რეიტინგი, მსოფლიოს საუკეთესო ჩოგნების სიაში ოთხმოცდამეექვსე ადგილია. ალბათ ასეთ შედეგზე არ ფიქრობდა მაშინ, როცა ყველაფერი იწყებოდა.

**ნ.დ.** „მამა ჩემთვის ყოველთვის მაგალითი იყო. გადაწყვიტა მისთვის ყველაზე საყვარელი სპორტის სახეობაზე მივეყვანე. მაშინ ხუთი წლის ვიყავი. თორმეტი წლისა აშშ-ში წამიყვანა. იქ შვიდი წელი დავრჩი. შემდეგ ესპანეთში გადავედი. ვფიქრობ კარგ ჩოგბურთელს ორივე უნდა ჰქონდეს გამოვლილი – იმიტომ, რომ ეს სკოლები მიდგომებით რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ძალიან რთული პერიოდი მქონდა ამერიკიდან საქართველოში დაბრუნებისას. იმ დროისთვის ჩემი სპონსორები რუსეთიდან იყვნენ და თამაში რუსეთის სახელით მიწევდა. როგორც კი შესაძლებელი გახდა საქათველოში გადმოვსულიყავი და საქართველოს სახელით მეთამაშა, მაშინვე გადმოვედი. მქონდა შემოთავაზება, თუმცა ყველაფერი ისე არ წავიდა, როგორც მეგონა. ოცი-ოცდაერთი წლის ვიყავი. მწვრთნელი არ მყავდა, ფინანსური სირთულეები შემექმნა. ორი ვარიანტი მქონდა – ან ჩოგბურთისთვის თავი უნდა გამენებებინა და სხვა საქმით დავკავებულიყავი, ან დამოუკიდებლად, სერიოზულად მევარჯიშა“.

## რიოს ოლიმპიადა

დღეს უკვე ფაქტია, რომ ორი შესაძლო ვარიანტიდან, სწორი არჩევანი გაკეთდა. ნიკოლოზ ბასილაშვილი პირველი ჩოგბურთელია, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ოლიმპიადაზე წარადგენს.

**ნ.ბ.** „ოლიმპიადის ლიცენზიის მინიჭება ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციის მიერ ხდება. მე მქონდა შესაბამისი რეიტინგი და მოვხვდი სპორტსმენთა ჩამონათვალში, რაც ძალიან გამიხარდა. ბუნებრივია სპორტის ყველა სახეობაში, მათ შორის ჩოგბურთშიც, ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპარეზობაა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვემზადებოდი, ჩოგბურთელი ყოველთვის მომზადებულია. მუდმივად ტურნირიდან ტურნირზე გადიხარ. წლის დასაწყისში არის სეზონისთვის მზადების დრო, შემდეგ მთელი წელი ამ ფორმას ვინარჩუნებთ. რიოს ოლიმპიადამდეც სხვადასხვა ტურნირზე გავდიოდი, ასე რომ განსაკუთრებული რეჟიმით მზადება არ გამხდარა საჭირო“.

**ნ.ბ.** „როგორ მზადაც უნდა იყო, არსებობს განსაკუთრებული შეხვედრები. წარმოიდგინეთ, ბავშვობიდან იცით რისი კეთება გინდათ, გყავთ მაგალითი, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს და ნახევარი პლანეტა გულშემატკივრობს, მათ შორის – თქვენც. ერთ დღესაც მისთვის საგულშემატკივროდ აღარ გცალიათ, იმიტომ, რომ ახლა გულშემატკივრობა თავად უფრო გჭირდებათ“.

**ნ.ბ.** „ფედერერი ჩემი კერპი იყო და დღემდე ასეა. ყოველთვის თვალს ვადევნებ მის კარიერას. სერიოზულად ვგულშემატკივრობ. რაც შეეხება შეხვედრას, მასთან ვარჯიშები და გარკვეული შეხება მანამდეც მქონდა. ჩემი რეიტინგიც ისეთი იყო, რომ კორტზე გაფანტული არ გავსულვარ. გამოცდილების მხრივ, ბუნებრივია



ჩემზე ათი თავით გამოცდილია. საერთოდ, მიჭირს ხოლმე პირველი წრეების თამაში, მით უმეტეს – ფედერერთან, ავსტრალიაში, ცენტრალურ კორტზე. რთულად დავიწყე და საერთოდ, თამაშმა ემოციურად ჩაიარა. საბოლოო ჯამში, ამ შეხვედრამ ბევრი რამ მომცა“.

შესაძლოა ვიღაცისთვის, ვისაც სირთულეების ეშინია და საკუთარ მიზნებზე ხშირად უარს ამბობს, წარმატების ეს ისტორია მოტივაციად იქცეს. თუმცა მარტო მოტივაცია ყოველთვის საკმარისი არ არის. სწორედ ამიტომ, იმით დავასრულოთ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ ქართველი ჩოგბურთელის წარმატების შესახებ უფრო მეტი გავიგოთ.

**ნ.ბ.** „მე ჭკუას ვერავის დავარიგებ. უბრალოდ მგონია, რომ გვჭირდება მოთამაშეები, რომლებიც ახალგაზრდებს სტიმულს მისცემენ. როცა პატარები გიყურებენ და ხედავენ, რომ თამაშობ, ვარჯიშობ, კარგი რეიტინგი გაქვს, შენგან მაგალითს იღებენ. ვფიქრობ, რაღაც ეტაპზე, ნიჭიერ ახალგაზრდებს ფედერერიც უნდა დაუდგეს გვერდში. ასევე აუცილებელია კარგი მენეჯერების არსებობა, რაც საქართველოში პრობლემაა არა მარტო სპორტის, არამედ ყველა მიმართულებით. დაბოლოს: სპონსორებს თავად უნდა უყვარდეთ, უნდა აინტერესებდეთ ეს სპორტი“.

არ ვიცი რამდენად გიყვართ და გაინტერესებთ ჩოგბურთი, მაგრამ რადგან ისევ აქ ხართ, დარწმუნებული ვარ უკვე ზუსტად იცით, ვის და რატომ უნდა უგულშემატკივროთ.

**ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ**: ᲛᲐᲙᲝ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
**ᲤᲝᲢᲝ**: ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲣᲠᲐᲓᲝᲕᲘ

**„ჩემი თავისუფალი დრო ყოველთვის სახლს ეთმობა. როცა ლუკასი წამოიზრდება, ტურნირებზე ყველა ერთად ვივლით“**



# საკუთარი ოჯახის სადარაჯოზე ბექჰემები

## ვიქტორიასა და დევიდის ოჯახური პორტრეტი



ბრუკლინი პატარა დაიკოს მზრუნველობას არ აკლებს. ოჯახის წევრები ერთმანეთის მიმართ სიყვარულს ყოველთვის თბილად და საჯაროდ გამოხატავენ.

მას შემდეგ, რაც ორი წარმატებული კარიერა ერთ ოჯახში გააერთიანეს, ისინი მსოფლიოს ყველაზე ცნობილ წყვილად და გლამურული სტილის საუკეთესო მაგალითებად იქცნენ. თუმცა როგორი წარმატებულიც უნდა იყოს მათი საქმიანობა, ორივე მათგანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ოჯახი და შვილებია. სულ ცოტა ხნის წინ, ვიქტორიასა და დევიდის პატარა გოგონამ ხუთი წლის იუბილე აღნიშნა და სტუმრების ვიწრო წრეს დახურულ წვეულებაზე უმასპინძლა. „ჰარპერის დაბადების დღე ლონდონში აღინიშნა. მოკრძალებული და ლამაზი წვეულება იყო, რომელსაც მხოლოდ ახლობლები დაესწრნენ", – გაუმხილა HELLO!-ს ერთ-ერთმა სტუმარმა. ეს ალბათ იმიტომ, რომ ბექჰემები ცდილობენ ბავშვები მოკრძალებულ, თავმდაბალ, უშუალო და უბრალო პიროვნებებად გაზარდონ და მათ, უპირველესად, ადამიანური ღირებულებები შეუნარჩუნონ. ამიტომ, ხმაურიან და ხალხმრავალ წვეულებებს მაქსიმალურად ერიდებიან.

ბექჰემის უფროსი ვაჟიშვილი ნიჭიერი ფოტოგრაფია. მისი პირველი პროფესიული დავალება Burberry-ს სუნამოს სარეკლამო ფოტოსესია იყო. ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამავე ბრენდთან თანამშრომლობს რომეოც, რომელიც უკვე გამოცდილი მოდელია. 42 წლის ვიქტორია და 41 წლის დევიდი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბავშვებმა საკუთარი მისწრაფებები განავითარონ. თუმცა, უფრო მეტად მაინც იმაზე ზრუნავენ, რომ ისინი მადლიერებით სავსე, მიწაზე მყარად მდგომ და თავმდაბალ ადამიანებად დარჩნენ. „ძალიან უნდათ ბალანსი დაიცვან და ხელშეწყობასთან ერთად, შვილებს პირადი გამოცდილების მიღებასა და პიროვნული თვისებების შენარჩუნებაშიც დაეხმარონ", – აღნიშნავს ბექჰემების ოჯახის ერთ-ერთი მეგობარი, – „ყველა იმას უსვამს ხაზს, როგორი ზრდილობიანები და გაწონასწორებულები არიან ბექჰემების შვილები. სწორედ ამით ამაყობენ მათი მშობლები ყველაზე მეტად. თუმცა, დამეთანხმებით, ადვილი არ არის ასეთ გარემოში მსგავსი შვილების აღზრდა და მუდმივად სწორი გადაწყვეტილებების მიღება. ძალიან ფრთხილად განიხილავენ ხოლმე იმ საქმიან წინადადებებს, რომლებსაც მათ შვილებს სთავაზობენ. უმეტესობას ბლოკავენ. თუმცა დევიდი და ვიქტორია იაზრებენ, რომ ძალიან გაუმართლათ, რადგან შვილებს იმ შესაძლებლობებს აძლევენ, რომლებიც ბავშვობაში თვითონ არასოდეს ჰქონიათ".

**დევიდი და ვიქტორია შვილებს იმ შესაძლებლობებს აძლევენ, რომლებიც თვითონ არასოდეს ჰქონიათ**



კრუზი, დედასა და უფროს ძმასთან ერთად, Burberry-ს წვეულებას ესწრება.



ვიქტორიას მიერ Instagram-ზე გამოქვეყნებული ეს ფოტო კრიტიკოსებმა ზედმეტი ინტიმურობის გამო დაიწუნეს




დევიდი და ვიქტორია, კრუზსა და ბრუკლინთან ერთად, ლონდონის მარათონს დაესწრნენ. მარათონში შუათანა რომეო მონაწილეობდა, რათა UNAids-ისა და David’s 7-ის ფონდს ქველმოქმედებაში დახმარებოდა.

სულ ცოტა ხნის წინ ბრუკლინი ნიუ-იორკის დიზაინისა და ხელოვნების უნივერსიტეტში – New School-ში, Leica-ს კამერით დააფიქსირეს. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მშობლები მას შემოქმედებითი სამყაროს უკეთ გაცნობაში ეხმარებიან. „მას ძალიან კარგი ხედვა აქვს, ნიჭიერი ფოტოგრაფია. ყველაფერს სწრაფად ითვისებს და ცოდნის სწორად გამოყენება შეუძლია“, – აღნიშნავენ გარშემომყოფები. Burberry-ს მთავარი დიზაინერი – ქრისტოფერ ბეილიც, რომელმაც ბრუკლინი სუნამოების სარეკლამო კამპანიის ფოტოგრაფად დანიშნა, არსებულ მოსაზრებას ეთანხმება და ამბობს: „ამ ბიჭს მართლა საოცარი ხედვა აქვს. მისი სტილი და საქმისადმი დამოკიდებულება ზუსტად ის არის, რაც ახალი კამპანიისთვის გვჭირდებოდა“.

## სამომავლო გეგმები

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ბრუკლინმა აღნიშნა: „მიყვარს ფეხბურთი, მაგრამ ძალიან მიტაცებს ფოტოგრაფია და კინო. ჯერჯერობით, მომავალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას ვერიდები“. რაც შეეხება საუნივერსიტეტო გეგმებს, ბრუკლინი აშშ-ში წასვლას აპირებს: „იმედი მაქვს ხელოვნებასა და ფოტოგრაფიას ამერიკაში უფრო მაღალ დონეზე შევისწავლი“. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბრუკლინი სოციალურ მედიაში განსაკუთრებულად პოპულარულია და Instagram-ზე 7.8 მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს. სწორედ ამ ▶



რომეომ Burberry-ს 2014 წლის საშობაო ვიდეორგოლში მიიღო მონაწილეობა. From London with Love 4-წუთიანი ფილმია, რომლის გადაღებებს ბრენდის მთავარი დიზაინერი ქრისტოფერ ბეილიც ესწრებოდა. „რომეოს საოცარი ხიბლი, სტილი და ენერგეტიკა აქვს“, – აღნიშნა მან.



**ვიქტორია და დევიდი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ბავშვებმა საკუთარი მისწრაფებები განავითარონ. თუმცა ყველაზე მეტად მაინც იმაზე ზრუნავენ, რომ ისინი მადლიერებით სავსე და თავმდაბალ ადამიანებად დარჩნენ**



დევიდი ლოს-ანჯელესს ჰარპერთან ერთად ესტუმრა. ამაყმა მამიკომ გოგონასთან ერთად ხელჩაკიდებულმა ისეირნა და არც თოჯინის „წაყვანა“ დავიწყებია.

**დევიდი და ვიქტორია 2014 წლის London Evening Standard Theatre Awards-ს სტუმრობენ (ზევით). ბრუკლინი და მისი მეგობარი გოგონა - ქლოი გრეის მორეცი, „ცუდი მეზობლები 2“-ის ლოს-ანჯელესურ პრემიერას ესწრებიან (მარცხნივ ქვევით). Burberry-ს მთავარი დიზაინერი ქრისტოფერ ბეილი და რომეო (მარჯვნივ ქვევით).**





ქსელში აქვეყნებს ხოლმე შეყვარებულის – ქლოი გრეის მორეცის ფოტოებს. წყვილმა ერთმანეთი ორი წლის წინ, ლოს-ანჯელესის სატრენაჟორო დარბაზში გაიცნო. მათი ურთიერთობის შესახებ ბევრს არ ლაპარაკობდნენ, თუმცა მაშინ, როდესაც ქლოი ბრუკლინსა და მის მშობლებთან ერთად ჭამის დროს დააფიქსირეს, ყველაფერმა უფრო სერიოზული სახე მიიღო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, Burberry-სთან მხოლოდ ბრუკლინი არ მეგობრობს. ოთხი წელია ბრენდის სარეკლამო კამპანიაში რომეოც აქტიურადაა ჩართული და საშობაო ვიდეორგოლებში მონაწილეობს. ქრისტოფერი უმცროს ძმასაც აქებს და ამბობს: „რომეოსთან მუშაობა ერთი დიდი სიამოვნებაა – მას საოცარი ხიბლი, სტილი და ენერგია აქვს“. აღსანიშნავია, რომ ბექჰემების შუათანა ბიჭი სწავლითა და სპორტული მონაცემებითაც გამოირჩევა. როგორც ამბობს, მოდელობა მისთვის მხოლოდ ჰობია და სამომავლოდ სხვა მიზნები აქვს დასახული.

რაც შეეხება უმცროს ბექჰემებს – 11 წლის კრუზსა და ჰარპერს, ისინი ჯერ ზედმეტად ახალგაზრდები არიან იმისთვის, რომ რამე დაგეგმონ. მიუხედავად იმისა, რომ კრუზის ვოკალური მონაცემებით მშობლები ძალიან ამაყობენ, მუსიკალური კარიერის დაწყებას მაინც ერიდებიან. უნდათ ბიჭს ჩვეულებრივი, თანატოლების მსგავსი ბავშვობა ჰქონდეს. აი, ჰარპერი კი მუდმივად ყურადღების ცენტრშია და ყველაზე უმცროსი ბექჰემის სტატუსითა და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ამას, რა თქმა უნდა, უარყოფითი მხარეებიც აქვს. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ ვიქტორიას მიერ Instagram-ზე გამოქვეყნებული ფოტო უტაქტოდ გააკრიტიკეს. სურათი, რომელზეც ჰარპერს დედამისი ტუჩებში კოცნის, საცურაო აუზშია გადაღებული. კრიტიკოსებმა ეს კადრი ზედმეტი ინტიმურობის გამო დაიწუნეს, თუმცა, საბედნიეროდ, კეთილისმსურველებიც მრავლად გამოჩნდნენ და სოლიდარობის ნიშნად, მსგავსი ფოტოები ატვირთეს.

ჰარპერთან ერთად გადაღებულ ფოტოებს დევიდიც ხშირად აქვეყნებს ხოლმე და ამბობს, რომ ამ გოგონამ ბექჰემების ცხოვრებაში ყველაზე თბილი გრძნობები და ემოციები შემოიტანა: „შენ ყველაზე განსაკუთრებული ხარ მათ შორის, ვისაც ვიცნობ. ძალიან გაგვიმართლა, რომ ყოველდღე შეგვიძლია შენთან ურთიერთობა და ბევრი რამის სწავლა. გაღმერთებთ, ჩვენო პაწაწინა!“

ტექსტი: LAURA BENJAMIN. ფოტო: BURBERRY, GETTY IMAGES



OKTOPUS FITNESS CLUB
ოკტოპუს ფიტნეს კლუბი
კონცეპტუალური სავარჯიშო დარბაზი
ინსტრუქტორების დიდი ჯგუფი
LIFE FITNESS-ის უახლესი სერიის ტრენაჟორები
მომხმარებელზე პერსონიფიცირებული სავარჯიშო პროგრამები
ჯგუფური ვარჯიშების ფართო არჩევანი
Be ok
Climb to the top
Become one of us
OPEN: 24/7
სანდრო ეულის ქუჩა #7, თბილისი
(+995) 32 2 301 888
info@oktopus.ge
www.facebook.com/Oktopusfitness/

„დასვენების დღეების გატარება მშვიდ, ოჯახურ გარემოში მიყვარს“

# ქეთა თოფურია

**HELLO!-ს ესაუბრება იტალიურ ზაფხულსა და სამომავლო გეგმებზე მუსიკალურ და დიზაინერულ კარიერაში**





„დიდი სურვილი მაქვს საქართველოში შემოდგომაზე ჩამოვიდე და ოლივიას ჩვენი დიდი ოჯახი გავაცნო. ძალიან დიდი სანათესაო მყავს. საქართველოში გავიზარდე და ამ გარემოცვაში ბავშვობის უბედნიერესი წლები გავატარე“

„ოლივიას გაჩენისთანავე ჯგუფის წევრებს ვუთხარი, რომ სამუშაო გრაფიკი უნდა შეგვეცვალა. არ მინდოდა ჩემი შვილის აღზრდაში ძირითადი მონაწილეობა ბებიასა და ძიძებს მიეღოთ“

**„იტალიის გარდა მიყვარს საფრანგეთი. განსაკუთრებით – სან-ტროპე, მალდივის კუნძულები, გამოვარჩევდი სენ-ბარტის კუნძულს კარიბის ზღვაში. ზამთარში უპირატესობას სამთო-სათხილამურო კურორტებს ვანიჭებ“**





ლაჟვარდოვანი სანაპირო, მშვიდი გარემო, საყვარელი ადამიანები გვერდით – ბევრისთვის ეს იდეალური დასვენებაა. ჯგუფ **A-Studio**-ს სოლისტი ქეთა თოფურია დაძაბული რეჟიმისგან განსატვირთად სწორედ ასეთ არდადეგებს ანიჭებს უპირატესობას. მის პატარა ქალიშვილ ოლივიასთვის კი ყველაფერი ახალია და ამ მომენტის გაზიარება შვილთან ერთად დედისთვის ყველაზე სასიამოვნო პროცესია. **Hello!** გთავაზობთ საინტერესო დეტალებს იტალიაში დასასვენებლად მყოფ დედა-შვილის საზაფხულო ვოიაჟზე.

**როგორ დაისვენეთ იტალიაში?**

**ქ.თ.** ძალიან მიყვარს იტალიის საკურორტო ქალაქი ფორტე დეი მარმი. აქ ძირითადად ოჯახურად ისვენებენ. ჩემმა ოლივიამ მთელი ზაფხული ამ კურორტზე გაატარა. სხვათა შორის, ზღვაზე პირველად იყო. ძალიან მოეწონა ზღვაში ბანაობა და გართობა. ამან მასზე დიდი შთაბეჭ-



„გამოგვივიდა „პენსიონერული“ დასვენება. ჩემი ყოველდღიური ცხოვრება ისედაც დატვირთული და აქტიურია, ამიტომ დასვენების დღეების გატარება მშვიდ, ოჯახურ გარემოში მირჩევნია“

დილება მოახდინა. ძალიან კარგად დავისვენეთ: ოჯახი, მეგობრები, საუკეთესო გარემო და უგემრიელესი კერძები. უკეთესი რა უნდა ინატრო!

**ზოგადად, რომელია თქვენი საყვარელი დასასვენებელი ადგილი?**

**ქ.თ.** იტალიის გარდა მიყვარს საფრანგეთი. განსაკუთრებით – სან-ტროპე, მალდივის კუნძულები, ასევე გამოვარჩევდი სენ-ბარტის კუნძულს კარიბის ზღვაში. ზამთარში უპირატესობას სამთო-სათხილამურო კურორტებს ვანიჭებ. სრიალი გამორჩეულად საფრანგეთსა და საქართველოში მიყვარს.

**მოგვიყევით, როგორი იყო ერთი ჩვეულებრივი დღე, რომელსაც იტალიაში ოჯახთან ერთად ატარებდით.**

**ქ.თ.** დილის საუზმის შემდეგ სანაპიროზე მივდიოდით; დაახლოებით ოთხი საათისთვის ოლივიაც მოჰყავდათ, რადგან მანამდე ძლიერი მზე იყო და ამ დროს ბავშვის გამოყვანას სანაპიროზე ვერიდებოდი. საღამოობით სავახშმოდ რომელიღაც კარგ რესტორანში მივდიოდით. ცოტა „პენსიონერული“ დასვენება გამოგვივიდა. ჩემი ყოველდღიური ცხოვრება ისედაც დატვირთული და აქტიურია, ამიტომ დასვენების დღეების გატარება მშვიდ, ოჯახურ გარემოში მირჩევნია.

**რა შეიცვალა თქვენს ოჯახურ ცხოვრებაში პატარა ოლივიას გაჩენის შემდეგ?**

**ქ.თ.** ოლივიას დაბადების შემდეგ ჩვენს ოჯახში ბევრი რამ შეიცვალა: ყველა ოლივიას დასტრიალებს თავს. ყველა გეგმა მასთან არის დაკავშირებული, რადგან ის ოჯახში უმთავრესი ადამიანია.

**როგორ ანაწილებთ დროს ისე, რომ ოჯახსაც საკმარისი დრო დაუთმოთ, სამსახურსაც და დასვენებასაც?**

**ქ.თ.** ვინაიდან ჯგუფში ძალიან ახლო და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, ფაქტობრივად ერთი ოჯახივით ვართ. ოლივიას გაჩენისთანავე ჯგუფის წევრებს ვუთხარი, რომ სამუშაო გრაფიკი უნდა შეგვეცვალა. არ მინდოდა ჩემი შვილის აღზრდაში ძირითადი მონაწილეობა ბებიასა და ძიძებს მიეღოთ. ამიტომ შევთანხმდით, რომ თუ ადრე თვეში შვიდჯერ მიწევდა სადმე გადაფრენა, ახლა ეს რიცხვი სამამდე დავიდა. ძირითადად ყველა ღონისძიება, რომელშიც ვმონაწილეობ, საღამოს იმართება – მაშინ, როდესაც ოლივიას უკვე სძინავს. ჩემი თავისუფალი დრო მაქსიმალურად მას ეთმობა, ასე რომ ყველაფერი ფანტასტიკურად მაქვს აწყობილი. ▶



„ოლივიამ მთელი ზაფხული ფორტე დეი მარმიში გაატარა. სხვათა შორის, ზღვაზე პირველად იყო. ძალიან მოსწონდა ზღვაში ბანაობა და გართობა. ამან მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“



**რა ძირითად რჩევებს მისცემდით ქალბატონებს, რომლებიც საზაფხულო არდადეგებისთვის ემზადებიან?**

**ქ.ო.** ზაფხულის პერიოდში ქალბატონებს ვურჩევ გადავიდნენ ჯანსაღ კვებაზე, არ მიირთვან ზედმეტად, დალიონ ბევრი წყალი და ივარჯიშონ. ჩემ შემთხვევაში ვაღიარებ, რომ ცოტა ზარმაცი ვარ. გარკვეული პერიოდი იოგათი ვიყავი გატაცებული, თუმცა ბოლო დროს სპორტულ ცხოვრებაზე ხელი ავიღე. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ბავშვთან უფრო მეტი დროის გატარება მინდა.

**რომელია სილამაზისა და თავის მოვლის ის პროდუქტები, რომლებიც მუდმივად თან გაქვთ?**

**ქ.ო.** მოგატყუებთ, თუ გეტყვით, რომ თავს განსაკუთრებულად ვუვლი და კონკრეტულ კოსმეტიკურ საშუალებებს მოვიხმარ. მთავარია წესრიგში მქონდეს ფრჩხილები და თმა. ბუნებრივად ჯანსაღი თმა მაქვს და დიდ მოვლას არც საჭიროებს. რაც შეეხება კანის მოვლას, ყოველთვის მივირთმევ მხოლოდ ჯანსაღ პროდუქტს და ვსვამ ბევრ წყალს. ასევე მოვიხმარ მკვებავებს. უპირატესობას CELLCOSMET-ის პროდუქციას ვანიჭებ, თუმცა ასევე BIODERMA-ს კრემებსაც გირჩევთ. ▶

„დილის საუზმის შემდეგ სანაპიროზე მივდიოდით; დაახლოებით ოთხი საათისთვის ოლივიაც მოჰყავდათ, რადგან მანამდე ძლიერი მზე იყო და ამ დროს ბავშვის გამოყვანას სანაპიროზე ვერიდებოდი. საღამოობით სავახშმოდ რომელიღაც კარგ რესტორანში მივდიოდით“



## „ყველა გეგმა ოლივიასთან არის დაკავშირებული, რადგან ის ოჯახში უმთავრესი ადამიანია. ჩემი თავისუფალი დრო მაქსიმალურად მას ეთმობა“



**„ზაფხულის პერიოდში ქალბატონებს ვურჩევ გადავიდნენ ჯანსაღ კვებაზე, არ მიირთვან ზედმეტად, დალიონ ბევრი წყალი და ივარჯიშონ. ჩემ შემთხვევაში ვაღიარებ, რომ ცოტა ზარმაცი ვარ. გარკვეული პერიოდი იოგათი ვიყავი გატაცებული, თუმცა ბოლო დროს სპორტულ ცხოვრებაზე ხელი ავიღე. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ბავშვთან უფრო მეტი დროის გატარება მინდა“**

**რა არის ის, რაც სახლიდან შორს ყოფნისას ყველაზე მეტად გენატრებათ ხოლმე?**

ქ.თ. სახლიდან შორს როცა ვარ, ყველაზე მეტად ჩემი ლოგინი და ბალიში მენატრება. ისე, განსაკუთრებულად სხვა ვერაფერს გამოვყოფ.

**საქართველოს შემთხვევაში?**

ქ.თ. საქართველოში ყველაზე მეტად ჩემი ნათესავები და მეგობრები მენატრებიან, მენატრება ბავშვობა, რომელიც საქართველოსთან ასოცირდება. ადრე მესმოდა ფრაზა „ქალაქისა და ქუჩების სუნი მენატრება“. ვერ ვხვდებოდი რას ნიშნავდა ეს. სექტემბერში **30** წლის ვხდები და უკვე ზუსტად ვიცი რა შეგრძნებაა, როცა მშობლიური ქალაქის ნოსტალგია გეუფლება.

**როდის გეგმავთ საქართველოში ვიზიტს?**

ქ.თ. ზაფხულში ჯგუფთან ერთად ბათუმში ღია ცის ქვეშ მქონდა კონცერტი. უამრავი ადამიანი მოვიდა, ფანტასტიკურად მიგვიღეს, დადებითი ემოციებითაც დავიმუხტეთ. მანამდე კონცერტი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზშიც გავმართეთ. ჩემი პირველი ნაბიჯები მუსიკალურ კარიერაში სწორედ ფილარმონიის სცენაზე გადავდგი, შესაბამისად ეს ადგილი ჩემთვის ძალიან ძვირფასი და განსაკუთრებულია. საქართველოში გამართული კონცერტები ყოველთვის მნიშვნელოვანია, ასევე მნიშვნელოვანია ხალხის დამოკიდებულება.

დიდი სურვილი მაქვს შემოდგომაზე ჩამოვიდე და ოლივიას ჩვენი დიდი ოჯახი გავაცნო. ძალიან დიდი სანათესაო მყავს. საქართველოში გავიზარდე და ამ გარემოცვაში ბავშვობის უბედნიერესი წლები გავატარე. ჩემი სურვილია ეს ტრადიცია ოლივიას შემთხვევაშიც გაგრძელდეს. ძალიან მინდა ქართული ენა ისწავლოს. ჯერჯერობით ქართულად არ ველაპარაკები, მხოლოდ რუსულად ვესაუბრები. მოგვიანებით, როდესაც ლაპარაკს დაიწყებს, ქართულზეც გადავალთ.

**რა ხდება A-Studio-ში? როგორია უახლოესი სამომავლო გეგმები?**

ყველამ საფუძვლიანად დავისვენეთ და სექტემბრიდან მუშაობის ჩვეულ რიტმს დავუბრუნდით. ამ თვეში მონაწილეობას ვიღებთ „ახალ ტალღაში“, სადაც ▶



„საქართველოში ყველაზე მეტად ჩემი ნათესავები და მეგობრები მენატრებიან, მენატრება ბავშვობა, რომელიც საქართველოსთან ასოცირდება. ადრე მესმოდა ფრაზა „ქალაქისა და ქუჩების სუნი მენატრება“. ვერ ვხვდებოდი რას ნიშნავდა ეს. სექტემბერში 30 წლის ვხდები და უკვე ზუსტად ვიცი რა შეგრძნებაა, როცა მშობლიური ქალაქის ნოსტალგია გეუფლება“



**„ძალიან მინდა ოლივიამ ქართული ენა ისწავლოს. ჯერჯერობით ქართულად არ ველაპარაკები, მხოლოდ რუსულად ვესაუბრები. მოგვიანებით, როდესაც ლაპარაკს დაიწყებს, ქართულზეც გადავალთ“**



ახალ სიმღერებს წარვადგენთ. დიდი მასალა დაგვიგროვდა. უახლოეს მომავალში საუკეთესო სიმღერებს ავარჩევთ და ვიდეოკლიპებს გადავიღებთ.

**რამდენიმე სიტყვით მოგვიყევით თქვენი ბრენდის – Keti One-ის შესახებ. რა გეგმები გაქვთ ბრენდთან დაკავშირებით?**

ქ.თ. ბოლო კოლექცია, რომელიც ოლივიას მიეძღვნა, აერთიანებდა ტყავის ქურთუკებს მთელი ოჯახისთვის: დედ-მამისთვის და ბავშვებისთვის. მალე დავიწყებთ მუშაობას ზამთრის ხაზზე. დეტალებს ჯერჯერობით საიდუმლოდ შევინახავ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ეს ისევ ქურთუკების კოლექცია იქნება. H

**ტექსტი**: ლულუ კახიანი
**ფოტო**: ROYAL PICTURE
**ლოკაცია**: FORTE DEI MARMI, ITALY


NILO®
THE SPA INDUSTRY
www.nilo-beauty.com
ETEREO
collection
design
alberto apostoli
architecture&design
ოფიციალური წარმომადგენელი
„ნატალი ჯგუფი“
www.nataligroup.ge

„მარტო სცენაზე კი არა, შინაც, მთელი დღის მანძილზე ვმღერი. სიმღერასთან უკვე ორგანულად ვარ შერწყმული“

# ნანი ბრეგვაძე

## სამი თაობა ერთ სცენაზე



ეკა: კაბა KETI CHKHIKVADZE; ნანი: კაბა DJABA DIASSAMIDZE; ფეხსაცმელი JIMMY CHOO
ნატალიკო: კაბა DJABA DIASSAMIDZE; ფეხსაცმელი JIMMY CHOO

„ნატალიკო, ფეხები ლამაზად დააწყვე“, „ხელები ასე არ დაიჭირო“, „თავი ოდნავ ასწიე და გაიცინე“ – დროს არ კარგავს, სანამ ვიზაჟისტი გრიმს უკეთებს, თვალს გვერდით ოთახში, გადაღებისკენ აპარებს და შესწორება შვილიშვილის ფოტოსესიის ყველა კადრში შეაქვს. ეკასთვის და ნატალიკოსთვის აქ უცხო და ახალი არაფერია – იციან, რომ ნანი ასეთია. ჩაცმას, მაკიაჟსა და  სტილს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. თავის მოვლის საკუთარი წესები აქვს, რომლებსაც მათემატიკური სიზუსტით იცავს, ყველაზე კრიტიკული თვალი აქვს და ამ საკითხზე, ხშირ შენიშვნებსა და დატუქსვას ოჯახის წევრები უკვე მიეჩვივნენ. უნდა, რომ მის ოჯახში ქალები მუდმივად მოვლილები, ყოველთვის გაპრანჭულები იყვნენ, უმაკიაჟოდ ანუ „ჩვეულებრივად“ ქუჩაში არ გავიდნენ და უცხო თვალმა მოუწესრიგებლად არასოდეს დაინახოს. თავის მოვლაზე ფიქრი დილიდან იწყება. თმაზე ე.წ. „ბიგუდებს“ იმაგრებს, ლამაზ ხალათს იცვამს და ოჯახის დანარჩენი წევრების გაღვიძებას იწყებს. გარეგნობაზე ზრუნვა, უკვე მისი შინაგანი თვისებაა. „ასე უნდა იყოს, სხვანაირად არ შეიძლება – ეს ხასიათია“. ყოველივე ეს, დედის – ოლგა მიქელაძის დამსახურებაა, რომელმაც წესრიგს ბავშვობიდან მიაჩვია. სახლში კომპოზიტორებს, მხატვრებსა და მუსიკოსებს მუდმივად ეპატიჟებოდა, რომ პატარა ნანის, თუ როგორ დამჯდარიყო სუფრასთან სწორად, რომელ ხელში დაეჭირა დანა, როგორ ევლო ლამაზად, გამართულს და სხვა ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი, მათგან ესწავლა. დედის რჩევებს არ აპროტესტებდა, მორჩილად იღებდა, გამუდმებით იპრანჭებოდა და ძველ, ჩუქურთმებიან სარკესთან, სავარცხლით ხელში საათობით იდგა. ამ ყველაფერმა თავისი კვალი დატოვა და დღეს ნანისთვის გარეგნობაზე ზრუნვა, უკვე ცალკე კულტურა და ცხოვრების უცვლელი წესია.

მომღერლობაზე თავად არასოდეს უფიქრია და არც უოცნებია. სცენაზე პირველი ნაბიჯი დედის თხოვნით გადადგა. დროთა განმავლობაში სიმღერა მისი ცხოვრების მთავარი ნაწილი გახდა, ახლა კი სცენის, ნახევრად ჩაბნელებური დარბაზის, მაყურებლისა და აპლოდისმენტების გარეშე ცხოვრება, ნანის ვერც კი წარმოუდგენია. წარმატებული სასცენო მოღვაწეობა და ოჯახის მართვა, ერთად, რთული აღმოჩნდა. საგასტროლო თარიღებისა და კონცერტების რაოდენობა ყოველდღე მატულობდა, თუმცა შვილთან ერთად გატარებელი საათები სულ უფრო მცირდებოდა და დედაშვილობას სცენა ყლაპავდა. გამოსავალი მალევე მოძებნა – თუ საშუალება იყო, ნანის ეკა გასტროლზე თან მიჰყავდა. ორ თვეს – ივლისსა და აგვისტოს კი ოჯახს მთლიანად უთმობდა. ზაფხული მალე გადიოდა და ეკასთვის დედის მონატრების მუდმივი შეგრძნება კვლავ თანმდევი ხდებოდა. განიცდიდა, თუმცა საზღვარგარე-თიდან ჩამოტანილი კაბები, იმ დროს საქართველოსთვის ►

მომღერლობაზე თავად არასოდეს უფიქრია და არც უოცნებია. სცენაზე პირველი ნაბიჯი დედის თხოვნით გადადგა. დროთა განმავლობაში სიმღერა მისი ცხოვრების მთავარი ნაწილი გახდა, ახლა კი სცენის, ნახევრად ჩაბნელებური დარბაზის, მაყურებლისა და აპლოდისმენ-ტების გარეშე ცხოვრება, ნანის ვერც კი წარმოუდგენია.



ნატალია „ჯულიარდში“ საოპერო ვოკალის მიმართულებების, სამაგისტრო პროგრამის უკვე მეორე, დამამთავრებელი კურსის სტუდენტია. ნიუ-იორკში სასწავლებლად წასული, პასუხისმგებლობისა და ამერიკული, რთული მოთხოვნების წინაშე სრულიად მარტო აღმოჩნდა.

„სხვაგან დიდხანს ვერ ვძლებ – დისკომფორტი მაქვს, მუდამ შინ მეჩქარება. ოჯახის წევრებთან ერთად ყველაზე ბედნიერი ვარ და ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს“



„ოჯახი – ჩემი ცხოვრებაა. ეს არის ყველაფერი – ყოველდღიური ბედნიერების, მომავლისა და სიხარულის განცდა“

უცხო სათამაშოები და „ბრიჯიტ ბარდოს თოჯინა“ ყველაფერს ავიწყებდა. ნანისთან ერთად ქუჩაში სეირნობით, თეატრსა თუ კინოში სიარულით, ყოველი დღე ნამდვილ დღესასწაულად იქცეოდა. გასტროლიდან გასტროლამდე კი ეკას ახალი სტიმული ეძლეოდა, რომ რამე ისეთი ესწავლა და გაეკეთებინა, რითაც თბილისში დაბრუნებულ დედას გაახარებდა და აღაფრთოვანებდა. ოჯახში არასოდეს იყო მოთხოვნა, რომ ეკაც სცენაზე მდგარიყო. პირიქით – არ უყვარდათ და ერიდებოდნენ ბავშვების ხშირ გამოჩენას. თუმცა ყოველივე ამის გათვალისწინებით, თავისთავად მაინც ისე მოხდა, რომ ჯერ ეკამ და შემდეგ ნატალიამაც მათი შემოქმედებითი ცხოვრება და კარიერა სცენასა და სიმღერას დაუკავშირეს.

ნატალია „ჯულიარდში“ საოპერო ვოკალის მიმართულებით, სამაგისტრო პროგრამის უკვე მეორე, დამამთავრებელი კურსის სტუდენტია. ნიუ-იორკში სასწავლებლად წასული, თბილისური გარემოდან, პასუხისმგებლობისა და ამერიკული, რთული მოთხოვნების წინაშე სრულიად მარტო აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობას ბავშვობიდან მიჩვეულია, ყველაფრის მარტო, საკუთარ თავზე აღება და ამერიკული ცხოვრების ტემპისთვის ფეხის აწყობა გაუჭირდა. ოჯახური სითბო და გარემო ოკეანის გადაღმა ყველაზე მეტად ენატრება. ტელეფონზე ქართული ნომერი აქვს დაყენებული და როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავს, საქართველოში მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან რეკავს. ეკა და ნანი ცდილობენ ნატალის იქ ცხოვრება სატელეფონო ზარებით შეუმსუბუქონ. ყოფითი და ახალი ამბების გაცვლის შემდეგ, ბებია მონატრებულ შვილიშვილს ამერიკაშიც არ ეშვება და რჩევა-დარიგებებს მუდმივად აძლევს. ნანისთვის მისი ოჯახი ცხოვრებაში ყველაზე მთავარია და მათზე ზრუნვა მთელი მისი ცხოვრებაა, რომელშიც სიყვარული, დამოკიდებულება, გაზრდა და მომავალი ერთიანდება. ოჯახის მთავარი დიასახლისის სტატუსი ცოტა ხნის წინ შვილს დაუთმო და მთავარი სადავეები ეკას გადააბარა. მოსწონს სახლის საქმეს ეკა როგორც უძღვება, თუმცა თავისი შესწორებები მაინც შეაქვს.

„ოთხმოცი...“ – საუბარს არ მასრულებინებს, ხვდება რაზეც უნდა ვკითხო და ასაკზე კითხვის დაუსმელად, მოკლედ მპასუხობს: „რა არის 80 წელი, წარმოდგენა არ მაქვს. სიტყვიერად რომ დავწერო, გული გამისკდება“. საკუთარ ასაკსა და დაბადების დღეზე ლაპარაკი არ უყვარს. მიაჩნია, რომ ადამიანი შინაგანად როგორც გრძნობს თავს, იმდენი წლისაა. ბიოლოგიური ასაკი კი მხოლოდ ციფრების უაზრო გადათა- ▶



ეკა:
მოსასხამი
KETI CHKHIKVADZE

ნატალიკო:
კორსეტი
MAKA ASATIANI
შარვალი
GUCCI



ეკა: კაბა KETI CHKHIKVADZE; ნანი: ზედა SONIA RYKIEL; ქვედაბოლო LANVIN;
ნატალიკო: კორსეტი MAKA ASATIANI; შარვალი GUCCI; ფეხსაცმელი JIMMY CHOO

ნანისთვის მისი ოჯახი ცხოვრებაში ყველაზე მთავარია და მათზე ზრუნვა მთელი მისი ცხოვრებაა, რომელშიც სიყვარული, დამოკიდებულება, გაზრდა და მომავალი ერთიანდება. ოჯახის მთავარი დიასახლისის სტატუსი ცოტა ხნის წინ შვილს დაუთმო და მთავარი სადავეები ეკას გადააბარა. მოსწონს სახლის საქმეს ეკა როგორც უძღვება.

„იყო ნანი ბრეგვაძის შვილიშვილი – განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა“

„ნანი რჩევას არ იძლევა – პირდაპირ გაკრიტიკებს“



კომბინეზონი
DJABA DIASSAMIDZE
საყურე
LOVOA
სამაჯური
GEORGE BEZANI







## „ნანის „დედას“ ვერ ვეძახი – ის ჩემთვის ყოველთვის ნანია. რაც თავი მახსოვს, ნანიც სულ მახსოვს, ოღონდ – ყოველთვის განსაკუთრებულად“

მაშებაა. იმდენი სამომავლო გეგმა აქვს, რომ ასაკი ხშირად ავიწყდება. ქალაქგარეთ მისი ოცნების სახლის აშენება უნდა. მაყურებელთან გამომშვიდობებას ჯერ არ აპირებს და მონატრებულ მსმენელთან საიუბილეო კონცერტზე შესახვედრადაც ემზადება. წლების მატებასთან ერთად განვლილ ცხოვრებას მუდმივად უკვირდება, ბევრ რამეს შეცვლიდა, თუმცა არაფერს ნანობს. მიაჩნია, რომ რაც და როგორც მოხდა, სწორედ ასე უნდა მომხდარიყო. ცდილობს ცუდს თვალი აარიდოს და ყველაფერში მხოლოდ დადებითი დაინახოს – იმ მარტივი მიზეზით, რომ რაც უფრო კარგი ემოციები ექნება, მით უფრო კარგად იგრძნობს თავს. ცხოვრებას რომ თავიდან იწყებდეს, თავს ისევ სიმღერას, ანუ იმ საქმეს მიუძღვნიდა, რომელთანაც უკვე ორგანულადაა შესისხლხორცებული. „რა არის ხელოვნება?“ – ამ შეკითხვაზე პასუხი არ აქვს, თუმცა ზუსტად იცის, რომ ის მთელი მისი ცხოვრებაა. **H**

**ტექსტი**: ზურა მახარაშვილი
**ფოტო**: ანა ბოკო
**სტილი**: ანი კოკაია

**ოჯახში არასოდეს იყო მოთხოვნა, რომ ეკაც სცენაზე მდგარიყო. პირიქით – არ უყვარდათ და ერიდებოდნენ ბავშვების ხშირ გამოჩენას. თუმცა ყოველივე ამის გათვალისწინებით, თავისთავად მაინც ისე მოხდა, რომ ჯერ ეკამ და შემდეგ ნატალიამაც მათი შემოქმედებითი ცხოვრება და კარიერა სცენასა და სიმღერას დაუკავშირეს.**

Association of Architects of Georgia

STYLE

magazine

Architecture

Interior

Design

www.archias.ge

+995 593 427 473













# CASINO PARTY ბათუმის „ჰილტონში“

ბათუმის „ჰილტონში“ HELLO!-ს წვეულება გაიმართა. Casino Party-ზე, სადაც უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი, დაუვიწყარი შოუ გაიმართა, რომელიც მოცეკვავე გოგონების საოცარი წარმოდგენითა და გემრიელი კოქტეილებით დაგვირგვინდა. საღამოზე ბათუმელ სტუმრებსა და დამსვენებლებს ჟურნალი HELLO! წარუდგინეს.





















# თბილისში BILTMORE HOTEL გაიხსნა

საზეიმო ცერემონიით გაიხსნა „ბილტმორ თბილისი“. რუსთაველის გამზირზე გამართულ გალაღონისძიებას „დაბი ჯგუფმა“ და „ტერა ბანკმა“ უმასპინძლეს. საღამოს, რომელიც ვარსკვლავურმა კონცერტმა, თვალწარმტაცმა ფეიერვერკმა და დაუვიწყარმა ლაზერულმა შოუმ გააფორმა, 5000-ზე მეტი სტუმარი დაესწრო. მათ შორის საქართველოს პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, არაბთა გაერთიანებული საემიროების შეიხი და სხვა ოფიციალური პირებიც იყვნენ. „ბილტმორ თბილისი“ საქართველოში სასტუმროების გლობალურ ჯგუფ Millennium & Copthorne-ის დებიუტია. სასტუმროს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი 214 ნომერი და ოთახების კომპლექტი ემსახურება.









# თვის დღიური








## რიო 2016

2016 წლის ოლიმპიური თამაშები რიოსავით მრავალფეროვანი, ხმაურიანი და საინტერესო იყო. 5-დან 21 აგვისტომდე ბრაზილიას 11 000-ზე მეტი ათლეტი ეწვია, რამაც XXXI ოლიმპიადა ზაფხულის ყველაზე მნიშვნელოვან და გრანდიოზულ მოვლენად აქცია. მარაკანას სტადიონზე გამართულ გახსნის ცერემონიაზე ოლიმპიური ცეცხლი პელეს უნდა დაენთო, თუმცა ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ბრაზილიელმა ფეხბურთელმა უარი განაცხადა და ეს პასუხისმგებლობა მარათონელ ვანდერლეი კორდეირუ დი ლიმას გადააბარა.

როგორც ყოველთვის, ოლიმპიურ თამაშებში ქართველებმაც იასპარეზეს. რიოში წელს 40 სპორტსმენი გაემგზავრა, რაც უპრეცედენტო




















რაოდენობა იყო. მთელი ოლიმპიადა ღირდა იმ მომენტად, როდესაც ორი წითელჯვრიანი დროშა ერთდროულად აღიმართა და ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები ოქროსა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ. ოქროს მედალი ძალოსან **ლაშა ტალახაძეს** ერგო, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა და ყველაზე ღონიერი ადამიანის ტიტული დაისაკუთრა. ასეთივე საამაყო გამარჯვება მოიპოვა თავისუფალი სტილით მოჭიდავე **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმაც**. ბრინჯაოს მედლებით **ირაკლი თურმანიძე**, **ლაშა შავდათუაშვილი**, **შმაგი ბოლქვაძე** და **გენო პეტრიაშვილი** დაჯილდოვდნენ, ვერცხლის მედალოსანი კი **ვარლამ ლიპარტელიანი** გახდა. წელს საქართველომ თავი ნიჩბოსნობაშიც გამოიჩინა და **ზაზა ნადირაძის** წყალობით, ღირსეული მეხუთე პოზიცია დაიკავა.

„რიო 2016“ სხვა მხრივაც გამორჩეული იყო. მაგალითად, კოსოვო და სამხრეთ სუდანი ოლიმპიურ თამაშებში პირველად იღებენ მონაწილეობას. რიო კი პირველი სამხრეთამერიკული ქალაქი გახლდათ, რომელიც ზაფხულის ოლიმპიადას მასპინძლობდა. რაც შეეხება მთავარ პრიზებს, წელს ოლიმპიელები ისტორიაში ყველაზე დიდი ზომის მედლებით ჯილდოვდებოდნენ.

28 ოლიმპიურ სპორტში მოასპარეზე ქვეყნებიდან, შინ ყველაზე მეტი ოქროს მედალი აშშ-მ წაიღო. ლიდერთა ხუთეულში დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, გერმანია და რუსეთიც შევიდნენ.

რა თქმა უნდა, რიოში საინტერესო მომენტებიც დაფიქსირდა. წელს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც თამაშებში **სამმა ტყუპისცალმა** მიიღო მონაწილეობა. თანაც, ისინი ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ! აქვე, ჩინელმა **ქინ კაიმ** გადაწყვიტა შეყვარებულისთვის ხელი პირდაპირ სათამაშო მოედანზე ეთხოვა და მაშინ, როდესაც **ჰე ზიმ** ვერცხლის მედალი მოიპოვა, მას ბრილიანტის ბეჭედი აჩუქა. მთელი მსოფლიო აალაპარაკა იმ ემოციურმა შემთხვევამ, რომელიც ქალთა სირბილის დროს მოხდა – ახალზელანდიელი **ნიკი ჰამბლინი** და ამერიკელი **ები დაგოსტინო** ერთმანეთს შეეჯახნენ და წაიქცნენ. ამერიკელი სირბილის გაგრძელებას აპირებდა, როდესაც შენიშნა, რომ მისი მეტოქე ფეხზე ვერ დგებოდა. ამიტომ, მასთან მივიდა და წამოდგომასა და ფინიშამდე გაჭირვებით მისვლაში დაეხმარა. ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან, ეს გულისხმიერება ფინალში გადაყვანით დაჯილდოვდა.

„რიო 2016“-ს **8 მილიონამდე გულშემატკივარი** ესწრებოდა. მიუხედავად ბრაზილიის არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობისა, თამაშებმა მაინც იდეალურ გარემოში ჩაიარა.






# დაზოგეთ თანხა და მიიღეთ საჩუქრები!

# გამოიწერეთ HELLO!




**ერთი წლით**
და მიიღეთ
**20%** ფასდაკლება

**ექვსი თვით**
და მიიღეთ
**10%** ფასდაკლება




**ადგილზე მიტანის უფასო სერვისით**
**HELLO!**
**თქვენს ოჯახებს ყოველ თვე ესტუმრება!**

**ჟურნალის გამომწერი** საჩუქრად **HELLO!**-ს ახალ ნომერსა და საზღვაო ჩანთას მიიღებს!

**ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ: +995 032 298 03 98**
ან **მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

**ფასდაკლებები და პრივილეგიები ეხებათ მხოლოდ 6 და 12 თვიან გამომწერებს.** შემოთავაზება მორგებულია ბეჭდურ ჟურნალზე და არ ვრცელდება **HELLO!**-ს ელექტრონულ ვერსიაზე. გამომწერები მუდმივად მიიღებენ განახლებულ ინფორმაციას ჟურნალში წარმოდგენილი ამა თუ იმ პროდუქტისა და მომსახურების შესახებ. **დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ელექტრონულ მისამართზე: info@hellomagazine.ge**

# HELLO! lifestyle





**ოლივია პალერმო მონოქრომული პიჯაკითა და შარვლით ნიუ-იორკში, Piaget-ას წვეულებაზე**




SHOPPING

## GET THE LOOK!

**ოლივია პალერმოს** სტილი ყოველთვის საკმაოდ მინიმალისტურია. ამჯერად ცნობილმა IT GIRL-მა **კრემისფერ პიჯაკსა და შარვალს აბრეშუმის ტოპი და Stella McCartney-ს პლატფორმები შეუხამა**. მკაცრი ანდროგენული ჩაცმულობა ოლივიამ ამ გზით უფრო კომფორტული გახადა. პოპულარულმა Fashionista-მ ყოველივე ამას კრემისფერი კლატჩი მოარგო, რამაც მთლიანი LOOK-ი კიდევ უფრო გაახალისა. რაც შეეხება მაკიაჟსა და ვარცხნილობას, ოლივიამ აქაც მაქსიმალური ბუნებრივობა არჩია – ოდნავ შევარდისფრებული ლოყები და სადა, გაშლილი თმა.

**1.** რუჟი **CIATE OLIVIA PALERMO 80₾ sephora.com**; **2.** პიჯაკი **CHLOE 3746₾ net-a-porter.com**; **3.** შარვალი **MAX MARA 799₾ net-a-porter.com**; **4.** მაისური **TOPSHOP 86₾**; **5.** თვალის ფანქარი **DIORSHOW 75₾ bloomingdales.com**; **6.** კლატჩი **NATALIE TRAD 2014₾ mytheresa.com**; **7.** ფეხსაცმელი **STELLA MCCARTNEY 1950₾ mytheresa.com**



Msgm F/W 16/17



MATERIEL
მოსაცმელი
900₾



Msgm
F/W 16/17



MATERIEL
მაისური
280₾



VIVIENNE
WESTWOOD
პერანგი
413₾
net-a-porter.com



MATERIEL
კაბა
900₾

FASHION

# კოპლები &

## ყველაზე მარტივი გეომეტრიული ფორმები წელს პოდიუმზე განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით ვიხილეთ

აღსანიშნავია **Marc Jacobs**-ის შავ-თეთრი კოპლები, **BALMAIN**-ის ზოლიანი სამოსი შუა საუკუნეების სილუეტებით და **Tommy Hilfiger**-ის მეზღვაურის უნიფორმით ინსპირირებული კოლექცია. ერთი შეხედვით საკმაოდ მინიმალისტურ ტრენდს დიზაინერებმა სხვადასხვა ინსპირაცია მოარგეს.



PIERRE HARDY
ფეხსაცმელი
816₾
forzieri.com



George Shagashvili F/W 16/17



MICHAEL
MICHAEL KORS
კაბა
464₾
net-a-porter.com



STELLA
MCCARTNEY
კაბა
2504₾
net-a-porter.com



Marc Jacobs F/W 16/17



CHRISTIAN LOUBOUTIN
ფეხსაცმელი
1150₾
net-a-porter.com



Msgm F/W 16/17



House Of Holland F/W 16/17

# ზოლები



**TOPSHOP**
ნაქსოვი ბლუზა
44₾
topshop.com



**A.W.A.K.E**
კაბა
1258₾
matchesfashion.com



**STRADIVARIUS**
კომბინეზონი
69₾
stradivarius.com



**MOREISLOVE**
კაფტანი
846₾
moreislove.com



**LALO**
ქვედაბოლო
1311₾
moreislove.com



**TOPSHOP**
მაისური და შორტი
149₾
topshop.com



**SARA BATTAGLIA**
კლატჩი
3862₾
lindelepalais.com



**AVTANDIL**
ლაბადა
1000₾

მსოფლიო მოდის სახლებს არც ქართველი Trendsetter-ები ჩამორჩნენ – **გიორგი შაღაშვილის** იაპონური კულტურით შთაგონებული კოლექცია უმეტესად კოპლიან სამოსს მოიცავდა.

**DOTS**
კაბა
175₾



**DOTS**
კაბა
155₾



**AVTANDIL**
კაბა
135₾



**AVTANDIL**
ესპადრილი
100₾



**ALDO**
საათი
68₾
aldoshoes.com



Balmain
F/W 16/17



Max Mara F/W 16/17

**ტექსტი**: თამთა ლაბაძე. **ფოტო**: GETTY IMAGES



ALDO
ყელსაბამი
66₾



DOTS
მაისური
135₾

CARVEN
კაბა
553₾
outnet.com

MATERIEL
კაბა
800₾

ROLANDMOURET
კაბა
2054₾
stylebop.com

MANGO
კაბა
129₾
shop.mango.com

FASHION

# ასიმეტრია

## შეხვდით ახალ სეზონს ახალი ფორმებით – ასიმეტრიული ჭრები და ორიგინალური სილუეტები შემოდგომის MUST HAVE ტრენდია

ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მკლავები, უსწორმასწორო სიგრძე და კაბები ნახევრადმოშიშვლებული მხრებით – სექტემბრის მოდური ტენდენცია **მთლიანად ექსპერიმენტებსა** და **თამამ სილუეტებს** ეფუძნება. ასიმეტრიული სამოსის განსხვავებულ ვარიანტებს გვთავაზობენ მოდის წამყვანი სახლებიც. **HERVE LEGER**-ის ქალი 2016 წლის შემოდგომისთვის გამომწვევი და სექსუალურია – ატარებს მბზინვარე ასიმეტრიულ კაბებსა და მაღალყელიან ჩექმას. შედარებით დახვეწილი და მინიმალისტური ასიმეტრია გვხვდება **Lanvin**-ის კოლექციაში – **სადა ფაქტურის ნაზი კაბები** ცალი მკლავით.



DOTS
კაბა
195₾

DOTS
ფეხსაცმელი
190₾



DOTS
ბლუზა
175₾

DOTS
შარვალი
95₾

DOTS
ფეხსაცმელი
190₾



ALDO
ბეჭედი
20₾



DOTS
კაბა
195₾

DOTS
ფეხსაცმელი
190₾



JONATHAN SAUNDERS
მაისური
682₾
net-a-porter.com



MOSCHINO
კლატჩი
356₾
moschino.com




Mariam
Gvasalia
F/W 16/17
David
Koma
F/W 16/17
Herve Leger
By Max Azria
F/W 16/17
Philosophy
Di Lorenzo
Serafini
F/W 16/17
Lanvin F/W 16/17
Avtandil
F/W 16/17
Vionnet
F/W 16/17



ფლორი არნოლდი Bershka-ს მაღაზიის გახსნაზე ლონდონში



**BERSHKA**
ბომბერი 89₾
**bershka.com**

FASHION

# COOL STYLE

ვარსკვლავები ჯაობისფერ სამხედრო ბომბერებსა და უხეში ფაქტურის ქურთუკებს დაძენძილ მაისურებსა და ჯინსთან ერთად ატარებენ. სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა **Smart Casual** ჩაცმულობას მკვეთრი ფერის ქუსლიანი სანდლები შეუხამა.



**IRO**
მაისური 300₾
**farfetch.com**



**ZARA**
ჯინსი 99₾
**zara.com**

**ALDO**
სანდლები 202₾
**aldoshoes.com**



**სუპერმოდელი ჯიჯი ჰადიდი Stuart Weitzman-ის წვეულებაზე ნიუ-იორკში**

# My Classic Automobile



Jaguar XK 150 3.4L




MGA Le Mans



Jaguar Type E S1 4.2L

კლასიკური მოგზაურობა დროში

www.myclassicautomobile.com





ლურჯი კაბა, თეთრი პერანგი და პრინტიანი ჩანთა **IKKS**

*FASHION*

გოგონა VOGUE-ის ფურცლებიდან

# ნინა შანიძე

## საერთაშორისო სილამაზის ქართული სახე



ეს გოგონა შესაძლოა საბავშვო Vogue-ისა და Elle-ის ფურცლებიდან გეცნობოდეთ... არც ისაა გამორიცხული, რომ მისი ლამაზი სახე და ღიმილი Mango Kids-ის, Pepe Jeans-ისა თუ Calzedonia-ს რომელიღაც სარეკლამო კამპანიიდან გახსოვდეთ. სიას Neck&Neck-ი, El Corte Ingles-ი, Senorita Lemoniez-ი, Ushuaia Ibiza და Sacoor Brothers-ი აგრძელებენ... აქვეა რეკლამაც, რომელშიც რონალდუსთან ერთად მონაწილეობს! მოკლედ, HELLO!-ს სტუმარი საერთაშორისო სილამაზის ქართული სახე – 7 წლის ნინა შანიძეა.

ჯერ მხოლოდ 5 წლის იყო, როდესაც ნინას ფოტოები Happy Kids Models Agency-ში მოხვდა და გოგონას ცხოვრებაში ახალი, მრავალფეროვანი და დატვირთული პერიოდი დაიწყო. დღეს პირველი გადაღებიდან მხოლოდ ის ახსოვს, რომ ლამაზი, მწვანე კაბა ეცვა.

გარდა იმისა, რომ წამყვან საბავშვო ბრენდებთან მუშაობს და მათ ჩვენებებზეც გამოდის, გოგონა შემოთავაზებებს სხვა მხრიდანაც არ უჩივის. მაგალითად ისიც კმარა, რომ ნინა წყლის კომპანიის, ერთ-ერთი ბანკისა და Vodafone-ის სარეკლამო რგოლებში მონაწილეობს. ▶

თეთრი პრინტებიანი მაისური და ლურჯი ნაჭრის შარვალი **IKKS**

კედები **CONVERSE ALL STAR**



წითელი ტოპი და დენიმის შორტი
**IKKS**

ფეხსაცმელი
**ADIDAS**

როგორც HELLO!-სთან ამბობს, გადაღებები საერთოდ არ ღლის, პირიქით – დიდ სიამოვნებას ანიჭებს. გარდა იმისა, რომ ბედნიერი, მხიარული და პოზიტიური გარემოა, ნინა საჩუქრების გარეშეც არ რჩება: „განსაკუთრებულად მახსოვს თეთრი ბაფთიანი კაბა, რომელიც Senorita Lemoniez-მა გამომიგზავნა. სამწუხაროდ, ამ კაბას დედა ჯერ არ მაცმევს. ალბათ, სადღესასწაულოდ მინახავს".

გადაღებებს ბევრი მოგზაურობაც ახლავს. კაპრის კუნძული პატარა ლამაზმანის ფავორიტია. ზოგადად, მას ყველაფერი უყვარს, რაც ზღვას, აუზებსა და წყალს უკავშირდება. შესაძლოა ცისფერი სწორედ ამიტომაც მოსწონს, მაგრამ თავად ნინას საყვარელ ფერთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება აქვს: „ცისფერი იმიტომ მიყვარს, რომ „რაღაცნაირი" ფერია და ბევრ რამეს უხდება. ისე, როგორც... ყველი".

ნინა შანიძის სამომავლო გეგმები ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც მისი ბავშვური სამყარო. აპირებს მასწავლებელი, მსახიობი, ექიმი ან მომღერალი გახდეს! თუმცა არც კაფეს დირექტორობაზე იტყოდა უარს: „დიდი კაფე მექნება, უზარმაზარი აუზით. ჩემს კაფეში ქორწილებს გადაიხდიან და მე ყველაფრის „მომრთველი" ვიქნები".

როგორც ყველა 7 წლის ბავშვი, სკოლაში წასასვლელად ნინაც ემზადება. დანარჩენებივით, მასაც ეზარება დილით



ნაქსოვი ჟაკეტი,
შიფონის პრინტებიანი
პერანგი, ვარდისფერი
ჯინსის შორტი და
სასკოლო ზურგჩანთა
**IKKS**

ადრე ადგომა და ყოველდღე მეცადინეობა. სამაგიეროდ, ძალიან აინტერესებს როგორები იქნებიან ახალი კლასელები და მასწავლებლები. დამშვიდობებისას, აციმციმებული თვალებით გვეუბნება: „როგორც იქნა, პირველად ვიქნები მეორეკლასელი!“

**ტექსტი**: ელენე მარგალიტაშვილი
**ფოტო**: ბაჩი ტაბატაძე
**სტილი**: ანი კოკაია
**ლოკაცია**: ORANGERY | ორანჟერეა




*საშემოდგომოდ თქვენი პატარების გარდერობში აუცილებლად უნდა იყოს ახალი ჯინსი, კომფორტული ფეხსაცმელი და სასკოლო ზურგჩანთა*







# Back to school

HELLO!-მ სპეციალურად თქვენი პატარებისთვის საშემოდგომო მოდური ტენდენციები შეარჩია, რომლებიც საბავშვო გარდერობის განახლებაში აუცილებლად დაგეხმარებათ




**სექტემბერი** სასწავლო სეზონის განახლების თვეა. სკოლაში დაბრუნება კი პატარებისთვის **ახალ გარდერობსაც ნიშნავს** – განსაკუთრებით იმის გამო, რომ ზაფხულში ბავშვები მნიშვნელოვნად იმატებენ სიმაღლეში.







**1.** მაისური **GAP** 32₾ **gap.com**; **2.** მაისური **IKKS** 153₾ **ikks.com**; **3.** ფეხსაცმელი **GAP** 126₾ **gap.com; 4.**ჯინსი **GAP** 92₾ **gap.com**;
**5.** კაპიუშონიანი ჟაკეტი **GAP** 61₾ **gap.com**;
**6.** ზურგჩანთა **GAP** 103₾ **gap.com**;





7



8



9



10



11



12





13





14

**7.** კაბა **GAP** 61₾ **gap.com**; **8.** ჟაკეტი **MANGO** 25₾ **shop.mango.com**; **9.** კაბა **MANGO** 75₾ **shop.mango.com**; **10.** ქვედაბოლო **MANGO** 49₾ **shop.mango.com**; **11.** შარვალი **MANGO** 65₾ **shop.mango.com**; **12.** კაბა ჯილეტით **IKKS** 231₾ **ikks.com**; **13.** ზურგჩანთა **GAP** 103₾ **gap.com**; **14.** ფეხსაცმელი **GAP** 80₾ **gap.com**



www.facebook.com/ioverdegeo

IO VERDE

# ვერტიკალური ბაღი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში


HELLO!
wedding
200
საქორწილო
იდეა
CHARLOTTE BALBIER
WILLA ROSE
საქორწილო კაბები · აქსესუარები · თაიგულები · საქორწილო ლოკაციები · თაფლობისთვე

WEDDING

# ვინტაჟური სტილი

**კეიტ მიდლტონის** მაქმანებიანი კაბა მილიონობით გოგონასთვის საქორწილო ინსპირაციად იქცა, თუმცა ბევრმა არც იცის, რომ თავად კემბრიჯის ჰერცოგინიამ, შთაგონებად **გრეის კელი** აირჩია. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ განურჩევლად ეპოქისა, მაქმანი ნებისმიერ დროს საუკეთესო არჩევანია. ყველაზე დახვეწილი სტილის ვარიაციები ყოველ სეზონზე გვხვდება პოდიუმზე, თუმცა ყველაზე გამორჩეულ კაბებს **Oscar De la Renta**-სა და **Pronovias**-ის კოლექციებში გამოარჩევთ. მაქმანებიან კაბებს ძალიან უხდება სადედოფლო ტიარები და გრძელი ფატა.



**CHOPARD**
ბეჭედი
**chopard.com**

**CHOPARD**
საყურე
**chopard.com**

**Barcelona Bridal Week**

**Aka Nanitashvili**



Oscar De La Renta

Ines Di Santo

Pronovias

Pronovias

Ralph & Russo



კეიტ მიდლტონისა და
პრინც უილიამის ქორწილი

# პრინცესული სტილი

მდიდრული და გლამურული ქორწილისთვის სამოსიც შესაბამისი უნდა შეარჩიოთ – გრძელი შლეიფიანი კაბები დისნეის პრინცესების სტილში ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია. **Zuhair Murad**-ისა და **Elie Saab**-ის კოლექციები ამ სტილისთვის ნამდვილი ინსპირაციაა! დამატებითი შთაგონებისთვის გადახედეთ სამეფო ოჯახების ქორწილებს – **პრინცესა დაიანას** კაბა ამ სტილის ყველაზე კლასიკური ნიმუშია. ძვირფასი თვლებითა და ნაქარგებით გადატვირთულ კაბებს შედარებით სადა აქსესუარები და ფეხსაცმელი შეუხამეთ, რათა ყველას ყურადღება კაბისკენ იყოს მომართული.



Tamuna Ingorokva





Zuhair Murad

Zuhair Murad

Ines Di Santo

Ines Di Santo

Ralph & Russo



პრინცესა დიანასა და პრინც ჩარლზის ქორწილი



**PANDORA, TIME**
ბეჭედი
209₾



**PANDORA, TIME**
ფენიქსის ჩარმი
104₾
გულის ფორმის ჩარმი
104₾



**PANDORA, TIME**
საყურე
146₾



Pronovias



Ines Di Santo



Angel Sanchez



Houghton Bridal

**NEEDLE & THREAD**
საპატარძლო კაბა
2110₾
net-a-porter.com



Zuhair Murad

# მინიმალისტური სტილი

თეთრი სარაფნები, მინიკაბები და კომბინეზონები – მინიმალისტური სტილი სულ უფრო და უფრო მოდური ხდება. **კეიტ მოსისა** და **ოლივია პალერმოს** მსგავსად, უამრავი გოგონა ამბობს უარს ზედმეტ პომპეზურობაზე. სადა საპატარძლო სამოსს უკვე **Pronovias** და **Zuhair Murad**-იც კი ქმნიან. ამ სტილის მთავარი უპირატესობა ის გახლავთ, რომ საპატარძლოს მთლიანი LOOK-ის გახალისება გამორჩეული ფეხსაცმლით, მკვეთრი მაკიაჟით და განსაკუთრებული სამკაულით შეუძლია. ერთი შეხედვით ყველაზე მოკრძალებული სტილი, მეორე მხრივ ყველაზე მეტად საჭიროებს ფანტაზიას. სწორედ ამიტომ, გირჩევთ ესტუმროთ მაღაზიათა ქსელ TIME-ს და შეარჩიოთ სამკაული დაუვიწყარი დღისთვის. საპატარძლოებს განსაკუთრებით **PANDORA**-ს აქსესუარები უხდებათ – სამაჯურები სიმბოლური „ჩარმებით", დელიკატური გულსაკიდები, საყურეები და ბეჭდები, ქორწილის დღეს კიდევ უფრო გაგილამაზებთ.

**ISABEL MARANT**
ფეხსაცმელი
465₾
net-a-porter.com

WEDDING

# თანამედროვე პატარძალი

ამალ კლუნიმ დაამტკიცა, რომ შარვალსაც შეუძლია ისეთივე გლამურული, მოდური, ლამაზი და სადღესასწაულო იყოს, როგორიც საქორწილო კაბებია



ჯორჯ კლუნის რჩეულს ამალს სწორედ Stella McCartney-ის კლასიკური კომბინეზონი ეცვა



**BLUE CRYSTAL**
ყელსაბამი
236₾
საყურე
262₾
ბეჭედი
209₾
ჩარმი
172₾
**PANDORA, TIME**



**Garbo From Stephanie Allin**

**Lela Rose**

**Houghton**

**Monique Lhuillier**

## ჩაიცვით შარვალი

იტალიურ ცერემონიალზე, **ჯორჯ კლუნის** რჩეულს სწორედ **Stella McCartney**-ს კლასიკური კომბინეზონი ეცვა. საქორწილო კომბინეზონი, რომელიც ყველა პოდიუმის ახალი ტრენდია, პრინცესებმაც კი მოირგეს. ამის საუკეთესო მაგალითი მონაკოს ელეგანტური **პრინცესა შარლენია**, რომელმაც 2011 წელს, **პრინც ალბერტზე** ქორწინებისას, არჩევანი **კარლ ლაგერფილდის** დიზაინით შექმნილ შარვალზე შეაჩერა. ***„ვიფიქრე, საინტერესო ცვლილება იქნებოდა კაბიდან შარვალზე გადასვლა“***, – აღნიშნა პრინცესამ, – ***„ჩემი ტანისამოსი ყოველთვის მარტივი და უბრალოა“***.

**ტექსტი:** თამარ ლაბაური. **ფოტო:** GETTY IMAGES




# La Taniere

ფრანგული ოაზისი
სრულყოფილი დასვენებისთვის

Etere Agency

+33 674 61 89 38; +995 577 12 22 08

WEDDING

# *Blushing Brides*

ყვავილები პატარძლისთვის თეთრ კაბაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი და რომანტიკული დეტალია











საქორწილო თაიგულის ყველაზე კლასიკური ვერსია **თეთრი** ან **კრემისფერი ვარდებისა** და **მინდვრის ყვავილების სინთეზია**. თუმცა ყველა პატარძალი მაინც ინდივიდუალურად, ქორწილის კონცეფციის მიხედვით არჩევს ამ უმნიშვნელოვანეს და სენტიმენტალური სიმბოლიკებით დატვირთულ ატრიბუტს. ძალიან დახვეწილია **ჰორტენზიებისა** და **ვარდების სინთეზი**, **ორქიდეები** და **პიონები**. ღია ცისქვეშ გამართულ ქორწილებს კი ძალიან უხდება მინდვრის ყვავილებისგან შექმნილი გვირგვინები. რაც შეეხება ფერებს – **ატმისფერი**, **ღია იასამნისფერი** და **კრემისფერი** ნებისმიერ სიტუაციაში ყველაზე მომგებიანი ტონალობებია.





**ტექსტი:** თამარ ლაბაძე. **ფოტო:** GETTY IMAGES


VIADERM
YOUR BEAUTY FROM WITHIN
WALMARK®
ნუტრიკოსმეტიკა
ვიადერმი
სილამაზე იწყება შიგნიდან
ჰიალურონის მჟავის შემცველი სილამაზის კაფსულები, ვისაც სურს შეანელოს დაბერების პროცესი და შეინარჩუნოს სილამაზე
სილამაზის კაფსულები
VIADERM
COMPLETE
30
ДЛЯ ЗДОРОВЫХ ВОЛОС, КРАСИВОЙ КОЖИ И КРЕПКИХ НОГТЕЙ
VIADERM
SKIN BEAUTY
CU ACID HIALURONIC
ДЛЯ УПРУГОЙ, ХОРОШО УВЛАЖНЕННОЙ КОЖИ БЕЗ МОРЩИН
ПИЩЕВАЯ ДОБАВКА
მტკიცე ფრჩხილები
უნაკლო კანი
მბზინვარე თმა
VIADERM

# იგრძენით თავი დედოფლად

კეიტ მიდლტონისა და პრინცესა დაიანას მსგავსად, საკუთარ ქორწილში თავი ნამდვილ პრინცესად რომ იგრძნოთ, აუცილებლად დაგჭირდებათ ტიარა

ეს არის აქსესუარი, რომელიც თქვენი საქორწილო **LOOK**-ის ფინალური შტრიხია. **ტიარა უმჯობესია კაბის დიზაინის მიხედვით შეარჩიოთ**. ძვირფასი ქვებით მოჭედილი ტიარები უფრო კლასიკურ და მდიდრულ ქორწილს უხდება, ყვავილების დაწნული გვირგვინი კი – სადა კაბასა და ბუნებაში გამართულ წვეულებებს. საქორწილო დიადემებს პოდიუმზეც ხშირად შეხვდებით – **Monique Lhuillier** ყოველთვის დახვეწილ და დელიკატურ საპატარძლო გვირგვინებს გვთავაზობს, ზოგიერთი დიზაინერი კი, **Alfred Angelo**-ს მსგავსად, გვირგვინებს ფატასაც უმაგრებს. ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელი გადატვირთულობით გამოირჩევა **Naeem Khan**-ის საქორწილო აქსესუარები – მასიური გვირგვინები, თვლებიანი თავსაბურავები და ყელსაბამები.



Pronovias Bridal

Zuhair Murad

Zuhair Murad

Naeem Khan

Barcelona Bridal



შვედეთის პრინცესა მადლენი



ლუქსემბურგის პრინცი და პრინცესა



კეიტ მიდლტონი და პრინცი უილიამი



JENNIFER BEHR
2301₾
net-a-porter.com



JENNIFER BEHR
1707₾
net-a-porter.com



PHILIP TREACY
1834₾
net-a-porter.com



JENNIFER BEHR
1036₾
net-a-porter.com

JENNIFER BEHR
1088₾
net-a-porter.com



Marchesa Bridal F/W 16

ტექსტი: თათია ლაშაური. ფოტო: GETTY IMAGES


NUXE
PARIS
Nuxellence®
10 სამეცნიერო პატენტი
ორი ინოვაციური პროდუქტი
შესამჩნევი შედეგი
ინტენსიური გამოყენებიდან
მხოლოდ ერთ თვეში
DETOX
ღამე
ECLAT
დღე
NUXE
N°1
ბრენდი
ასაკობრივ მოვლაში
საფრანგეთში
[10]
პატენტი
NUXE
PARIS
Nuxellence®
DETOX
SOIN ANTI-ÂGE RECHARGEUR JEUNESSE ET DÉTOXIFIANT
Lisse, régénère, dégrise le teint
DETOXIFYING AND YOUTH REVEALING ANTI-AGING CARE
Smoothes, regenerates, revives dull complexion
TOUTES PEAUX - TOUS ÂGES* ALL SKIN TYPES - ALL AGES*
10 BREVETS PATENTS
NUIT-NIGHT
NUXE
PARIS
Nuxellence®
ÉCLAT
SOIN ANTI-ÂGE RECHARGEUR JEUNESSE ET LUMIÈRE
Lisse, repulpe, illumine
YOUTH AND RADIANCE REVEALING ANTI-AGING CARE
Smoothes, replumps, illuminates
TOUTES PEAUX - TOUS ÂGES* ALL SKIN TYPES - ALL AGES*
10 BREVETS PATENTS
ექსკლუზიურად მხოლოდ ჯიპისის სააფთიაქო ქსელში
ჯიპისი GPC



WEDDING

# მეფური ქორწილი

მუხრანის სასახლე ფრანგმა არქიტექტორმა ჯერ კიდევ 1887 წელს ააგო. მისი ულამაზესი ბაღი კი, რომელიც საქორწილო წვეულებას ჯადოსნურ ელფერს სძენს, თავის დროზე ვერსალის მებაღემ დააპროექტა.



კაბა მაქმანებიანი
კორსეტითა და
გაშლილი შლეიფით
**ᲛᲐᲠᲘᲝᲜᲔᲚᲐ**
სამკაული
**PANDORA, TIME**
თეთრი ვარდებისა და
კალების თაიგული
**MONTA&GO**



გაშლილი შლეიფი და თვლებიანი კორსეტი – ყველა დროის ყველაზე დახვეწილი სილუეტი წელსაც ძალიან აქტუალურია. შეუხამეთ პრინცესულ კაბას შესაბამისი სამკაულები – სადა კოლიე და ბეჭედი

საქორწილო კაბა
თვლებით გაფორმებული
კორსეტით
მარიონელა
სამკაული კოლექციიდან
MAJESTIC FEATHERS
PANDORA, TIME


კაბა
მარიონელა
სამკაული კოლექციიდან
MAJESTIC FEATHERS
PANDORA, TIME





*საქორწილო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ბევრი ყვავილი, სანთელი და რა თქმა უნდა პრემიუმკლასის ღვინო. სადღესასწაულო მაგიდის დიზაინზე ზრუნვისას, მაქსიმალურად ორიგინალურები იყავით*

არტ-დეკოს სტილის
თვლებიანი საპატარძლო კაბა
**მარიონელა**
მარგალიტებით მორთული კაბა
**მარიონელა**
სამკაული
დახვეწილი დიზაინის
ბეჭედი და ყელსაბამი
**PANDORA, TIME**
საქორწილო თაიგულები
**MONTA&GO**



მაქმანებიანი კაბა
ვინტაჟურ სტილში
ᲛᲐᲠᲘᲝᲜᲔᲚᲐ
სამკაული
კოლექციიდან
**SPARKLING LEAVES**
**PANDORA, TIME**



**ფოტო**: ანა ბოკო
**მოდელები**:
ელენე გაგუა
მარიამ შაკიაშვილი
**სტილი**:
თათია ლაშაური
ანი კოკაია
**ჩაცმულობა**:
მარიონელა
**აქსესუარები**:
PANDORA, TIME
**თმა და ვიზაჟი**:
WELLNESS LAB NATALI GROUP
ART HOUSE
**გაფორმება&თაიგულები**:
MONTA&GO
**ლოკაცია**:
CHÂTEAU MUKHRANI




WEDDING

# საპატარძლო მაკიაჟის ოქროს წესები

**HELLO!** საქორწილო ორომტრიალში ჩაბმულ გოგონებს იმ რეკომენდაციებს გაგაცნობთ, რომლებიც დაგეხმარებათ შეუდარებლად გამოიყურებოდეთ

ყველაზე მთავარი კაბის დიზაინის, აქსესუარებისა და ქორწილის თემატიკის გათვალისწინებით შერჩეული მაკიაჟია. **მთავარია არ გადააჭარბოთ** – უარი თქვით ჩაშავებულ თვალებსა და მუქი ფერის ტუჩსაცხზე, **აქცენტი უფრო ნაზ ტონებზე გააკეთეთ** – მსუბუქი ღია ფერის ტონალური კრემი, კრემისფერი თვალის „ჩრდილები“ და ატმისფერი ტუჩსაცხი ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია. აუცილებელია ქორწილამდე სატესტო მაკიაჟი და ვარცხნილობა გაიკეთოთ, რათა უკეთ მოსინჯოთ რომელი სტილი უფრო გიხდებათ. თუ კაბა ჯერ კიდევ არ გაქვთ მზად, ამ ექსპერიმენტის დროს უბრალოდ თეთრი მაისური ჩაიცვით. მიუხედავად იმისა, რომ თეთრს ძალიან უხდება ნამზეური, არ გამოიყენოთ ზედმეტად მუქი რუჟი და ტონალური. **არჩევანი შეაჩერეთ მატის ეფექტის მქონე კოსმეტიკურ საშუალებებზე**, მაქსიმალურ სისადავესა და კლასიკურ მაკიაჟზე.






**1. CLINIQUE CHUBBY STICK** – თვალის ნაზი ტონალობის ჩრდილი მქრქალის ეფექტით. გააჩნია წყალგამძლე ფუნქცია და კანს მსუბუქ მბზინვარებას ანიჭებს. **LUTECIA;** **2. ELIZABETH ARDEN 2IN1 PENCIL** – ტუჩის მკრთალი ვარდისფერი ლაინერი და თვალის კონტური ერთ ფანქარში. **LUTECIA**; **3. CHRISTIAN BRETON FOUNDATION** – ტონალური კრემი, რომელიც თქვენს კანს ერთგვაროვან და გლუვ ეფექტს მიანიჭებს. **GPC; 4. NUXE MELTING CLEANSING GEL** – მაკიაჟის მოსაშორებელი გელი, რომელიც სიღრმისეულად წმენდს თქვენი სახის კანსა და დეკოლტეს. რეკომენდებულია წაისვათ თვალის გარშემოც. **GPC; 5. MAC FALSE LASHES** – ხელოვნური წამწამები, რომლებიც სპეციალური წებოს დახმარებით თავად შეგიძლიათ დაიმაგროთ. მოგანიჭებთ მომენტალურ მოცულობას. **MAC;** **6. MAC PINK PLAID LIPSTICK** – ტუჩისფერი ტუჩსაცხი ძლიერი მდგრადობითა და მქრქალის ეფექტით. **MAC; 7. ESTEE LAUDER EYE SHADOW PALETTE** – თვალის „ჩრდილთა“ ნაკრები პატარძლებისთვის, რომელიც ვარდისფერს, მბზინვარე ყავისფერსა და კრემისფერის დახვეწილ ტონებს აერთიანებს. **LUTECIA**

**ტექსტი:** თამარ ლეჟავა. **ფოტო:** GETTY IMAGES




# Dar el Marsa

სანაპიროზე

აღმოჩენილი სამოთხე

Etere Agency

+33 674 61 89 38; +995 577 12 22 08



WEDDING

# სუპერსამზადისი პატარძლებისთვის



საპატარძლოებმა თავი აუცილებლად უნდა გაინებივროთ სარელაქსაციო სპაპროცედურებით, დაკავდეთ ყველაზე მხიარული ფიზიკური აქტივობებით და მაქსიმალური სიამოვნება მიიღოთ ამ ყველაფრისგან.

**საქორწილო სამზადისი** პატარძლებისთვის სასიამოვნოსთან ერთად საკმაოდ შრომატევადი პროცესია. სწორედ ამიტომ, **HELLO!**-ს რედაქტორებმა თქვენთვის ის პროცედურები მოიძიეს, რომლებიც განტვირთვასა და დასვენებასთან ერთად სასურველი ფორმის სწრაფად აღდგენაშიც დაგეხმარებათ.





## სპაპროცედურები პატარძლებისთვის

ქორწილის საორგანიზაციო საკითხებზე ფიქრი რამდენიმე საათით დაივიწყეთ და დრო თქვენს თავს დაუთმეთ. სტრესისა და გადაღლილობის სამკურნალოდ, სპაცენტრში ვიზიტი საუკეთესო საშუალებაა. მით უმეტეს, რომ **Sam Raan**-ში (*თბილისი, 300 არაგველის ქ. 24*) თქვენს განწყობასთან ერთად, სხეულზეც პროფესიულ დონეზე იზრუნებენ. **ჩაიტარეთ სარელაქსაციო პროცედურების სრული ნაკრები** – სხეულის მასაჟი არომაზეთებით, სახის დამატენიანებელი და ანტისტრესული პროცედურები, მცენარეული ან ღვინის აბაზანები და სხეულის გადახვევის პროცედურა. **არ დაგავიწყდეთ ესტუმროთ ფინურ** და **ორთქლის საუნებსა** და **აუზს**. სპაში გატარებული ერთი დღე ძალების სრულად აღდგენაში დაგეხმარებათ, რათა ორმაგი ენერგიით დაუბრუნდეთ ქორწილის ორგანიზების საკითხებს.

*საქორწილო აურზაურის მიუხედავად, გამონახეთ დრო და იკვებეთ ჯანსაღად, მიიღეთ ბევრი წყალი და ყოველთვის კარგად გამოიძინეთ!*

**1. DOCTEUR RENAUD RASPBERRY SOFT CREAM** – ჟოლოს ექსტრაქტზე დამზადებული სურნელოვანი დამატენიანებელი კრემი ინტენსიური მოქმედებით. იცავს კანს დეჰიდრატაციისაგან და გეხმარებათ მთელი დღე შეინარჩუნოთ რბილი და სურნელოვანი კანი. 50₾ **GPC** **2. EISENBERG ALL-OVER MOISTURISING MASK** – გელის ტექსტურის ნიღაბი, რომელიც განკუთვნილია სახისა და თვალის ირგვლივ კანისათვის, საუკეთესო დამატენიანებელი საშუალებაა. ნიღაბი ჰიალურონის მჟავას შეიცავს და მაქსიმალურად აღადგენს და ატენიანებს კანს. ხოლო ლიმონის და ფორთოხლის ეთერზეთები კანს არბილებენ და ებრძვიან ნაადრევი დაბერების პროცესს. 197€ **LUTECIA**

## სპინინგი – დაიკელით წონაში ყველაზე მხიარული გზით!

მთელ მსოფლიოში პოპულარული ინტენსიური ვარჯიშების კურსი, წონის კლებასთან ერთად, ფიგურის მოდელირებასაც უწყობს ხელს. თუმცა სპინინგის უპირატესობები აქ არ სრულდება – იმის გამო, რომ პროცედურა ჯგუფურია, სხეულის გაჯანსაღებასთან ერთად, დროსაც ძალიან მხიარულად ატარებთ. ტრენერი ველოტრენაჟორებზე სხვადასხვა სირთულის ვარჯიშების გაკეთებასა და მათ მონაცვლეობას უწევს მეთვალყურეობას, რის გამოც პროცედურის დასრულების შემდეგ დაღლას საერთოდ ვერ გრძნობთ. Oktopus Fitness Club-ის (თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა 7) ფიტნესექსპერტების მიერ შედგენილი პროგრამის წყალობით, ზედმეტ წონასა და სხეულის მოშვებულ ფორმებთან ერთად, სტრესსა და ცუდ განწყობასაც დაემშვიდობებით!








**3. EISENBERG ULTRA-HYDRATING BIPHASIC CARE** – ორფაზიანი დამატენიანებელი საშუალება სახის, ტანისა და თმისთვის. ხუთი სახის ნატურალური ზეთი, დამამშვიდებელი წყალი და A და E ვიტამინები უზრუნველყოფენ მაქსიმალურ დატენიანებას. 213€ **LUTECIA;**
**4. NUXE MULTI-PURPOSE DRY OIL** – 7 მცენარეული ზეთისა და E ვიტამინის კომბინაციით შექმნილი ზეთი გამოიყენება როგორც თმის, ასევე სხეულისა და სახის კანისთვის. აქვს ძლიერი დამატენიანებელი ეფექტი. 55₾ **GPC;**
**5. LIERAC HYDRAGENIST MOISTURIZING CREAM** – ჟანგბადით გამდიდრებული სახის კრემი სიღრმისეულად ატენიანებს კანს, არბილებს და უფრო გლუვს ხდის მის სტრუქტურას. გამოიყენეთ ყოველდღიურად. 75₾ **GPC;**
**6. NUXE BEAUTIFYING SCENTED BODY LOTION** – ტანის სურნელოვანი ლოსიონი, რომელიც დატენიანებასა და სასიამოვნო არომატთან ერთად, თქვენს სხეულს მსუბუქი რუჯის ეფექტსაც მიანიჭებს. 35₾ **GPC.**

**მომავალმა პატარძლებმა** და მათ, ვინც მეგობრის ქორწილისთვის ემზადება, ერთი მნიშვნელოვანი სილამაზის წესი უნდა დაიმახსოვრონ: **შემოდგომაზე რომ მომხიბვლელად გამოიყურებოდეთ** და რუჯიც დიდხანს შეგინარჩუნდეთ, აუცილებლად დაგჭირდებათ სწორად შერჩეული დამატენიანებელი საშუალებები. **მზისგან გამომშრალ სახის კანს**, გაუხეშებულ თმასა და ნამზეურისგან აჭრელებულ კანს იმ ინტენსიური დამატენიანებელი საშუალებებით აიცილებთ თავიდან, რომლებიც თქვენთვის **HELLO!**-ს სილამაზის ექსპერტებმა შეარჩიეს.

WEDDING

# სანამ თეთრ კაბას მოირგებთ...

საპატარძლოს მოსამზადებელი ეტაპი წარმოუდგენელია თანამედროვე კოსმეტოლოგიისა და სტომატოლოგიის უკანასკნელი მიღწევების გარეშე. ასე რომ, საქორწილო აურზაურში ჩართულებმა დრო საკუთარი თავისთვისაც გამონახეთ და თქვენს სხეულზე, კანსა და მომხიბვლელ ღიმილზეც იზრუნეთ. მიჰყევით **HELLO!**-ს რჩევებს და თეთრი კაბა უფრო თავდაჯერებულებმა მოირგეთ.



ბრაზილიელი სუპერმოდელი იზაბელი ფონტანა სულ ცოტა ხნის წინ დაქორწინდა. მისი საპატარძლო კაბა ხაზს უსვამდა ლამაზმანის სხეულის ყველა ღირსებას. იმისათვის, რომ საოცნებო კაბა თქვენც თამამად შეარჩიოთ, სხეულსა და კარგ ფორმებზე ზრუნვა დღესვე უნდა დაიწყოთ.





## იმისთვის, რომ ბრწყინვალე პატარძალი იყოთ, არ გამოგრჩეთ ყველაზე მთავარი:

- **უნდა გქონდეთ მომაჯადოებლად თეთრი კბილები**
- **არანაირი ზედმეტი ცხიმი პრობლემურ ადგილებში** (*გვერდები, მუცელი*)
- **იტენიანებთ, ისუფთავებთ და იჯანსაღებთ სახის კანს**
- **თავისუფლდებით არასასურველი თმისგან მთელ სხეულზე**

**კლინიკაში „მედი“** საპატარძლოს პირველი გაჩერება სწორედ სტომატოლოგიური განყოფილებაა. აქ ჯადოსნური ღიმილის საიდუმლო იციან. კაშკაშა, თეთრი, თავდაჯერებული ღიმილის გასაღები – ეს გახლავთ მსოფლიო სენსაცია, ყველაზე უსაფრთხო და ეფექტური აპარატი **BEYOND POLUS,** რომელიც კბილებს 4-8 ტონით ათეთრებს.

**BEYOND POLUS ინოვაციური ტექნოლოგიაა** მთელ მსოფლიოში, რომელშიც კომბინირებულია ძლიერი ჰალოგენები და მსუბუქი გამოსხივების დიოდური სხივი. აქვს უმაღლესი ხარისხის ფილტრაციის სისტემა, ფილტრავს ყველა ულტრაიისფერ და სხვა მავნე სხივებს, მაქსიმალურად ამცირებს კბილების მგრძნობელობას. გაიღიმეთ! თქვენ შეუდარებელი ხართ!

დამეთანხმებით, ყველაზე მეტად პატარძალს არ სურს საქორწილო კაბა პრობლემურ ადგილებში (*მუცელი, გვერდები*) ცუდად ადგეს ტანზე. თან უმეტეს შემთხვევაში

კაბა თეთრი თუ არა, საკმაოდ ღია ფერისაა, რაც კიდევ უფრო გამოკვეთს სხეულის კონტურებს. არ იდარდოთ! ამ პრობლემასთან საბრძოლველად „მედის“ კოსმეტოლოგიურ განყოფილებაში მსოფლიოში აღიარებულ, ჯადოსნურ ტექნოლოგიას გთავაზობენ. ეს „ზელტიკია“ – ერთსაათიანი უსაფრთხო და უმტკივნეულო პროცედურა ცხიმის დაშლა-მოყინვის მეთოდით – რეაბილიტაციის გარეშე. „ზელტიკის“ აპარატი ყინავს და ანადგურებს პრობლემურ ადგილებში ჩალაგებულ ცხიმის უჯრედებს. პროცედურიდან ორი თვის განმავლობაში კრისტალიზებული ცხიმის უჯრედების 40% იშლება და ბუნებრივად გამოდის თქვენი ორგანიზმიდან. თქვენი სხეული უწინდელ ფორმას იბრუნებს!

სანამ საბოლოო შტრიხად მაკიაჟს გაიკეთებდეთ... მოუარეთ სახის კანს. კანის სიგლუვისა და მბზინვარებისთვის კლინიკა „მედი“ ტექნოლოგიათა სრულ სპექტრს გთავაზობთ.



## გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს

**ბიორევიტალიზაცია** – ეს პროცედურა ამკვრივებს კანს, ასწორებს წვრილ ნაოჭებს, კანი ხდება ელასტიკური, გლუვი. პროცედურის დროს კანქვეშ მიკროინექციის გზით შეიყვანება ჰიალურონის მჟავა.

**PRP თერაპია** – პლაზმოთერაპია, გაახლგაზრდავების ლაბორატორია (REGENLAB). ეს არის სახის კანისთვის ფორმის დაბრუნებისა და  გაახალგაზრდავების ინოვაციური მეთოდი ორგანიზმის რესურსების გამოყენებით. ამ პროცედურის შემდეგ კანი არა მარტო გამოიყურება, არამედ ფუნქციონირებს ახალგაზრდულად.

**თერმაჟი** – თუ პატარძალს უკვე 30 წელი შეუსრულდა, რა თქმა უნდა სჯობს ჩაიტაროს უნიკალური პროცედურა აპარატით THERMAGE. მხოლოდ ერთ ვიზიტში, ერთ საათში, ყოველგვარი რეაბილიტაციის გარეშე თერმაჟის პროცედურა მოშვებულ კოლაგენს სიმკვრივეს უბრუნებს! ხდება კანის ლიფტინგი ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე. გამოსცადეთ თქვენს თავზე ნამდვილი რევოლუცია გაახალგაზრდავების მეთოდებს შორის!

**დაბოლოს** არ დაგავიწყდეთ ლაზერული ეპილაცია. ალექსანდრიტის ლაზერი ხომ ოქროს სტანდარტად აღიარებული პროცედურაა არასასურველი თმის მოსაშორებლად. ებრძოლეთ ერთ-ერთ უდიდეს ესთეტიკურ პრობლემას – ჭარბთმიანობას, შედეგიანად! მიაკითხეთ „მედის“ 20 ფილიალიდან ნებისმიერს საქართველოს მასშტაბით!

**ფასები?** კლინიკაში „მედი“ 0% განვადებით ნებისმიერი სურვილის მარტივად ასრულება შეგიძლიათ. მაგალითად? კბილების გათეთრება 27 ლარი/თვეში, „ზელტიკი“ 46 ლარი/თვეში, ხოლო ბიორევიტალიზაცია – 25 ლარი/თვეში დაგიჯდებათ. არავითარი ხელფასის ცნობა – განვადებას  15 წუთში კლინიკაშივე დაიმტკიცებთ.





WEDDNIG

# განსაკუთრებული დღის განსაკუთრებული ლოკაციები

**საქორწილო სამზადისში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი შესაფერისი ადგილის შერჩევაა. სწორედ ამიტომ, HELLO!-მ საქართველოს საუკეთესო სასტუმროები მოიძია, რათა მომავალ პატარძლებს ლოკაციაზე ფიქრი აღარ გაუჭირდეთ. თბილისი, ბათუმი, კახეთი – ყველაზე ლამაზი წვეულებისთვის რედაქცია რჩეულ ადგილებს წარმოგიდგენთ**



## CHATEAU Mere

სასტუმრო, რომელიც თბილისიდან საათნახევრის მანძილზე მდებარეობს, ტურისტების ფავორიტია. ამას ისიც მოწმობს, რომ „**შატო მერეში**“ ქორწილს სხვადასხვა ქვეყნიდან სპეციალურად ჩამოსული სტუმრებიც აღნიშნავენ. კიდევ ერთი კომფორტი აეროპორტთან სიახლოვეა. ულამაზესი ეზო ხელის მოწერისა და წვეულებისთვის საუკეთესო ადგილია, მით უმეტეს, რომ სასტუმროს სულ ახლახან ახალი ტერასა და უზარმაზარი აუზიც დაემატა. ვინტაჟური სტილი რომანტიკულ და მყუდრო გარემოს ქმნის. ამას ემატება უგემრიელესი სამზარეულოც, რომელსაც სახელი კახეთის გარეთაც აქვს განთქმული. ზღაპრულ გარემოსთან ერთად, **Chateau Mere** ქორწილის სტუმრებს ქვევრებში ადგილობრივად დაწურული უგემრიელესი ღვინით – **Winiveria**-თიც უმასპინძლდება.









# RADISSON Blu Iveria Hotel, Tbilisi

საერთაშორისო ბრენდის თბილისისა და ბათუმის ფილიალები საქორწილო წვეულებისთვის განსხვავებულ და მრავალფეროვან ლოკაციებს გთავაზობთ. **300-კაციანი საბანკეტო დარბაზი**, ღია ტერასა ქალაქის ულამაზესი ხედებით, აუზის მიმდებარე ტერიტორია, სადაც ხელის მოწერის ცერემონიალის დაგეგმვაცაა შესაძლებელი – ეს ის ჩამონათვალია, რომელიც ყველანაირი გემოვნების ადამიანზეა მორგებული, თანაც – ერთ სივრცეში. გარდა ამისა, **Radisson Blu** ახალდაქორწინებულებს სასტუმროს ნომრითა და სპაპროცედურებით ასაჩუქრებს! პროფესიონალი შეფმზარეულები კი მზად არიან თქვენს გემოვნებასა და ბიუჯეტს ნებისმიერი სახის მენიუ მოარგონ.





# Hotels & Preference
# HUALING TBILISI

მასშტაბურ ქორწილებს **Hualing**-ი უზარმაზარ სადღესასწაულო დარბაზში მასპინძლობს, სადაც დიზაინი და დეკორაციები მთლიანად წყვილის გემოვნებისა და სურვილების გათვალისწინებით ეწყობა. დარბაზი, რომელიც **450-მდე ადამიანს იტევს**, თბილისში საუკეთესო ადგილია პომპეზური ქორწილის აღსანიშნად. რაც შეეხება სადღესასწაულო სუფრას, ფრანგი შეფმზარეული და მალტელი კონდიტერი ამ დღეს კიდევ უფრო გემრიელსა და დასამახსოვრებელს გახდიან.









## SHERATON Batumi Hotel

„შერატონ ბათუმი“ – **5-ვარსკვლავიანი სასტუმრო** თანამედროვე და დახვეწილი ინტერიერით, იდეალური ადგილია ყველაზე ბედნიერი დღის აღსანიშნად. „შერატონ ბათუმი“ განსაკუთრებულია არა მხოლოდ ინტერიერით, არამედ იმ ულამაზესი ხედით, რომელიც სტუმრების თვალწინ იშლება. „შერატონ ბათუმი“ წყვილებს შეფმზარეულის – **მუსტაფა აიილდიზის** მიერ შედგენილ განსაკუთრებულ საქორწინო მენიუებსაც სთავაზობს. ბათუმის „შერატონი“ ახალდაქორწინებულებს **საქორწინო ტორტით, სასტუმროს ლუქსითა** და **სპაში ვიზიტითაც ასაჩუქრებს**.





# KVARELI Eden

ყვარლის ედემი ესპანური სტილის მდიდრულ ვილას უფრო ჰგავს, ვიდრე სასტუმროს. სწორედ ამიტომ, შუაგულ კახეთში მდებარე ეს სავანე ყველაზე ბედნიერი დღის აღსანიშნად იდეალურ გარემოს ქმნის. ულამაზესი ვენახებით გარშემორტყმულ სასტუმროს სადღესასწაულო ვახშმისთვის განკუთვნილი რესტორანი აქვს, რომელიც ტრადიციული ქართული მარნის სტილშია გადაწყვეტილი და სტუმრებს ქვევრის ღვინით უმასპინძლდება. აქვეა **ჰამაკებიანი ეზო**, რომელიც საოცრად ალამაზებს სადღესასწაულოდ გაფორმებულ გარემოს. სტუმრებს **საუნებით, სატრენაჟორო დარბაზით, კორტებით, სარელაქსაციო ზონებითა** და **უნიკალური სპაპროცედურებით** სარგებლობაც შეუძლიათ. მოკლედ, თქვენი ქორწილი ევროპული და ქართული სტილის იდეალური შერწყმა იქნება.









# DREAMLAND OASIS *in Chakvi*

ᲗᲣ ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲐ, ზღაპრულ ქორწილზე ოცნებობთ, **სასტუმრო Dreamland Oasis**-ი საუკეთესო არჩევანია. ამაზე მისი სახელიც კი მეტყველებს. შავი ზღვის სანაპიროზე მოწყობილ ამ ულამაზეს სასტუმრო კომპლექსში თქვენი ყველა ოცნება ფრთებს შეისხამს და ერთ დიდ საქორწილო წვეულებად გადაიქცევა. ტერასებსა თუ რესტორნებში თქვენი სტუმრები თავს ისე იგრძნობენ, როგორც ამქვეყნიურ სამოთხეში. „დრიმლენდ ოაზისი“ იმდენად მრავალფეროვანია, რომ ნებისმიერ გემოვნებასა და მოთხოვნას აკმაყოფილებს. ღია და დახურული საცურაო აუზები, საუნა, სპა და ფიტნესცენტრები, საბილიარდო კუთხე, ფეხბურთის, კალათბურთის, პლაჟის ფრენბურთისა და ჩოგბურთის მოედნები და კორტები, ბავშვების გასართობი კუთხე, ბოულინგი, 9D კინოთეატრი – მოკლედ, აქ ყველაფერია იმისთვის, რომ თქვენ და თქვენმა საპატიო სტუმრებმა წამითაც არ მოიწყინოთ.





# ფუნიკულიორის წვეულებათა დარბაზი

თუ გსურთ ქორწილი თბილისშივე დაგეგმოთ და იგი **ზღაპრულ დღესასწაულს დაამსგავსოთ**, აირჩიეთ ფუნიკულიორის წვეულებათა დარბაზი. ჯადოსნური გარემო, რომელიც თქვენი სტუმრებისთვისაც დაუვიწყარ ატმოსფეროს შექმნის, ქალაქის ცენტრიდან სულ რაღაც 3 წუთის სავალზეა. აღარაფერს ვამბობთ იმ საოცარ ხედებზე, რომლებიც მთაწმინდიდან იშლება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს მენიუს ფასიც, რომელიც ერთ ადამიანზე 85 ლარიდან იწყება. მოკლედ, თუ წვეულების გამართვას თბილისში გადაწყვეტთ, პირდაპირ ფუნიკულიორის გამოცდილ გუნდს მიმართეთ.






# ქორწილი, რომელზეც მუდამ ოცნებობდით

თუ გსურთ თქვენი ქორწილი დაუვიწყარ დღესასწაულად აქციოთ, ეს ოცნება რეალობად იქცევა „შატო მუხრანში“. ულამაზესი ტყეპარკი, ფართოდ გაშლილი სიმწვანე, ვენახები, XIX საუკუნეში აგებული სასახლე და უნიკალური მიწისქვეშა დარბაზები საშუალებას გვაძლევს შემოგთავაზოთ არაორდინარული გარემო თქვენი დღესასწაულისთვის.

გაეცანით ჩვენს მრავალფეროვან საქორწინო შეთავაზებებს. დაგეგმეთ თქვენი ქორწილი ჩვენს პროფესიონალ გუნდთან ერთად.








ტელ.: 595 99 13 14/15/16 www.chateaumukhrani.com 1878@mukhrani.com

WEDDING

# თაფლობისთვის ვარსკვლავური მიმართულებები

**მაშინ, როდესაც ჯენიფერ ენისტონი და ჯასტინ ტერუ ბორა-ბორული ცხოვრებით ტკბებოდნენ, ჯორჯ და ამალ კლუნები კი სეიშელის კუნძულებზე მიემგზავრებოდნენ, HELLO!-მ თქვენი თაფლობისთვისთვის საუკეთესო მიმართულებები შეარჩია.**





აუზის ნაპირებიდან და წყალზე აშენებული ბუნგალოებიდან ოტემანუს მთის საოცარი ხედი იშლება.

## სამხარი სამხრეთში

წარმოიდგინეთ საოცნებო მოგზაურობა სამხრეთში – ჩამქრალი ვულკანის ირგვლივ გაშლილი ვერცხლისფერი სანაპიროები, ბარიერული რიფები და საფირონის ლაგუნა... ეს ბორა-ბორაა, რომლის სახელწოდება ტაიტურ ენაზე „ახლიდან დაბადებას“ ნიშნავს. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ფრანგული პოლინეზიის ულამაზესი კუნძული ერთ-ერთი ყველაზე ცეცხლოვანი დანიშნულების ადგილია შეყვარებული წყვილებისთვის. სწორედ „ახლიდან დაბადების“ აღსანიშნავად ეწვივნენ ბორა-ბორას **ჯენიფერ ენისტონი** და **ჯასტინ ტერუ**, რომლებმაც ბუდე **Four Seasons Resort**-ში დაიდეს და თაფლობისთვით ტკბობას შეუდგნენ.

**ბონუსები** მასაჟი შავი მარგალიტის ფხვნილით, ჯადოსნური სპაპროცედურები, ვახშამი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ და კერძები ცნობილი იაპონური ძროხის ხორცისგან.

**ვარსკვლავცვენა** ჰოლივუდის ვარსკვლავმა **ნიკოლ კიდმანმა** და მუსიკოსმა **კით ურბანმა** ჯერ კიდევ 2006 წელს გაატარეს თაფლობისთვე ბორა-ბორაზე. ისინი **St Regis Resort**-ში ცხოვრობდნენ.

**CHECK IN** იმისთვის, რომ ბორა-ბორადან და-Check-in-დეთ, საჭიროა $4000-მდე, რომელიც ითვალისწინებს მგზავრობასა და 8 ღამის გატარებას ბუნგალოების ორკაციან ნომერში. მეტი ინფორმაციისთვის მიმართეთ ტურისტულ სააგენტოებს.



მარკ ვრაიტმა და მიშელ კიგანმა თაფლობისთვის აღნიშვნა მალდივის კუნძულებზე, სასტუმრო Maafushivaru-ში გადაწყვიტეს.



მიშელმა თაფლობისთვის ამბები HELLO!-ს ბლოგს გაუზიარა.



ბორა-ბორას ჯადოსნური ხედები ჯასტინისა და ჯენიფერის სამოთხედ იქცა.







მარკი და მიშელი Atlantis-ში წყალქვეშ დაბინავდნენ.



# ორნი დუბაისა და მალდივებზე

თუ **მიშელ კიგანისა** და **მარკ ვრაიტის** ქვიშიან კვალს გავუყვებით, მალდივის კუნძულებამდე მივალთ, კონკრეტულად კი **Maafushivaru**-ში დავბინავდებით, რაც იმას ნიშნავს, რომ პალმებიანი სანაპიროთი, მზის ჩასვლის დაუვიწყარი პეიზაჟებითა და საოცარი სპაპროცედურებით დავტკბებით. თუმცა მალდივებამდე მიშელმა და მარკმა დუბაის წყალქვეშა სამყაროს მონახულება გადაწყვიტეს და **Atlantis**-ის აკვარიუმში „ჩაიძირნენ". ერთადერთი, რაც სიმყუდროვეს „არღვევდა", ფანჯრებიდან დანახული ზღვის მღელვარე ცხოვრება იყო.

**ბონუსები** პიკნიკი მარჯნის უკაცრიელ კუნძულზე, და საწოლში საუზმედ მორთმეული თავჩაქუჩა ზვიგენის დელიკატესი.

**ვარსკვლავცვენა** **Black Eyed Peas**-ის სოლისტმა **ფერგიმ** და მისმა მეუღლემ, მსახიობმა **ჯოშ დუამელმა**, თაფლობისთვე მალდივებზე, **One&Only Reethi Rah**-ში გაატარეს. ამავე ადგილს ესტუმრნენ **გაი რიჩი** და მისი მეუღლე, მოდელი **ჯეკი ეინსლიც**.

**CHECK IN** იმისთვის, რომ მალდივური თაფლობისთვით დატკბეთ, საჭიროა $2500 (*ერთ ადამიანზე*). ამ ფასად ფერგისა და სხვა ვარსკვლავების მსგავსად დასვენებას, დელიკატესებით მდიდარი საუზმის დაჭაშნიკებას, ერთკვირიან განტვირთვასა და კომფორტულად ფრენას შეძლებთ.

რაც შეეხება დუბაის წყალქვეშა სამოთხეს, ამ ადგილას ერთი ღამით და-Check-in-ება $5000-მდე დაგიჯდებათ. თუ რეგულარულ, არაწყალქვეშა ნომრებს დასჯერდებით, ღამის გატარებას $300-დაც შეძლებთ.




# ველური თაფლობისთვე აფრიკის გულში

**რონან კიტინგმა** და **სტორმ უეშტრიცმა** თაფლობისთვე სამხრეთ აფრიკაში, ველური ექსპედიციით აღნიშნეს. ახალდაქორწინებულები ულუსაბას **Cliff Lodge**-ში დაბინავდნენ, რითაც მათი დაუვიწყარი თავგადასავალი დაიწყო... შესაძლებელია ბინა ხეზე აშენებულ სახლებში დაიდოთ, ან არჩევანი მაღალსართულიანი სასტუმროს მდიდრულ ნომერზე შეაჩეროთ და ველურ ცხოვრებას ფანჯრებიდან ადევნოთ თვალი. გასართობი და ექსტრემალური ტურები, სეირნობა უდაბნოში, ვახშამი სანთლის შუქზე – აქ ყველაფერია, რაც ჯადოსნური თაფლობისთვისთვისაა საჭირო.

**ბონუსები** თანაცხოვრება ველურ ბუნებასა და ცხოველებთან, თვალწინ ჩავლილი სპილოები, გამთენიისას დანახული ლომები და სხვა ბინადრები... მოკლედ, „მეფე ლომის" გაცოცხლებული კადრები.

**ვარსკვლავცვენა** „ველური არჩევანი" გააკეთეს **ჯასტინ ტიმბერლეიკმა** და **ჯესიკა ბილიმაც**, რომლებმაც თაფლობისთვის გატარება უდაბნოში, ტანზანიის **Singita Faru Faru**-ში გადაწყვიტეს.

**CHECK IN** ულუსაბას **Aardvark Safaris**-ში შვიდი ღამის გატარება ერთ ადამიანს $3000-მდე დაუჯდება. ფასში ფრენა და ტრანსპორტირებაც შევა.

**რონანი და სტორმი ულუსაბას Cliff Lodge-ის აივნიდან სუნთქვისშემკვრელი ხედებით ტკბებიან.**





სიმწვანეში ამოზრდილი Rock Lodge-ი ველურ ბუნებას გადაჰყურებს. ამავდროულად, ეს იდეალური ადგილია ჯადოსნური საუზმის, სადილისა და ვახშმისთვის.



ჯორჯ და ამალ კლუნების რჩეული იზოლირებული ვილა-ლუქსი გახდა. ანალოგიური არჩევანი გააკეთეს პრინცმა უილიამმა და კეიტ მიდლტონმაც.







სეიშელის ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ სანთლებით განათებული ვახშამი.

# სეიშელის საიდუმლო

**ჯორჯ კლუნი** და მისი საამაყო მეუღლე **ამალ ალამუდინი**, რომლებმაც ქორწინება ოფიციალურად ვენეციაში აღნიშნეს, თაფლობისთვის გასატარებლად სეიშელის კუნძულებისკენ გაემგზავრნენ. ეს ადგილი საუკეთესოა მათთვის, ვისაც პაპარაცებისგან თავის დაღწევა და სრულიად იზოლირებულ გარემოში დროის გატარება სურთ. გადაადგილების ერთადერთი საშუალება ვერტმფრენია, თანაც კლუნების რჩეულ კუნძულზე მხოლოდ 11 მდიდრული ვილაა განლაგებული. უმაღლესი დონის მომსახურება, პალმებში ჩაფლული საცხოვრებელი და უღრუბლო ამინდი, ჯადოსნური თაფლობისთვის გარანტიაა.

**ბონუსები** ბუნებრივი მასალით გაკეთებული ხელნაკეთი ავეჯი და ახლადდაჭერილი თევზისგან დამზადებული ეგზოტიკური კერძები.

**ვარსკვლავცვენა** სეიშელის კუნძულები **კემბრიჯის ჰერცოგისა და ჰერცოგინიასთვის** ერთ-ერთ საყვარელ ადგილად იქცა, რადგან თაფლობისთვე მათაც სწორედ აქ გაატარეს.

**CHECK IN** სეიშელის კუნძულებზე, **Scott Dunn**-ში, ერთ ადამიანს 7 მდიდრული ღამის გატარება $15000-მდე დაუჯდება! ფასში შედის საცხოვრებელი, ფრენა, ვერტმფრენის მომსახურება და სამჯერადი კვება.

# ლაჟვარდოვანი თაფლობისთვე ფრანგულ რივიერაზე



საოცნებო თაფლობისთვე და ფერადი ოჯახური თანაცხოვრება ლაჟვარდოვან სანაპიროზე იწყება.

ყოფილი Spice Girls-ელი **ჯერი ჰოლიველი** და მისი Formula 1-ელი მეუღლე **ქრისტიან ჰორნერი**, დაოჯახების აღსანიშნავად საფრანგეთის რივიერაზე **Monaco Grand Prix**-ში დაბინავდნენ. წყვილი მდიდრულ სენ-ტროპესა და კანსაც ესტუმრა და ბოლო გაჩერებად ლაჟვარდოვანი სანაპირო შეარჩია.

**ბონუსები** შეჯიბრებები სპორტული მანქანებით, კრუიზი, მდიდრული იახტები.

**ვარსკვლავცვენა** 2014 წელს დაოჯახებულმა **ედი რედმეინმა** და **ჰანა ბეგშოუმ** თაფლობისთვის აღნიშვნა სწორედ მიმდებარე ტერიტორიაზე, სენ-ტროპეს ცხელ სანაპიროზე ამჯობინეს.

**CHECK IN** ფრანგულ რივიერაზე ლაჟვარდოვანი თაფლობისთვის გასატარებლად დაახლოებით $2000 დაგჭირდებათ. შესაძლებელია იახტის ერთი კვირით ქირაობა და სხვა სერვისების დამატება. წინასწარ დაჯავშნის შემთხვევაში შეღავათები ვრცელდება.







ჯერიმ და ქრისტიან ჰორნერმა თაფლობისთვე იახტაზე გაატარეს. წყვილს არც ჭადრაკის თამაშსა და მონაკოს ხედებით ტკბობაზე უთქვამს უარი.

ფოტო: KATE SIMON. FAME FLYNET UK. GETTY IMAGES. MARK WRIGHT. GERI HORNER. WIREIMAGE. XPOSURE PHOTOS

TRAVEL

# თაფლობისთვე CAPTAIN PLUS-ისგან



## „ჭამე, ილოცე, შეიყვარე“

რომანტიკული ვახშამი, არომატული აბაზანები, პაწაწინა სოფლები და თეთრქვიშიანი სანაპიროები – ასეთია ჯადოსნური ბალი, სადაც სპეციალურად ახალდაქორწინებული წყვილებისთვისაა შექმნილი ეგზოტიკური სასტუმრო **Hanging Gardens**. თუ ხმაურიანი დასვენება მოგენატრებათ, იქვეა ქალაქი კუტაც.

**ბონუსები** ბალიზე აუცილებლად ეზიარებით ლოცვის ინდუიზმურ ხელოვნებას, რომელიც თქვენს მეხსიერებაში წარუშლელ კვალს დატოვებს. ამ სავანეში სამად-სამი რამ „მოგეთხოვებათ“ – ილოცეთ, ჭამეთ და შეიყვარეთ!

**CHECK IN** იმისთვის, რომ ოჯახური თანაცხოვრების პირველი დღეები ყველაზე ლამაზ გარემოში გაატაროთ, თითო ადამიანზე 1500€ მაინც უნდა გაითვალისწინოთ. საუკეთესო ინდონეზიური თაფლობისთვის დასაგეგმად, ეწვიეთ **Captain Plus**-ის Facebook-ის გვერდს.



## სიცილიის ხმაურიანი თავგადასავალი

უძველესი არქიტექტურა, კლდეზე გაშენებული პაწაწინა ქალაქები, უგემრიელესი სამზარეულო და მრავალფეროვანი გასართობი ადგილები – ეს სიცილიაა, ხმელთაშუა ზღვის ყველაზე დიდი კუნძული! ტაორმინა, ჩეფალო, სირაკუზა, პალერმო და კატანია თაფლობისთვისთვის იდეალური ქალაქებია. სწორედ აქ შეხვდებით ძირძველ იტალიელებს და ნამდვილ იტალიურ სამზარეულოსაც დააგემოვნებთ.

**ბონუსები** კატანია და პალერმო საუკეთესო საშოპინგო ქალაქებია. გარდა ამისა, აქ „ნათლიმამას“ სცენები პირდაპირ თქვენ თვალწინ ცოცხლდება!

**CHECK IN** იმისთვის, რომ სიცილიაზე და-Check-in-დეთ, ერთ ადამიანზე სულ რაღაც 480€ დაგჭირდებათ. საუკეთესო პირობებისა და შეთავაზებების მისაღებად, დარეკეთ **Captain Plus**-ში ნომერზე: **+995 32 2424040**.

## კრუიზული ბედნიერება

თუ გიყვართ ზღვა, მზე და მხიარულება, მაშინ საუკეთესო არჩევანი კარიბის ზღვის კრუიზია, რომელიც თქვენთან ერთად ისეთ ცხელ-ცხელ ადგილებს მოივლის, როგორებიც მაიამი, იამაიკა, მექსიკა, კაიმანისა და ბაჰამის კუნძულებია. ეს მოგზაურობა ტალღებივით მღელვარე თავგადასავალს გპირდებათ.



**ბონუსები** თქვენ კრუიზზევე შეძლებთ, ხელმოწერის ულამაზესი ცერემონია და ფოტოსესია დაგეგმოთ.

**CHECK IN** ამ სიამოვნებისთვის მინიმუმ 2000$-ია საჭირო. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს: **www.captain.ge**

*ტურისტული სააგენტო **CAPTAIN PLUS**; **მის**.: ქალაქი თბილისი, მარი ბროსეს ქ. 2; **ტელ**.: +995 32 2424040; **www.captain.ge** **www.facebook.com/capplus***

MY BRAZIL

# ბრაზილიელი ლამაზმანები

ოლიმპიურმა თამაშებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფენომენს, რომელსაც ბრაზილიური სილამაზე ჰქვია. სწორედ ამიტომ, HELLO!-მ გადაწყვიტა შემოგთავაზოთ ექსკლუზიური ინტერვიუები იმ ცნობილ ქალბატონებთან, რომელთათვისაც ბრაზილია ოჯახთან, ბავშვობასთან, ყველაზე ტკბილ მოგონებებსა და პირველ კარიერულ ნაბიჯებთან ასოცირდება. რა თქმა უნდა, ჩვენი რესპონდენტები სილამაზის საიდუმლოსაც გაგვიმხელენ...

**ალესანდრა ამბროსიო** ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელია მსოფლიო მასშტაბით. **35** წლის ლამაზმანი ბრაზილიის სამხრეთში, რიუ-გრანდი-დუ-სულში დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ **18** წლის ასაკში ქვეყანა დატოვა და ბედის საძიებლად მოდის დედაქალაქე-ბისაკენ გაემართა, მისთვის სამშობლო ყოველთვის განსაკუთ-რებულ დატვირთვას ატარებდა. დღეს კი ალესანდრა, ბევრი სხვა ბრაზილიელი სუპერმოდელის მსგავსად, „ვიქტორიას ანგელოზია“ და თავის ორ “ანგელოზთან” – ანია ლუიზასა და ნოა ფოენიქსთან ერთად კალიფორნიაში ცხოვრობს. მისი საქმრო ბიზნესმენი ჯეისონ მაზურია. საკუთარი ბიზნესი აქვს მოდელსაც, რომელსაც ბრაზილიური წარმოშობა საცურაო კოსტიუმების ხაზის – **Ále by Alessandra**-ს დიზაინზეც დაეტყო. მოკლედ, მოდელი მშობლიური ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი, ცნობილი და პოპულარული წარმომადგენელია, რასაც **Instagram**-ის ექვს მილიონზე მეტი მიმდევარიც ადასტურებს.

**მოგვიყევით იმ ადგილზე, სადაც გაიზარდეთ...**
ა.ა. პატარა ქალაქში – ერეშინში გავიზარდე. სწორედ იქ ცხოვრებამ მასწავლა, რომ არასოდეს უნდა დაივიწყო შენი ფესვები, ოცნებები და ყოველთვის უნდა იყო უბრალო, შრომისმოყვარე.

**რა გენატრებათ ხოლმე ყველაზე მეტად?**
ა.ა. ჩემი ოჯახი, მეგობრები, ბრაზილიის ჰაერი, სანაპიროზე სეირნობა და სიმშვიდის განცდა... ვცდილობ, ჩემს ქვეყანაში საკმარისი დრო გავატარო და ზაფხულობით მაინც ჩავიდე ხოლმე, რათა საყვარელი ადამიანები მოვინახულო.

**რა არის ბრაზილიური სილამაზის საიდუმლო?**
ა.ა. არ მგონია, რაიმე საიდუმლო არსებობდეს. ბრაზილიელ ხალხს აქვს უნარი, იყოს ბედნიერი. ალბათ სწორედ ეს არის სილამაზის მთავარი მიზეზი.

**რატომაა ბრაზილიური მოდა ასეთი განსაკუთრებული?**
ა.ა. იმიტომ, რომ ის ქვეყნის კულტურას ირეკლავს და ჩვენი ხალხის მგრძნობიარე ხასიათს გამოხატავს.

**ვინ არის თქვენი ფავორიტი ბრაზილიელი დიზაინერი?**
ა.ა. **Helorocha**, რომელიც უნიკალურ დიზაინს ქმნის. მომწონს **Lenny Niemeyer**-ის საცურაო კოსტიუმებიც.

**რას ურჩევდით ბრაზილიისკენ მომავალ მოგზაურებს?**
ა.ა. აუცილებლად ნახეთ მზის ჩასვლა არპოადორზე, რიოში. ისიამოვნეთ ბრაზილიური კულტურით, ცეკვებით... დალიეთ კაიპირინას კოქტეილი და სახლში იმ პოზიტიური მუხტით დაბრუნდით, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გაგყვებათ.

**რა არის ის, რაც ბრაზილიაში ყველაზე მეტად გიყვართ?**
ა.ა. ხალხი... მათი თბილი და მეგობრული დამოკიდებულება. ბრაზილიის ბუნებაც ძალიან მიყვარს, რა თქმა უნდა.



## ალესანდრას ბრაზილია

საყვარელი საჭმელი: ვგიჟდები ბრაზილიურ ბარბექიუზე, ქოქოსის წყალსა და ყველიან ბურთულებზე.
საყვარელი სასტუმრო ბრაზილიაში: **FASANO** – იქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში.
სილამაზის რჩეული პროდუქცია: ყველაფერი, რაც ნატურალურია და რაც მხოლოდ ბრაზილიაში იშოვება. მაგალითად, თმის მოვლის საშუალებები სალონისგან **Laces and Hair**.
საყვარელი სანაპირო: ბრაზილიის სამხრეთში მდებარე ფლორიანოპოლისის სანაპირო.
საყვარელი რესტორანი: **Rodeio** სან-პაულუში, **Capim Santo** ტრანკოსოში და ფლორიანოპოლისის რესტორნები, სადაც თევზეულის საოცარი არჩევანია.



„ბრაზილიელი ხალხი ძალიან მგრძნობიარეა და ეს მოდაზეც აისახება“



„რა მიყვარს ბრაზილიაში ყველაზე მეტად? – საჭმელი, სანაპიროები, ხალხი და მუსიკა!“

**ადრიანა ლიმა** ცნობილია, როგორც **Victoria's Secret**-ის მოდელი, რომელსაც „ანგელოზის ფრთების“ ტარების პატივი ყველაზე მეტჯერ ერგო. სალვადორთან მდებარე პატარა ქალაქში დაბადებულმა გოგონამ **13** წლის ასაკში მიიღო მონაწილეობა სილამაზის კონკურსში „ბრაზილიის სუპერმოდელი“. სინამდვილეში ადრიანა მეგობარს ეხმარებოდა, რომელსაც კონკურსზე მარტო გასვლის ეშინოდა. შედეგად კი მოხდა ისე, რომ მომავალმა სუპერმოდელმა პირველი ადგილი დაიკავა და სამი წლის შემდეგ ნიუ-იორკში გადასახლდა, რათა კონტრაქტი **Elite Model Management**-თან გაეფორმებინა. **34** წლის ლიმა, რომელიც ორი შვილის დედაა, დღეს ისეთ დიზაინერებთან თანამშრომლობს, როგორებიც არიან **Giorgio Armani, Vera Wang**-ი და **Valentino**. **2012** წელს ის პირველი ვარსკვლავი გახდა, რომელიც სუპერთასზე ერთდროულად ორ რეკლამაში გამოჩნდა.

**რა არის ბრაზილიურ მოდაში ასეთი განსაკუთრებული?**
**ა.ლ.** ჩვენთან შთაგონების მთავარი წყარო ხალხი და ბუნებაა. სწორედ ამიტომაა ბრაზილიური მოდა ასეთი განსაკუთრებული.

**ვინ არის თქვენი ფავორიტი ბრაზილიელი დიზაინერი?**
**ა.ლ.** **Vitorino Campos**-ის ფანი ვარ. მეამაყება, რომ წარმოშობით ჩემი შტატიდანაა. საოცარ ნამუშევრებს ქმნის და კიდევ უფრო საოცრად წარმოაჩენს ყველაფერს, რაც ჩვენს მხარეს უკავშირდება.

**რით გამოირჩევა სან-პაულუს მოდის კვირეული?**
**ა.ლ.** ყოველგვარი მიკერძოების გარეშე უნდა ვთქვა, რომ ბრაზილიურ პოდიუმებზე ყველაზე ლამაზი ქალბატონები გამოდიან. ისინი დიზაინერების მიერ შექმნილ სამოსს კიდევ უფრო ამშვენებენ.

**რომელია თქვენი ფავორიტი ბრაზილიური კერძი?**
**ა.ლ.** კარგად გამომდის ფეიჟოადას მომზადება, რომლის მთავარი ინგრედიენტები ღორის ხორცი და ლობიოა. ოჯახში ამ კერძის განსაკუთრებული რეცეპტი გვაქვს, რომელსაც მეც ყოველკვირეულად ვიყენებ.

**მოგვიყევით, სად გაიზარდეთ და რამ იქონია თქვენზე განსაკუთრებული გავლენა...**
**ა.ლ.** ბაიას შტატი პოზიტიური ენერგიითაა სავსე. ის ოჯახური ცხოვრების მოყვარულთა ფავორიტი ადგილია. სწორედ იქ ჩამომიყალიბდა მთავარი მორალური და ოჯახური ღირებულებები, რომლებსაც ყველგან დავატარებ, სადაც მივდივარ.

**ახლა მაიამიში ცხოვრობთ. რა გენატრებათ ყველაზე მეტად?**
**ა.ლ.** ბრაზილია კულტურისა და ხალხის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. იქ ადამიანები ყოველთვის ბედნიერები არიან, ყველანაირი დაბრკოლების მიუხედავად. სწორედ ეს მომწონს ყველაზე მეტად. ვცდილობ ხოლმე, სამშობლოს ხშირად ვესტუმრო, თუმცა ამაში ხელს საქმიანობა და ჩემი შვილის სკოლის განრიგი მიშლის. ყველაზე ბედნიერი მაშინ ვარ, როცა ბრაზილიის ბილეთს ვყიდულობ.

**რა არის ის, რაც ბრაზილიაში გამგზავრებისას აუცილებლად თან მიგაქვთ ხოლმე?**
**ა.ლ.** სანაპიროსთვის აუცილებელი აქსესუარები, **Jawbone Jambox**-ი მუსიკის მოსასმენად და შავი კაბა გამოსასვლელად.

**რომელი სასტუმრო მოგწონთ ყველაზე მეტად?**
**ა.ლ.** რიოში ყველაზე მეტად **Fasano** მიყვარს. ის ძალიან მდიდრულია და საოცარი ხედებითა და სამზარეულოთი გამოირჩევა.

**რა უნდა წაიღონ სახლში მათ, ვინც ბრაზილიაში პირველად მოგზაურობენ?**
**ა.ლ.** რა თქმა უნდა, ბრაზილიის ფეხბურთის ნაკრების ფორმა! ამის გარეშე ბრაზილიიდან წასვლა წარმოუდგენელია!

**რა არის ის, რაც ბრაზილიაში ყველაზე მეტად გიყვართ?**
**ა.ლ.** საჭმელი, სანაპიროები, ხალხი და მუსიკა!









## ადრიანას ბრაზილია

საყვარელი საჭმელი: ფეიჟოადა.
საყვარელი საჭმელი ბავშვობაში: დედაჩემის მომზადებული ლაზანია.
საყვარელი რესტორანი: დედაჩემის სახლი! ყველაზე გემრიელ კერძებს ის ამზადებს!
სილამაზის რჩეული პროდუქცია: ნუშის ზეთი, რომელსაც თმის მოვლისთვის ვიყენებ.
საყვარელი ადგილი ბრაზილიაში: კორკოვადოს ჯადოსნური მთა რიო-დე-ჟანეიროში.
საყვარელი სასტუმრო: **Fasano**.
საყვარელი სანაპირო: პრაია-დო-ფორტე, რომელიც ბაიას შტატში მდებარეობს.
ბრაზილიური სილამაზის საიდუმლო: ვხუმრობ ხოლმე, რომ ჩვენი მთავარი საიდუმლო ქოქოსის წყალშია!





**ROSANTICA**
503 gel
**net-a-porter.com**

## იზაბელის ბრაზილია

**საყვარელი ბრენდი:** **Agua de Coco**-ს საცურაო კოსტიუმები და ფეხსაცმელი.
**საყვარელი კერძი ბავშვობაში:** შემწვარი პოლენტა (*ქერისა და სიმინდის ფქვილისგან დამზადებული ფაფა*).
**საყვარელი რესტორანი სან-პაულუში:** **Figueira, La Tambouille, Emporio Santa Maria, Almanara და Daiki Sushi**.
**საყვარელი რესტორანი რიო-დე-ჟანეიროში:** **Sawasdee**, **Nagayama** და **Azumi**.
**საყვარელი სანაპირო:** ძალიან მიყვარს ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ფერნანდუ-დი-ნორონიას კუნძული.
**ბრაზილიას ყველაზე მეტად გამოარჩევს:** ამინდი, ხალხი და ბრაზილიური მუხტი.





*„ჩვენი ხალხი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. გოგონებს ბუნებრივი და ეგზოტიკური სილამაზე აქვთ“*

**იზაბელი ფონტანა** ბავშვობიდან ოცნებობდა მსოფლიო პოდიუმების დაპყრობაზე. ჯერ მხოლოდ **13** წლის იყო, როდესაც ჟიზელ ბიუნდჰენის კვალს გაჰყვა და **Elite Model**-ის კონკურსში გაიმარჯვა. **16** წლის ასაკში უკვე **Victoria's Secret**-ის კატალოგის ყდაზე გამოჩნდა და ბრენდის ყველაზე ახალგაზრდა სახედ იქცა. დღეს კი ორი შვილის დედაა და სამოდელო საქმიანობას ოჯახურ ცხოვრებასთან იდეალურად ათავსებს. **32** წლის იზაბელი ისეთ დიზაინერებთან თანამშრომლობს, როგორებიც **Ralph Lauren**-ი, **Versace, Gucci, Dolce & Gabbana, Dior**-ი და **Valentino** არიან. კურიტიბაში დაბადებულ და გაზრდილ სუპერმოდელს მიაჩნია, რომ ბრაზილიელ ქალბატონებს ყველაზე მეტად ბუნებრივობა ალამაზებთ.

**13 წლის იყავით, როდესაც თქვენი კარიერა დაიწყო. როგორი იყო ადრეული ცხოვრება პოდიუმზე?**
**ი.ფ.** ძალიან გამიმართლა, ამხელა შესაძლებლობები ასეთ ადრეულ ასაკში რომ მომეცა. ამ ინდუსტრიამ სწრაფად გამზარდა – როდესაც მოგზაურობ და სხვადასხვა კულტურას ეცნობი, თავისთავად ბევრ რამეს სწავლობ და იზრდები.

**ერთხელ აღნიშნეთ, რომ მოდის ინდუსტრიას შთაგონებისთვის „ახალი სისხლი“ სჭირდება. როგორ ახერხებთ, 20 წლის შემდეგ კიდევ რჩებოდეთ შთაგონების წყაროდ?**
**ი.ფ.** მოდის ინდუსტრია მუდმივად იცვლება. ახლა ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების ერაა. მთავარია ყველაფერთან ადაპტაცია შეგეძლოს.

**რის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ თქვენი კოსმეტიკური ჩანთა?**
**ი.ფ.** მაკიაჟის მოსაშორებელი რძის, დამატენიანებელი კრემისა და სახის ნიღბების გარეშე! მაკიაჟის მოშორების შემდეგ, აუცილებელია სახის კანი კარგად გასუფთავდეს და გაჯანსაღდეს. დამატენიანებელი კრემი ყველაზე მნიშვნელოვანია! ნიღბები კი მოგზაურობის დროსაც მუდამ თან დამაქვს, რათა ფრენის დროს გამომშრალ კანს სწორად მოვუარო. გარდა ამისა, არასოდეს მავიწყდება მზისგან დამცავი საშუალებები.

**რომელ ბრაზილიურ ბრენდებს ანიჭებთ უპირატესობას?**
**ი.ფ.** **Tufi Duek**-ს, **Agua de Coco**-სა და **Morena Rosa**-ს. ასევე, **Damyller**-ის ჯინსებს. ძალიან მომწონს თეთრეულის ახალი ხაზიც, რომელზეც **Morena Rosa**-სთან ერთად ვმუშაობ.

**რის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ მოგზაურობა?**
**ი.ფ.** ყოველთვის თან დამაქვს თავის მოვლის საყვარელი პროდუქცია. თვითმფრინავისთვის ყველაზე კომფორტულ ტანსაცმელს ვარჩევ, და თუ ხანგრძლივი ფრენაა, თვალის ნიღაბზეც ვზრუნავ ხოლმე.

**რა არის ის, რაც ბრაზილიაში ყველაზე მეტად გიყვართ?**
**ი.ფ.** ამინდი, ხალხი და ბრაზილიური მუხტი.

BEAUTY

# ბრაზილიური მელირება

სამხრეთამერიკელი ლამაზმანები, განსაკუთრებულ შარმსა და სხეულის მოხდენილ ფორმებთან ერთად, ულამაზესი თმითაც გამოირჩევიან



Sofia Vergara



Gisele Bundchen

კარამელისფერი მელირება მზეზე გახუნებულის ეფექტით, **Victorias Secret**-ის თითქმის ყველა ბრაზილიელი ანგელოზის **MUST HAVE** ვარცხნილობაა. **HELLO!** წარმოგიდგენთ იმ ჯადოსნურ პროდუქტს, რომელიც თმის დაზიანების გარეშე დაგეხმარებათ თქვენი მელირება მაქსიმალურად ბუნებრივი და მბზინვარე გახდეს. **OLAPLEX**-ის თმის მოვლის საშუალებები ზუსტად ისაა, რაც ყველა ქალბატონს სჭირდება. 3 განსხვავებული თმის ნიღბისგან შემდგარი ნაკრები თმასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ.




1

**N°1 ნიღაბი**
თმაზე საღებავთან შერევის შემდეგ ისმევა, რათა თავიდან აგაცილოთ დამწვრობა, თმის გამოშრობა და ბოლოების დაყოფა.

## BLONDIE POWER

ქერა კარე ბოლო პერიოდში „წითელ ხალიჩაზე“ შემჩნეული ყველაზე ცხელი ტრენდია. **ჯენიფერ ლოურენსი**, **კრისტენ სტიუარტი**, **მარგო რობი** და **რეიჩელ მაკადამსი** ამ ტრენდულ ვარცხნილობას ნებისმიერ სამოსთან იხდენენ. თეთრში გარდამავალი ქერა ტონი და უსწორმასწორო ტალღოვანი თმა შემოდგომაზე ძალიან მოდური იქნება!

თუ ტენდენციებს ფეხს უწყობთ და თმის ასე შეჭრას გადაწყვეტთ, ფერის შეცვლაც არ დაგავიწყდეთ. განურჩევლად იმისა, თუ რა ტონის თმა გაქვთ, დამწვრობის გარეშე შეღებვაში ისევ **OLAPLEX**-ის ჯადოსნური პროდუქცია დაგეხმარებათ, რომელიც თავიდან აგაცილებთ გამაღიავებლისგან დაწვას, თმის გამოშრობას და არასასურველ ფერს!


Jennifer Lawrence
Kristen Stewart
Margot Robbie
Rachel McAdams




**N°2 ნიღაბი**
საღებავის ჩამობანის შემდეგ, მაქსიმალური დატენიანებისა და მოცულობისთვის გამოიყენება.

**N°3 ნიღაბი**
ფინალური პროდუქტი კი, შინ მოხმარებისთვისაა განკუთვნილი – რათა ეფექტი შევინარჩუნოთ.

*თუ ინტენსიური ღებვისგან დაზიანებული თმა გაქვთ ან ხშირად ატარებთ ექსპერიმენტებს საკუთარ თავზე და არ გსურთ დაიზიანოთ თმის სტრუქტურა, მაშინ OLAPLEX-ის თმის მოვლის საშუალებები თქვენთვისაა.*

## რედაქტორის რჩევით

**იმისთვის რომ ფერი დიდხანს შეინარჩუნოთ, შეღებილი თმის საუკეთესო საშუალებებს გთავაზობთ**

**1. REVLON 45 DAYS TOTAL COLOR CARE ICE BLONDES** – შამპუნი და კონდენციონერი ქერა თმისთვის. ხელს უწყობს ფერის შენარჩუნებას, მბზინვარებასა, თმას კი მოცულობას სძენს. გამოიყენეთ ყოველდღიურად. **PROF BEAUTY**; **2. PHYTO PHYTOELIXIR** – დამატენიანებელი კრემი მშრალი და ძალიან მშრალი თმისთვის, რომელიც თმას საჭირო ლიპიდებით ამდიდრებს. კრემი თმას აბრეშუმივით რბილს, მსუბუქსა და მბზინვარეს ხდის. სააფთიაქო ქსელი **GPC**; **3. VICHY DERCOS SOFT & FORTIFYING CONDITIONER** – თმის მინერალური ბალზამი, რომელიც არბილებს ღერების სტრუქტურას და სასიამოვნო სურნელს ანიჭებს თქვენს თმას. შეღებილთან ერთად, რეკომენდებულია გამოიყენოთ ნებისმიერი ტიპის თმაზე. **GPC**



FASHION

# ARMANI, STELLA McCARTNEY & RALPH LAUREN ოლიმპიური დიზაინი





**Lenny Niemeyer-ი HELLO!-ს უმხელს, რომ მისი შთაგონების მთავარი წყარო ბრაზილიური პეიზაჟებია: „ყველაზე მეტად მრავალფეროვანმა ფლორამ, ფაუნამ და უსასრულო სანაპიროებმა შთამაგონა“.**






**11 ოლიმპიური მედლის მფლობელი რაიან ლოხტე Ralph Lauren-ის მაისურით აშშ-ს წარადგენს. Stella McCartney კი ბრიტანელი ათლეტების უნიფორმებზე ზრუნავს.**




ოლიმპიური თამაშების დაწყება, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრის გარდა, დიზაინერთა „ორთაბრძოლასაც“ ნიშნავს. „რიო 2016“-ის პირველი ყველაზე გამორჩეული უნიფორმები კანადელებმა წარმოადგინეს. მათ სამოსზე **Dsquared2**-მა იზრუნა და პირობა დადო, რომ აგვისტოს მთავარ მოვლენას მოდის კვირეულს დაამსგავსებდა. ამ პირობის შესრულებაში უშუალო მონაწილეობა მიიღო **Stella McCartney**-მაც, რომელმაც დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს განსაკუთრებული ფორმები უსახსოვრა და სიამაყით აღნიშნა, რომ „გამარჯვებული დიზაინი“ შექმნა. მან ოლიმპიელი ვარსკვლავების – **ჯესიკა ენის-ჰილისა** და **ტომ დეილის** გვერდითაც იპოზიორა და სიამაყით აღივსო, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ახალი უნიფორმებით მოხიბლული და აღფრთოვანებული იყო.

აშშ-მ უპირატესობა ისევ **Ralph Lauren**-ს მიანიჭა და მის მთავარ წარმომადგენლად 11 ოლიმპიური მედლის მფლობელი მოცურავე – **რაიან ლოხტე** შეარჩია.

ოლიმპიური თამაშები სხვა ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილ უნიფორმებსაც მასპინძლობს. რჩეულთა შორის **Armani** (*იტალია*), **Lacoste** (*საფრანგეთი*) და **Lenny Niemeyer**-იც (*ბრაზილია*) არიან.




მას შემდეგ, რაც ბოლო ოლიმპიური თამაშები „ყველაზე მოდურად“ აღიარა, მაესტრო Armani-მ, თავის იტალიურ გუნდთან ერთად, კიდევ ერთხელ იზრუნა მშობლიური ქვეყნის ოლიმპიელებისა და პარაოლიმპიელების ჩაცმულობაზე.






Lacoste-ს კრეატიულმა დირექტორმა ფელიპე ოლივიერა ბაპტისტამ, ფრანგული გუნდისთვის 77 განსხვავებული დიზაინი შექმნა და The New York Times-თან საუბრისას აღიარა, რომ მისი სამუშაო ძალიან სტრესული იყო.

ყველაზე მოდური მაინც Dsquared2-ის მიღმა მდგარი კანადელი ტყუპების – დინ და დენ კეიტენების მიერ პატრიოტულ მოტივებზე შექმნილი სამოსი იყო.



**იგუასუს ჩანჩქერი**
ბუნების ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაცი ქმნილება ბრაზილიისა და არგენტინის საზღვარზე მდებარეობს და ორივე ქვეყნის ეროვნულ პარკს ეკუთვნის. „დიდი წყალი“, როგორც ის გუარანის ენაზე ითარგმნება, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლადაა აღიარებული.

*TRAVEL*

# მოგზაურობა ბრაზილიაში

## ოლიმპიური ცეცხლის კვალდაკვალ

**„რიო 2016“-მა მთელი მსოფლიოს ყურადღება ბრაზილიისკენ მიაპყრო. სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები სამხრეთ ამერიკის ყველაზე დიდ ქვეყანას ესტუმრნენ იმ იმედით, რომ სამშობლოში ოლიმპიური მედლებით დაბრუნდებოდნენ**

მათთან ერთად ჭრელა-ჭრულა ფლოსტებითა და ფერადი სათვალეებით, კარნავალების დედაქალაქისკენ უამრავი გულშემატკივარი გაემგზავრა. შესაბამისად, რიო-დე-ჟანეირო თავისი მარაკანას სტადიონით, სამბას მელოდიებით, ფაველების მრავალფეროვნებითა და მუდმივად მომღიმარი მოქალაქეებით ოლიმპიური თამაშების ყველაზე ცხელი წერტილი გახდა. აქ ყველაფერია – დაწყებული სუნთქვისშემკვრელი პლაჟებით, რომლებიც სამოთხეს მოგაგონებთ, გაგრძელებული ბუნების საოცრებებით, ყველა მხრიდან გარშემორტყმული თვალწარმტაცი ხედებით, არქიტექტურული შედევრებითა და დროში დაკარგული კოლონიებით... მოკლედ, წარმოგიდგენთ ყველაფერს, რაც ბრაზილიაში ყოფნისას არ უნდა გამოტოვოთ!..

# 7 საოცრება ბრაზილიაში

## პანტანალის ნაკრძალი

მსოფლიოს ყველაზე დიდი ტროპიკული ნაკრძალი, რომელიც ნესტიანი ლანდშაფტითაა ცნობილი, ბოლივიისა და პარაგვაის ტერიტორიებზეც ვრცელდება. ეს ადგილი ველური ბუნების ნამდვილ კარნავალს მოგაგონებთ.

## ამაზონი

ამაზონის ტროპიკული ტყე ბრაზილიის მთელ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზეა გადაჭიმული და 2000-ზე მეტი სახეობის ბინადარს მასპინძლობს. მათ შორის იაგუარი, ამაზონის დელფინი და თუთიყუში არაც არიან.

## სალვადორი

ჭრელა-ჭრელა სალვადორი, რომელიც, ერთი შეხედვით საზაფხულო სამკაულს მოგაგონებთ, განსაკუთრებული ენერგეტიკითა და აფრო-ბრაზილიური მოსახლეობის სიმრავლით გამოირჩევა. მისი ხელშეუხებელი მშვენიერება კარნავალის პერიოდში ცოცხლდება და უამრავ ტურისტს მასპინძლობს.

## ბრაზილიის კათედრალი

ეს თანამედროვე არქიტექტურული შედევრი ცნობილია ფერადი მოხატული მინებით, უზარმაზარი გუმბათითა და საყრდენი სვეტებით, რომლებიც ზეცისკენ აღპყრობილ ხელებს მოგაგონებთ.

## პარატი

ფერად-ფერადი შენობები და ვიწრო ქვაფენილები ამ ულამაზეს ქალაქს ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სანახაობად აქცევს. ყოფილი კოლონია ისტორიულ დანიშნულებასაც ატარებს და ბევრი ტურისტის საყვარელი ადგილია.

## ლენსოის-მარანენსის ეროვნული პარკი

დიუნების ზღვა, რომელიც პატარ-პატარა ლაგუნებისგანაა „მოქსოვილი“, ჯადოსნურ უდაბნოს ქმნის. ლენსოის-მარანენსის ეროვნული პარკი საჰაერო სერფინგის მოყვარულთა ნამდვილი სამოთხეა.







ჟერიკოაკოარა
ჟერიკოაკოარას ქვიშიანი სამოთხე ფორტალეზადან 300 კილომეტრში მდებარეობს. აქ მოხვედრა ავტობუსითა და ავტოსტოპითაა შესაძლებელი.

# 7 საუკეთესო პლაჟი ბრაზილიაში



ფერნანდუ-დი-ნორონია
ზღვის კუ, დელფინი, რვაფეხა, რიფის ზვიგენი და უამრავი სახეობის თევზი – ოკეანის ეს ბინადრები ნამდვილ წყალქვეშა მუზეუმს ქმნიან და არქიპელაგის მიმდებარე ტერიტორიაზე სტუმრებს დაუვიწყარი სანახაობებით ანებივრებენ.



იპანემა
თუ კარიოკებს (რიოს მოსახლეებს) ჰკითხავთ გზას საუკეთესო პლაჟისკენ, ისინი აუცილებლად იპანემას მიგასწავლიან. ის ძლიერი ტალღებითაა ცნობილი, რის გამოც “სერფერების სამოთხეს” უწოდებენ.

**იპანემა** გრძელი ქვიშიანი სანაპირო, რომელსაც კამკამა ლურჯი წყალი დიდი ტალღებით „ამკობს“, რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთი მთავარი ხიბლია. ყვინთვის, სერფინგის, ან უბრალოდ, რუჯის მიღების მოყვარულები სწორედ იპანემას უნდა ესტუმრონ.

**ფერნანდუ-დი-ნორონია** ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე არქიპელაგს თვალწარმტაცი სანაპიროები ამშვენებს. ფერნანდუ-დი-ნორონია ეროვნული საზღვაო პარკის დაცული ნაწილია და ეკოლოგიური ტურიზმის პოპულარულ მიმართულებად მიიჩნევა.

**კაჩადაკოს პლაჟი** თუ გსურთ კამკამა წყალში ინებივროთ, ქვიშიან სანაპიროზე წამოწვეთ და ჯუნგლებით დაფარული კლდეების ულამაზესი ხედით დატკბეთ, მაშინ აუცილებლად კაჩადაკოს სანაპიროსკენ უნდა გაეშუროთ.

**ილია-ბელა** ვულკანური წარმოშობის მთებით, სუნთქვისშემკვრელი სილამაზის სანაპიროებით, ჯუნგლებითა და ჩანჩქერებით განთქმულ სანაპიროს ადგილობრივებმა „მშვენიერი კუნძული“, იგივე ილია-ბელა შეარქვეს. ის 350 კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული და ნებისმიერ სტუმარს დაუვიწყარ სანახაობას ჰპირდება.

**ილია-გრანდი** ტროპიკული ტყე ქვიშიანი სანაპიროებითაა „შემოღობილი“. ამასთან ერთად ჯუნგლებში სავალი ბილიკებია გაყვანილი, რაც ყველა მოგზაურს საშუალებას აძლევს ეს სამოთხისმაგვარი კუნძული საფუძვლიანად შეისწავლოს და დაათვალიეროს.

**ბუზიუსი** მას შემდეგ, რაც ბრიჯიტ ბარდომ „დაარსა“ (1964 წ.), ბუზიუსი ვარსკვლავების საყვარელ კურორტად გადაიქცა. ის პატარა ყურეს მოგაგონებთ, სადაც ნავები, იახტები და გემები ჭიანჭველებივით არიან გაბნეულნი.

**ჟერიკოაკოარა** თეთრი დიუნების ნამდვილი ოაზისი ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სეარას შტატში მდებარეობს და სერფერების ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ადგილად მიიჩნევა. აქ ჰამაკები პირდაპირ წყალზეა დაკიდებული. ასე რომ, ისღა დაგრჩენიათ კომფორტულად მოეწყოთ და თავი ისე იგრძნოთ, როგორც სამოთხეში.



**შაქრისთავა მთა**
საბაგირო გზას სტუმრები გუანაბარას ყურედან 396 მეტრ სიმაღლეზე აჰყავს. შაქრისთავა მთიდან რიოს ყველაზე ცნობილი და თვალწარმტაცი ხედები იშლება.



**სამბა**
სამბას ისეთი სკოლები, როგორებიცაა: Mangueira, Unidos de Tijuca და Salguiero, აგვისტოში სპეციალურ გაკვეთილებს ატარებენ იმისთვის, რომ მოსწავლეები ყველასთვის ცნობილი „სამბადრომისთვის“ მოამზადონ.

# რიო-დე-ჟანეიროს 8 ყველაზე ცხელი წერტილი

**ქრისტეს ქანდაკება** რიოში ჩასვლისას, უპირველესად, სწორედ ქრისტეს ქანდაკება უნდა მოინახულოთ. ის მარტო ქალაქის კი არა, ქრისტიანობის სიმბოლოცაა და ერთ-ერთია ახალ შვიდ საოცრებათაგან. ამავდროულად, კორკოვადოს მთაზე წამოჭიმული ამ ნაგებობიდან დაუვიწყარი ხედები იშლება.

**შაქრისთავა მთა** თუ მზის ჩასვლის არნახული სილამაზით დატკბობა გსურთ, საბაგირო გზას შაქრისთავა მთისკენ გაჰყევით და ცნობილი ბრაზილიური ლაიმის წვენი გასინჯეთ.

**კოპაკაბანა** იმისათვის, რომ ფეხქვეშ ოქროსფერი ქვიშა შეიგრძნოთ და ფრენბურთისა და ფეხბურთის მოთამაშე კარიოკების (რიოს მოსახლეები) თამაშის ცქერით ისიამოვნოთ, გეზი კოპაკაბანას პლაჟისკენ უნდა აიღოთ.

**FASANO** ეს სასტუმრო რიოს ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილია და ამას ისიც მოწმობს, რომ „ფაზანოს“ ხშირ სტუმართა სიაში კეიტ მოსი, დევიდ ბექჰემი და One Direction-ის წევრები არიან.

**სამბა** კარნავალს გემო თქვენც რომ გაუსინჯოთ, ქალაქის ყველაზე ცნობილ სკოლებს უნდა ესტუმროთ და სამბას გაკვეთილებს დაესწროთ. იდეალური იქნება, თუ ამ ადგილებს გრანდიოზული „სამბადრომის“ დაწყებამდე ეწვევით.

**ZERO ZERO** თუ ღამის ცხოვრება გიყვართ და საუკეთესო ბარს, რესტორანსა და ღამის კლუბს ეძებთ, ZERO ZERO-ში ყველაფერია გაერთიანებული. აქ ერთდროულად დატკბებით ენერგიული მუსიკით, უგემრიელესი სუში-ბარითა და რიოელი გოგონების სილამაზით.

**სანტა-მარტას ფაველა** ეს ის ადგილია, სადაც ყველაზე ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელები და სამბას მოცეკვავეები გაიზარდნენ. აქვეა გადაღებული მაიკლ ჯექსონის მუსიკალური ვიდეო 1996 წლის ჰიტზე They Don’t Care About Us.



**ქრისტეს ქანდაკება**
ქანდაკება, რომელიც რიო-დე-ჟანეიროს სიმბოლოდ იქცა, ერთ-ერთია მსოფლიოს ახალ შვიდ საოცრებათა შორის. ეს ფაქტი კი, თავისთავად, ყველაფერზე მეტყველებს.

HELLO!-ს ცხელი რეცეპტები



COOKERY

# ბრაზილიური გემო

თუ ოლიმპიადაზე ვერ წახვედით და შესაბამისად, ვერც რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში დააგემოვნეთ სხვადასხვა ბრაზილიური კერძი, მაშინ ეს რეცეპტები თქვენთვისაა! მოიმარაგეთ ფერად-ფერადი პროდუქტები, ააჟღერეთ ბოსა-ნოვა და საყვარელ ადამიანებთან ერთად შეიგრძენით ბრაზილიის გემო...

## ცხარე მალაგეტას ქათამი

ცხარე საკვების მოყვარულთათვის ეს კერძი ნამდვილი დელიკატესია. შამფურზე შემწვარი ქათამი იკაზმება მალაგეტას წითელი წიწაკით, რომელიც განსაკუთრებული სიცხარით გამოირჩევა.

**რეცეპტი** 4 ადამიანისთვის

**საჭირო ინგრედიენტები:**
- 500 გრ ქათმის ხორცი (*ძვლებისა და კანის გარეშე*)
- 1 ც დიდი ზომის წითელი წიწაკა
- ზღვის მარილი
- ახლადდაფქვილი შავი პილპილი
- 5 ს/კ ცხარე მალაგეტას მარინადი
- 2 ს/კ ტკბილი მდოგვის სოუსი

**ცხარე მალაგეტას მარინადისთვის:**
- 6 ც წითელი წიწაკა (*წვრილად დაჭრილი*)
- 3 კბილი ნიორი
- 4 ს/კ პომიდვრის პიურე
- 1 ს/კ გამხმარი თავშავას სუნელი
- 2 ს/კ წითელი წიწაკის ფანტელები
- 4 ს/კ წითელი ღვინის ძმარი
- 2 ს/კ ტკბილი წიწაკის სუნელი
- 3 ს/კ მარილი
- 50 მლ არაქისის ზეთი

**ტკბილი მდოგვის სოუსისთვის:**
- 2 ს/კ თაფლი
- 1 ს/კ ვაშლის ძმარი
- 1 ს/კ არაცხარე მდოგვი

**მომზადების წესი:**

**1.** ცხარე მალაგეტას მარინადის მოსამზადებლად შუაზე გაჭერით წიწაკები და ღუმელში არაქისის ზეთსა და ნიორთან ერთად 180 გრადუსზე შეწვით. 10 წუთის შემდეგ ღუმელი გათიშეთ და შემწვარი მასა დანარჩენ ინგრედიენტებთან ერთად დააბლენდერეთ.

**2.** ტკბილი მდოგვის სოუსის მისაღებად ყველა ინგრედიენტი ერთად დააბლენდერეთ, ვიდრე ერთიან მასას არ მიიღებთ.

**3.** ქათმის ბარკლებს მოაცალეთ ყველანაირი ზედმეტი ქონი. ბარკლები ჯამში ჩაყარეთ და დაასხით ცხარე მალაგეტას მარინადი ისე, რომ ხორცი დაიფაროს. ჯამს ფოლგა გადააკარით და მაცივარში 4 საათის ან მთელი ღამის განმავლობაში გააჩერეთ.

**4.** ღუმელი ნელ ცეცხლზე შეანთეთ. დიდი ზომის წიწაკას წიპწები გამოაცალეთ და პატარა ოთხკუთხედებად დაჭერით. წიწაკები და ქათმის ნაჭრები 4-5 შამფურზე გაანაწილეთ, მოაყარეთ მარილი და პილპილი და გამოაცხვეთ 10-15 წუთის განმავლობაში.

**5.** შემწვარი ქათმის ხორცს ტკბილი მდოგვის სოუსი მოასხით და ღუმელში გააჩერეთ, ვიდრე ოქროსფრად არ შეიბრაწება. შემდეგ მოათავსეთ დიდ თეფშზე და ცხარე მალაგეტას ქათამიც მზად არის! კარგი იქნება, თუ გარნირად შემწვარ კარტოფილს გამოიყენებთ.

# ყველიანი ბურთულები



მსუბუქი და ფაფუკი ცომის ყველიანი ბურთულები ბრაზილიელების საყვარელი საჭმელია. ამ სასუსნავს უმეტესად რიოს ქუჩებში გადაეყრებით. გურმანები ოქროსფრად შებრაწულ ქერქსა და რბილ ცომს ღუმელიდან გამოღებისთანავე თბილ-თბილს მიირთმევენ.

**რეცეპტი** 4 ადამიანისთვის

**მომზადებისთვის საჭირო დრო:** 25-30 წუთი

**საჭირო ინგრედიენტები:**
- 125 მლ წყალი
- 125 მლ რძე
- 50 მლ მცენარეული ზეთი
- 1 ს/კ ზღვის მარილი
- 250 გრ ფქვილი
- 2 ც კვერცხი
- 200 გრ პარმეზანი ან ჩედარის ყველი (*გახეხილი*)

**მომზადების წესი:**

**1.** დიდ ქვაბში ჩაასხით წყალი, რძე და ზეთი, მოაყარეთ მარილი და აადუღეთ. ადუღებისთანავე ჩაყარეთ ფქვილი და ურიეთ, ვიდრე თხელ ცომს არ მიიღებთ. გადაიტანეთ დიდ ჯამში და გააგრილეთ.
**2.** დაამატეთ კვერცხი და თქვიფეთ, სანამ კვერცხის ცილა და გული ბოლომდე არ შეერევა თხელ ცომს. დაამატეთ ყველი და კარგად მოურიეთ.
**3.** საცხობ თასზე მოათავსეთ ფოლგა და მასზე ცომი დამრგვალებულ ბურთულებად გადაიტანეთ ან გამოიყენეთ ნაყინის ამოსაღები სპეციალური კოვზი.
**4.** გააცხელეთ ღუმელი 200 გრადუსამდე და ყველიანი პურის ბურთულები 20-25 წუთის განმავლობაში გამოაცხვეთ. ცეცხლი გათიშეთ მაშინ, როცა ცომი ოქროსფრად შეიბრაწება.



# გრილზე შემწვარი რვაფეხა თეთრი ლობიოთი, ახალი ხახვითა და შემწვარი კვერებით

რვაფეხას ხორცით, თეთრი ლობიოთი და იტალიურად შემწვარი კვერებით მსუბუქი და საზაფხულო ბრაზილიური კერძის დაჭაშნიკება შეგიძლიათ.

**რეცეპტი** 1 ადამიანისთვის
**მომზადებისთვის საჭირო დრო** 10 წუთი
**ცხობისთვის საჭირო დრო** 35 წუთი

**ინგრედიენტები**
- 200 გრ რვაფეხას ფეხები
- 100 გრ თეთრი ლობიო
- 10 გრ ზეითუნის ზეთი
- 5 გრ ახალი ხახვი (*დიაგონალურად დაჭრილი*)
- 30 გრ პომიდორი (*წვრილად დაჭრილი*)
- შავი პილპილი

**შემწვარი კვერებისთვის**
- 500 გრ თეთრი ფქვილი
- 225 გრ წყალი
- 25 გრ საფუარი
- მარილი

**მომზადების წესი**

**1.** ჩაყარეთ საფუარი წყალში და მოურიეთ. დაამატეთ ფქვილი და მარილი. კარგად აურიეთ, გადააფარეთ ნაჭერი და ნახევარი საათის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე გააჩერეთ.
**2.** ცომი ისე გააბრტყელეთ, რომ 3 მილიმეტრის სისქემდე დაიყვანოთ. აცადეთ გაფუება, შემდეგ დაჭერით კარტოფილის ჩიფსის ზომაზე, მოაყარეთ მარილი და შეწვით დიდი რაოდენობის ზეთში, სანამ ხრაშუნა არ გახდება.
**3.** მოთუშეთ რვაფეხა და შემდეგ გრილზე გადაიტანეთ. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ ზეითუნის ზეთი.
**4.** მოხარშეთ თეთრი ლობიო და შეანელეთ ახალი ხახვით, პომიდვრის პიურეთი და შავი პილპილით. მიღებული სალათი თეფშზე კვერების გვერდით გადაიტანეთ და ზემოდან გრილზე შემწვარი რვაფეხა მოათავსეთ. უმჯობესი იქნება, თუ ამ უგემრიელეს სადილს არ გააციებთ და თბილ-თბილად მიირთმევთ.

*რეცეპტის ავტორი: შეფმზარეული* ***პაოლო ლავეცინი****, სასტუმრო* **FASANO***, რიო-დე-ჟანეირო.*



# ასაის საუზმე

საუზმე, რომელიც დილიდანვე ენერგიითა და ვიტამინებით აგავსებთ, ასაის მარცვლებისგან შედგება. ხილი, რომელიც პალმებზე მწიფდება და ბრაზილიურ ყურძენს მოგაგონებთ, ამაზონის მარგალიტადაა მიჩნეული და ანტიოქსიდანტებს დიდი რაოდენობით შეიცავს. მას ნებისმიერი საკვების ჩანაცვლება შეუძლია და სუპერხილის სახელითაცაა ცნობილი.

**რეცეპტი** 3-4 ადამიანისთვის

**ინგრედიენტები**
- 250 გრ ასაის გაყინული მარცვლები
- 4 დიდი ზომის ბანანი (*გაფცქვნილი და თხლად დაჭრილი*)
- 5-100 მლ ფორთოხლის ან ვაშლის წვენი
- 6-8 ს/კ მანგოსა და ქოქოსის გრანოლა (*ფხვიერი*)
- 200 გრ მარწყვი (*თხლად დაჭრილი*)

**მომზადების წესი**
**1.** გამოიღეთ ასაის მარცვლები საყინულედან და ბლენდერში 2 დაჭრილ ბანანთან ერთად მოათავსეთ. დაასხით წვენი და დააბლენდერეთ, ვიდრე ერთიან მასად არ გადაიქცევა.
**2.** გაანაწილეთ მცირე ზომის ჯამებში და მოაყარეთ გრანოლა.
**3.** გააფორმეთ თხლად დაჭრილი მარწყვითა და ბანანით, და გემრიელად მიირთვით!..



# კაიპირინას კოქტეილი

ცნობილი ბრაზილიური კოქტეილი ზაფხულის ცხელ დღეებს ყველაზე მარტივად და „გემრიელად“ აგრილებს.

**რეცეპტი** 6 ადამიანისთვის

**ინგრედიენტები:**
- 100 გრ შაქრის სიროფი
- 100 მლ ლაიმის ახლადდაწურული წვენი
- 200 მლ კაშასა (*ბრაზილიური ალკოჰოლური სასმელი. შესაძლებელია ჩანაცვლდეს არომატული რომით ან ლიქიორით*)
- 200 მლ წყალი
- გახეხილი ლაიმი

**მომზადების წესი:**
**1.** წყალი ძალიან ნელ ცეცხლზე დადგით და შაქარი ჩაყარეთ. ურიეთ, სანამ შაქარი მთლიანად არ გაიხსნება. შემდეგ კი სიროფი ცოტა ხანს კიდევ შეათბეთ.
**2.** სიროფი მეტალის ჯამში გადაიტანეთ, ლაიმის წვენი და კაშასა დაამატეთ და გააგრილეთ.
**3.** ჯამი საყინულეში შედგით და დატოვეთ, სანამ გვერდები და შიგთავსი ნაწილობრივ არ გაიყინება. გაყინული ნაწილი ჩანგლით დაამსხვრიეთ და ჯამი საყინულეში დააბრუნეთ.
**4.** ეს პროცესი ყოველ 30-60 წუთში ერთხელ გაიმეორეთ, ვიდრე ჯამში არსებული მასა მთლიანად არ გაიყინება და თოვლისმაგვარ სახეს არ მიიღებს.
**5.** კოქტეილი ჭიქებში გაანაწილეთ და გახეხილი ლაიმი დაუმატეთ. სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ ჭიქები ალკოჰოლითაც შეავსოთ.

*ცხელ-ცხელი რეცეპტებისთვის მადლობა* ***CABANA****-სა და* ***CARNIVAL****-ის გამომცემლებს.*

**ფოტო:** DAVID PONTE/LIZZY BARBER/JAMIE BARBER. **ფოტო:** MARTIN POOLE




Etere Agency

BENITO

BENITO
–Urban
–Light
–Play
–Covers

+995 577 12 22 08

www.benito.com



HALF HOUR...

# ანი ბებია

„ხელოვნური სუნთქვა“ ეკრანებს მალე დაუბრუნდება. მანამდე კი, ვიდრე ახალი ეპიზოდები გამოჩნდება, არ წყდება წინა სერიებისა და მასში მონაწილე მსახიობების განხილვა.

ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ნუცას პერსონაჟმა თითოეულ მაყურებელზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს კი სწორედ ამ როლის შემსრულებლის – ანი ბებიას დამსახურებაა. HELLO! 24 წლის მსახიობს საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრება...

**როდის დაუბრუნდებით ეკრანს?**
ა.ბ. „ხელოვნური სუნთქვა“ სექტემბერში დაბრუნდება, მაგრამ ის არ ვიცი, მეც დავბრუნდები თუ არა. ყველაფერი სცენარისტებზეა დამოკიდებული.

**სანამ სერიალზე გადავალთ, თქვენი თეატრალური გზის შესახებ მოგვიყევით.**
ა.ბ. თეატრალურში სწავლის გაგრძელება მისაღებ გამოცდებამდე ორი თვით ადრე გადავწყვიტე. თეატრის გარემო მაჯადოებდა ხოლმე და ყოველთვის ვოცნებობდი მიუზიკლის მსახიობი ვყოფილიყავი, მაგრამ სამწუხაროდ, სმენა არ მაქვს და ეს ოცნება ოცნებად დარჩა. პირველად გოგა პიპინაშვილის „დრაკონში“ ელზას როლი განვასახიერე. დღეს კი თეატრ „გლობუსის“ დასში ვარ და რამდენიმე სპექტაკლში ვმონაწილეობ.

**ამის მიუხედავად, ბევრმა მაყურებელმა „ხელოვნურ სუნთქვაში“ აღმოგაჩინათ. როგორ გახდით ნუცა?**
ა.ბ. დამირეკეს და კასტინგზე დამიბარეს. ისიც შემატყობინეს, მთავარი გმირის გარდაცვლილი მეუღლის როლზე მოგიაზრებენო. სცენარისტსა და რეჟისორთან ერთად, დაწვრილებით გავიარე ნუცას ხასიათის დეტალები. ასევე ერთმანეთთან დავაკავშირე ყველაფერი, რაც ნანახი და წაკითხული მქონდა. სწორედ ასე ჩამოყალიბდა ნუცა, რომელიც მე მგონი საკმაოდ საინტერესო პერსონაჟი გამოვიდა.

**რამდენად განსხვავდება ანი ბებია თავისი პერსონაჟისგან?**
ა.ბ. ნუცას თითქმის არაფერში ვგავარ და იმედია არც არასოდეს დავემსგავსები.

**როგორ შეცვალა თქვენი ცხოვრება „ხელოვნურმა სუნთქვამ“?**
ა.ბ. უამრავი ადამიანი მწერს და ყველა მეუბნება, რა ლამაზი და ნიჭიერი ხარო. იმდენ დადებით ემოციას ვიღებ, რომ ჩემი ცხოვრება თავისთავად იცვლება უკეთესობისკენ.

**„მოირაშიც“ მონაწილეობდით...**
ა.ბ. „მოირას“ გადაღებები ძალიან საინტერესო იყო, იმიტომ, რომ ლევან თუთბერიძე ხელმძღვანელობდა. ასეთ საოცარ პროფესიონალთან არასოდეს მიმუშავია! პატარა როლი მქონდა, მაგრამ – ძალიან მნიშვნელოვანი.

**რომ არა მსახიობობა, რა პროფესიას აირჩევდით?**
ა.ბ. ვისურვებდი, სმენა მქონოდა და ემოციები, რომლებიც თამაშის დროს მიგროვდება სიმღერაში გამომეხატა.

**ვინ არის ანი ბებია ეკრანს მიღმა?**
ანი ერთი ჩვეულებრივი ადამიანი და ბედნიერი მეუღლეა.

**გაუმხილეთ HELLO!-ს მკითხველს ისეთი დეტალი, რომელიც მაყურებლებმა თქვენ შესახებ არ იციან.**
ა.ბ. წყლის ფობია მაქვს. მუდამ მგონია, რომ წყალი შემიწირავს და დედამიწასაც საბოლოოდ სწორედ წყალი გაანადგურებს! როგორც გავიგე, ჰაერის ზოდიაქოს ნიშნებს ეს შიში ახასიათებთ. ჰოდა, მეც მერწყული ვარ და ჩემს დახასიათებას ვამართლებ.

**როგორი გეგმები გაქვთ უახლოეს მომავალში?**
ა.ბ. თეატრში ახალი სპექტაკლის პრემიერა იგეგმება. სხვათა შორის, უკვე სამგან განვასახიერებ პერსონაჟს, რომელიც თავს იკლავს! ეს, ცოტა არ იყოს, მაშინებს კიდეც. ძალიან მინდა მხატვრულ ფილმში მოხულიგნო გოგოს როლი ვითამაშო და დეპრესიულ პერსონაჟებს თავი დავაღწიო.

H

**ტექსტი**: ელენე მარგალიტაშვილი. **ფოტო**: ბაჩო ტაბატაძე. **სტილი**: ანი კოკაია.

HELLO! GEORGIA

**გამომცემელი და მთავარი რედაქტორი** ნინო იოსელიანი
**აღმასრულებელი რედაქტორი** ნანკა კიკალია

**რედაქცია** ელენე მარგალიტაშვილი, ლულუ კახიანი, ზურა მახარაშვილი, მაკო მჭედლიშვილი, ანი კოკაია
**ფოტორედაქტორი** სოფო იოსელიანი
**მოდის რედაქტორი** თათია ლაშაური
**ფოტო** ბაჩი ტაბატაძე
**მარკეტინგის მენეჯერი** მარიამ ზაქარეიშვილი
**საგარეო ურთიერთობების მენეჯერი** Santiago Velo

**მთავარი დიზაინერი** დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO! INTERNATIONAL
**FOUNDER** ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
**HONRARY PRESIDENT** EDUARDO SANCHEZ JUNCO
**PRESIDENT** MERCEDES JUNCO CALDERON
**CHIEF EXECUTIVE OFFICER** EDUARDO SANCHEZ PEREZ
**GENERAL MANAGER** JAVIER JUNCO AGUADO

**ქართული ფონტები** BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

ISO 9001:2008
დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege



**რედაქციის მისამართი**: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ**.: +995 032 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ HELLO!-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.



## TAMUNA INGOROKVA FASHION HOUSE

**CONTACT**
Address: 13A Tamarashvili Street,
0177, Tbilisi, Georgia
Phone: (995 32) 291 28 72
E-mail: tamuna@ingorokva.com


360 CASCADE CONSTRUCTION
სახლი, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის!
გარემონტებული ბინები 1 კვ.მ. 1000$-დან
3 წლიანი უპროცენტო შიდა განვადება 10, 20 ან 30% პირველადი შენატანით
ბახტრიონის და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარედ
სრულიად განსხვავებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საუცხოო 360 გრადუსიანი ხედები.
მყუდრო, კომფორტული, დაცული ბინები 56კვ.მ-დან დასრულებული რემონტით, დახვეწილი დიზაინით.
25%-მდე ენერგოეფექტურობა, „პერლიტის“ ბლოკით ნაშენი დათბუნებული კედლები. უმაღლესი ხარისხის „შინდლერის“ ლიფტები.
ეკოლოგიურად სუფთა გარემო, 500კვ.-მდე გამწვანებული ეზო. სკვერი და სათამაშო მოედანი ბავშვებისთვის.
+995 322 430 360
+995 551 702 702
info@cascadeconstruction.ge
CASCADE 360